ლეჰ 26
2012
603 N16723
საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

პალიტრა მედია

# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

1 დეკემბერი **შაბათი** 2012 **№285 (13 891)** ფასი 80 თეთრი

# დააშრობს დინამო ჩიხურას?

ეროვნული პირველობის მთავარი ინტრიგა ხვალ დინამო არენაზეა, სადაც ლიდერი მესამეადგილოსან მდევარს მასპინძლობს, თუმცა რუსთავში გორელთა სტუმრობაც საყურადღებოა


2

I წრე. 26 სექტემბერი. ჩიხურა-დინამო 0:0

ფოტო: www.fcdinamo.ge

## ევროპული უქმეების ვნებანი

5-9



დორტმუნდი (ყვითელი) ორი წელიწადია, ბაიერნს სინისკენ გაურბის

აქეთ დერბები, იქით წითელ-ყვითელი ომი

ბაიერნი VS დორტმუნდი

## ლელოს სტუმარი
## რევაზ არველაძე



ბოლო ექვს წელიწადში ჩვენთან ხუთჯერ გაიმართა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები.
არადა, ამდენი 24 წლის განმავლობაში უნდა ჩატარებულიყო.

მთელ ამ პერიოდში გვქონდა იმის განცდა, რომ ფედერაციის საქმიანობა შეფასდებოდა გაკეთებული საქმეების მიხედვით

სუბიექტების რაოდენობა ისე არ უნდა დაადგინო, რომ საკუთარ თავზე მოირგო ყველაფერი. უნდა ვიხელმძღვანელოთ ფიფას და უეფას მიერ დაგეგმილი პრაქტიკით

3

# გვარდიოლა სიტიში



„ბარსელონას" ყოფილმა მთავარმა მწვრთნელმა ხოსეპ გვარდიოლამ „მანჩესტერ სიტის" თავკაცობაზე წინასწარი თანხმობა მისცა. ამის შესახებ მისმა აგენტმა ფრანსუა გალიარდომ განაცხადა.

„გვარდიოლამ „მანჩესტერ სიტიში" მუშაობაზე წინასწარი თანხმობა განაცხადა. მის გადაწყვეტილებაზე სხვა კლუბების წინადადებები გავლენას არ მოახდენს", - თქვა გალიარდომ.

www.sportall.ge

# სანიკიძის +19 და მონტეპასკის ტოპ-16


12

სანიკიძე მალაგელთა წინაალმდეგ

ქართული ფეხბურთი

საქართველოს ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა. XVIII ტურის წინათქმა

# დაძაბულობა სათავეში და ზეექვსეულის შევსების მოლოდინი

**იმის გამო, რომ უმაღლესი ლიგის პირველი ეტაპი 2012 წელს უნდა დასრულდეს, ჩემპიონატის კალენდარი საკმაოდ მჭიდროა და უმაღლესლიგელებს დატვირთულ რეჟიმში უწევთ საკუთარი ამოცანების განხორციელებისთვის ბრძოლა. საბედნიეროდ, შარშანდელისგან განსხვავებით, პირველობის მიმდინარეობას კლიმატური პირობები არ აფერხებს – გეხსომებათ, წინა სეზონში კალენდარი დიდთოვლობამ ჯერ კიდევ ნოემბერში აურ-დაურია, ზამთარში კი კიდევ უფრო უსიამოვნო ვითარება შექმნა.**
**ჯერჯერობით, მსგავსი პრობლემები არ გვაწუხებს და შეუფერხებლად გვაქვს იმის საშუალება, თვალი ვადევნოთ, რომელი უმაღლესლიგელი როგორ ახერხებს საკუთარი მიზნების შესრულებას. ბუნებრივია, ხვალინდელი მატჩებიც ბევრ შეკითხვას გასცემს პასუხს.**



მეტალურგი და ზესტაფონი წინა სეზონში ჩემპიონობისთვის იბრძოდნენ, ამჟამად კი - ზედა ექვსეულში მოსახვედრად

## ორი ცენტრალური მატჩი

მთავარი ყურადღება, რა თქმა უნდა, საჩემპიონო რბოლისკენ გვაქვს მიპყრობილი, რომელიც გასულმა ტურმა კიდევ უფრო დაძაბა. შეგახსენებთ, ოთხშაბათს "დილამ" "ზესტაფონს" სძლია, თბილისის "დინამო" კი მცხეთაში "ვიტ ჯორჯიასთან" ფრეს დასჯერდა და პირველ და მეორეადგილოსანს შორის არსებული ხუთქულიანი ზღვარი სამ ქულამდე შემცირდა. ხვალ თბილისელებსაც და გორელებსაც რთული მისია აქვთ შესასრულებელი.

ლიდერ "დინამოსა" და მესამეადგილოსან "ჩიხურას" შორის სხვაობა ხუთი ქულაა. მადა ჭამაში მოდის და საჩხერლები დედაქალაქს ქულათა მარაგის შევსების იმედით ეწვევიან. ამ სეზონში ხომ **სოსო ფრუიძის** გუნდი ავტორიტეტებს არ სცნობს და მოულოდნელად, მაგრამ ამავდროულად, სრულიად დამსახურებულად იკავებს მესამე საფეხურს. რასაკვირველია, "დინამოსა" და "ჩიხურას" დაპირისპირებაში ფავორიტები დედაქალაქელები არიან, მაგრამ წარმატების შანსი მხოლოდ მათ არ აქვთ და "დინამო არენაზე" უდავოდ უშელავათო ბრძოლის მომსწრენი უნდა გავხდეთ.

მცხეთურმა შეხვედრამ კიდევ ერთხელ გამოაჩინა, თუ რამხელა მნიშვნელობა აქვს განწყობას. "დილასთან" ჩინებულად ჩატარებული მატჩის შემდეგ დინამოელები "ვიტ ჯორჯიასთან" უინიციატივოდ და დუნედ გამოიყურებოდნენ, თუმცა მომქანცველი გრაფიკის მიუხედავად, უნდა ვივარაუდოთ, რომ ლიდერები ხვალ მოედანზე განსაკუთრებული შემართებით გავლენ. "ჩიხურას" ფეხბურთელებს კი დამატებითი ფსიქოლოგიური წნეხი არ უნდა აწუხებდეთ. საჩხერელთა გამოცდილი ფეხბურთელები ყველანაირად შეეცდებიან ახალგაზრდა თანაგუნდელების აყოლიებას. შეგახსენებთ, ამ გუნდებს შორის პირველი წრის მატჩი ფრედ, 0:0 დასრულდა.

არანაკლებ მძიმე ბრძოლა ელის "დინამოს" უმთავრეს მდევარ "დილას". გორელებმა გასულ ტურში მოქმედ ჩემპიონს აჯობეს, ახლა კი ვიცე-ჩემპიონს ეწვევიან და მასთან დაპირისპირებაშიც შეეცდებიან საკუთარი მაღალი კლასის დამტკიცებას.

გორელთა მოტივაციაზე ბევრი საუბარი არც ღირს, ისევე როგორც რუსთაველთა განსაკუთრებულ განწყობაზე – თუკი რამდენიმე დღის წინ "მეტალურგის" ზეექვსეულში მოხვედრის შანსები ძალიან მცირედ გვეჩვენებოდა, ახლა, ასე თუ ისე, **გიორგი ყიფიანის** გუნდს საამისო პერსპექტივა გაუჩნდა, ოღონდ ამ შანსის შესანარჩუნებლად "მეტალურგს" მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვებისთვის ბრძოლა მართებს. ცხადია, ეს ურთულესი საქმეა, მაგრამ ქვემოქართლელებს უკან დასახევი გზა მოჭრილი აქვთ.

ერთი სიტყვით, რუსთავში ფრე არავის დააკმაყოფილებს, რაც სანახაობრივი ფეხბურთის ხილვის შანსებს საგრძნობლად ზრდის.

## პროგრამა-მინიმუმის შესასრულებლად

"ზესტაფონი" მიმდინარე სეზონს არასტაბილურად ატარებს და ჯერ ვერ ახერხებს ძველ კონდიციებამდე დაბრუნებას. მეტიც, საქართველოს მოქმედ ჩემპიონს ჯერ საუკეთესო ექვსეულში დამკვიდრების ამოცანაც არ გადაუჭრია და უპირველესად, სწორედ ამ პროგრამა-მინიმუმის შესრულება მართებს.

**დავით მუჯირისა** და **ზაზა ზამთარაძის** გუნდი ხვალინდელ შეხვედრას ფავორიტის სტატუსით ხვდება, თუმცა ფავორიტობა რომ არაფერს ნიშნავს, ეს "ვიტ ჯორჯიასა" და "დინამოს" დაპირისპირებამაც დაამტკიცა. ვეტერინარებს ქულები თავადაც ჰაერივით ესაჭიროებათ და ზესტაფონში ჩვეული ახალგაზრდული შემართებით ჩავლენ. თავის მხრივ, საქმე სახუმაროდ არც ფეროელებს აქვთ, რომელთაც გორში განცდილი მარცხით "მეტალურგთან" რვაქულიანი უპირატესობა ხუთამდე შეუმცირდათ და თავი მშვიდად რომ იგრძნონ, ვეტერინარებთან მხოლოდ გამარჯვება დააკმაყოფილებთ.

ამ გუნდებს შორის "მცხეთა პარკზე" პირველ წრეში დრამატული ბრძოლა გაიმართა, რომელიც საბოლოოდ, ზესტაფონელთა გამარჯვებით, 3:2 დასრულდა.

"ზუგდიდი" "ზესტაფონს" ერთადერთი ქულით უსწრებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ჯერ თავი ქუდში არც **ელგუჯა ქომეთიანის** გუნდს აქვს. საკუთარ კედლებში ზუგდიდელები ამჯერადაც მხოლოდ გამარჯვებაზე იფიქრებენ, "სიონისთვის" კი ამ შეხვედრაში ქულაც არ უნდა იყოს ურიგო შედეგი. ბოლნისელებმა განწყობა და სატურნირო მდგომარეობა გასულ ოთხშაბათს, მარტვილის "მერანთან" საშინაო გამარჯვებით გამოიკეთეს, "ზუგდიდი" კი სტუმრად "ჩიხურასთან" დამარცხდა, რამაც ლიდერთა ჯგუფს კიდევ უფრო მოსწყვიტა.

## ფავორიტი ტორპედო და აუტსაიდერთა მძიმე გასვლები

მარტვილში განადგურების შემდეგ "ტორპედომ" სტუმრად ბათუმის "დინამოს" სძლია, რითაც **გია გეგუჩაძის** შეგირდებმა საკუთარი თავის რწმენა დაიბრუნეს, თუმცა ბოლოდროინდელი არასტაბილური ასპარეზობა მყის აისახა მათ სატურნირო ვითარებაზე – ქუთაისელები მეოთხე საფეხურამდე დაეშვნენ და ლიდერს უკვე მთელი რვა ქულით ჩამორჩებიან. რაღა თქმა უნდა, "ტორპედო" ხვალინდელის მსგავს მატჩებში ფავორიტად რჩება, "კოლხეთს" კი საინტერესოა, სადამდე გაუგრძელდება მოუგებელი სერია.

უშუალო კონკურენტები შეებრძოლებიან ერთმანეთს მარტვილში. ბათუმის "დინამოს" საქმე მძიმედ აქვს და აღარ დარჩა იმის ფუფუნება, თუნდაც გასვლით შეხვედრებში ფრეზე იზრუნოს. **გია გურულის** გუნდის მიზანი "მერანთან" მატჩში მხოლოდ გამარჯვება უნდა იყოს და ბუნებრივია, იგივე ამოცანა ამოძრავებთ **მალხაზ ჟვანიასა** და მის ფეხბურთელებსაც. თუ ხვალ "მერანმა" იმარჯვა, გასავარდნ ზონას კიდევ უფრო მკაფიოდ გაემიჯნება, მორიგი წარუმატებლობა კი ზღვისპირელთა ისედაც არასახარბიელო მდგომარეობას კიდევ უფრო დაამძიმებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გაგ | ბურთები გაშ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დინამო (თბ) | 17 | 12 | 4 | 1 | 47 | 14 | 40 |
| 2 | დილა | 17 | 12 | 1 | 4 | 28 | 11 | 37 |
| 3 | ჩიხურა | 17 | 11 | 2 | 4 | 27 | 14 | 35 |
| 4 | ტორპედო | 17 | 10 | 2 | 5 | 32 | 16 | 32 |
| 5 | ზუგდიდი | 17 | 8 | 5 | 4 | 21 | 14 | 29 |
| 6 | ზესტაფონი | 17 | 8 | 4 | 5 | 22 | 14 | 28 |
| 7 | მეტალურგი | 17 | 7 | 2 | 8 | 14 | 22 | 23 |
| 8 | მერანი | 17 | 5 | 2 | 10 | 11 | 26 | 17 |
| 9 | ვიტ ჯორჯია | 17 | 4 | 5 | 8 | 11 | 23 | 17 |
| 10 | სიონი | 17 | 4 | 5 | 8 | 13 | 26 | 17 |
| 11 | დინამო (ბთ) | 17 | 2 | 3 | 12 | 17 | 38 | 9 |
| 12 | კოლხეთი | 17 | 0 | 3 | 14 | 8 | 33 | 3 |

---

02.12. ზუგდიდი. 14:00

**ზუგდიდი–სიონი**

ურთიერთშეხვედრები:
11 მატჩი, 4 მოგება, 4 ფრე, 3 წაგება. ბურ. 11-7

დისკვალიფიკაცია:
ზუგდიდი - რ.ონიანი; სიონი - არავინ

---

02.12. მარტვილი. ცენტრალური. 14:00

**მერანი–დინამო (ბთ)**

ურთიერთშეხვედრები:
1 მატჩი, 0 მოგება, 0 ფრე, 4 წაგება. ბურ. 0-4

დისკვალიფიკაცია:
მერანი - არავინ; დინამო (ბთ)- ი. კვეკვესკირი

---

02.12. რუსთავი. ფოლადი. 14:00

**მეტალურგი–დილა**

ურთიერთშეხვედრები:
9 მატჩი, 6 მოგება, 1 ფრე, 2 წაგება. ბურ. 14-9

დისკვალიფიკაცია:
მეტალურგი - რ.გეწაძე; დილა - ლეონარდო

---

02.12. ქუთაისი. ცენტრალური. 17:00

**ტორპედო–კოლხეთი**

ურთიერთშეხვედრები:
56 მატჩი, 24 მოგება, 15 ფრე, 17 წაგება. ბურ. 86-66

დისკვალიფიკაცია: არავინ

---

02.12. ზესტაფონი. დ. აბაშიძე. 17:00

**ზესტაფონი–ვიტ ჯორჯია**

ურთიერთშეხვედრები:
24 მატჩი, 11 მოგება, 4 ფრე, 9 წაგება. ბურ. 33-33

დისკვალიფიკაცია:
ზესტაფონი - გ.კაჭკაჭიშვილი; ვიტ ჯორჯია - გ.ვასაძე

---

02.12. თბილისი. დინამო არენა. 18:00

**დინამო (თბ)–ჩიხურა**

ურთიერთშეხვედრები:
3 მატჩი, 2 მოგება, 1 ფრე, 0 წაგება. ბურ. 8-1

დისკვალიფიკაცია:
ჩიხურა - ვ.ლომაშვილი, დ.დილმელაშვილი

LIVE. რეპორტაჟი პირველ არხზე

---

## პირველი ლიგა, XVI ტური

**A ჯგუფი**

| | |
|---|---|
| იმერეთი - სასკო | 0:0 |
| სულორი - სქური | 1:1 |
| გაგრა - ბეთლემი | 1:0 |
| მეშახტე - სტუ | 3:0 |
| ჭიათურა - რაჭა | 1:2 |
| დინამო-2 - გურია | 1:5 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გურია | 16 | 13 | 2 | 1 | 47-12 | 41 |
| 2. სასკო | 16 | 12 | 1 | 3 | 51-17 | 37 |
| 3. გაგრა | 16 | 11 | 1 | 4 | 29-11 | 34 |
| 4. დინამო-2 | 16 | 10 | 3 | 3 | 56-25 | 33 |
| 5. სტუ | 16 | 7 | 1 | 8 | 34-42 | 22 |
| 6. ბეთლემი | 16 | 7 | 1 | 8 | 22-32 | 22 |
| 7. იმერეთი | 16 | 6 | 3 | 7 | 16-21 | 21 |
| 8. სქური | 16 | 4 | 6 | 6 | 15-23 | 18 |
| 9. ჭიათურა | 16 | 4 | 3 | 9 | 17-29 | 15 |
| 10. მეშახტე | 16 | 4 | 3 | 9 | 18-43 | 15 |
| 11. რაჭა | 16 | 2 | 2 | 12 | 16-35 | 8 |
| 12. სულორი | 16 | 2 | 2 | 12 | 13-44 | 8 |

**B ჯგუფი**

| | |
|---|---|
| ადელი - ზოოვეტი | 1:2 |
| ჩხერიმელა - სამგურალი | 1:7 |
| კოლხეთი (ხ) - ლიახვი | 2:0 |
| შუქურა - ლოკომოტივი | 2:0 |
| მერცხალი - სპარტაკი | 1:3 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სპარტაკი | 15 | 13 | 1 | 1 | 40-7 | 40 |
| 2. კოლხეთი | 14 | 11 | 1 | 2 | 23-11 | 34 |
| 3. შუქურა | 15 | 9 | 2 | 4 | 25-11 | 29 |
| 4. ლოკომოტივი | 15 | 7 | 3 | 5 | 34-19 | 24 |
| 5. სამტრედია | 14 | 7 | 2 | 5 | 18-14 | 23 |
| 6. ზოოვეტი | 15 | 6 | 3 | 6 | 21-22 | 21 |
| 7. სამგურალი | 15 | 5 | 5 | 5 | 27-24 | 20 |
| 8. მერცხალი | 14 | 3 | 5 | 6 | 20-20 | 14 |
| 9. ლიახვი | 15 | 2 | 4 | 9 | 13-34 | 10 |
| 10. ადელი | 14 | 2 | 0 | 12 | 16-40 | 6 |
| 11. ჩხერიმელა | 14 | 2 | 0 | 12 | 14-49 | 6 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელოს სტუმარი

## რევაზ არველაძე

# რა არის ფედერაციის და ნაკრების საპირწონე

## რევაზ არველაძე: დრო კიდევ უფრო ძვირფასი გახდა

**"ლელოს" დღევანდელი სტუმარი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი რევაზ არველაძე გახლავთ, საქართველოს ეროვნული ნაკრების, თბილისის "დინამოს" და "კიოლნის" ყოფილი ფეხბურთელი.**
**ფეხბურთელობის შემდეგ რევაზ არველაძე თბილისის "დინამოს", "ლოკომოტივის" და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი იყო. რაც შეეხება საფეხბურთო მოხელის კარიერას, ძმათაგან უფროსი არველაძე ჯერ "დინამოს" პრეზიდენტი იყო მცირე ხნით, მერე ფეხბურთის ფედერაციაში ვიცე-პრეზიდენტის პოსტი ეკავა.**
**არველაძეს არაერთ საჭირბოროტო საკითხზე ვესაუბრეთ, ფედერაციაზე, ნაკრებზე და ასე შემდეგ...**



**- ამას წინათ "ლელოს" სტუმარი საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი იყო, რომელმაც გვითხრა, ეგვიპტესთან ამხანაგური მატჩის ორგანიზაციისთვის ფეხბურთის ფედერაციამ ოფიციალურად მიმართა სახელმწიფოს ფინანსური დახმარებისთვისო. მანამდე კი ფედერაციის პრეზიდენტმა ზვიად სიჭინავამ განაცხადა, მზად ვართ სახელმწიფოს დოტაციის გარეშეც მაღალ დონზე შევინახოთ ჩვენი ოფისი და ნაკრებებიო...**

- როგორც იტყვიან, საბანი ისე უნდა დაიხურო, სადამდეც გაგწვდება. რაც შეეხება ფედერაციის დამოუკიდებლად არსებობას, ეს არც ნაკრებებს და არც არაფერს არ დაეტყობა უარყოფითად. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, როგორ დავგეგმავთ ბიუჯეტს. ჩვენ ძალიან ბევრ რამეს ვითვალისწინებთ, მათ შორის საქართველოში არსებულ სოციალურ სიტუაციას. შეგვეძლო, რომ ესპანეთთან მატჩზე ბილეთის ფასი ორჯერ მეტი ყოფილიყო, ამის გაკეთება საფრანგეთთან შეხვედრის დროსაც შეგვიძლია, მაგრამ ცხადია, რომ რეალობის გათვალისწინება მოგვიწევს. ფედერაციის მენეჯმენტი ამ ყველაფერზე სათანადოდ მუშაობს. რაც შეეხება ეგვიპტესთან ამხანაგურ შეხვედრას, ეს 2012 წლის ბიუჯეტში იყო გათვალისწინებული და სახელმწიფოსგან დახმარება გვეკუთვნოდა. ამხანაგური შეხვედრები, ასაკობრივი ნაკრებების შეკრებები და მონაწილეობა საერთაშორისო ტურნირებში – ბიუჯეტი ისე დაიგეგმება, რომ საფრთხე არ შეექმნება ფედერაციის არც ერთ პრიორიტეტს.

**- რეზონანსული გამოდგა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნების თემა – თქვენ რას ფიქრობთ ამ ყველაფერზე?**

- ფეხბურთის ფედერაციის საანგარიშო ყრილობა გაისად უნდა გაიმართოს. ამ ყრილობაზე არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი იქნება განხილული: ფედერაციის საქმიანობის შეჯამება, ბიუჯეტი, საკლუბო ლიცენზირება, ნოვაციები... საარჩევნო ყრილობა კი 2015 წელს უნდა ჩატარდეს. ისე მოხდა, რომ ბოლო ექვსი წლის განმავლობაში ჩვენთან ხუთჯერ გაიმართა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები, არადა ამდენი არჩევნები 24 წლის განმავლობაში უნდა ჩატარებულიყო. მთელ ამ პერიოდში გვქონდა იმის განცდა, რომ ფედერაციის საქმიანობა შეფასდებოდა გაკეთებული საქმეების მიხედვით. უხერხულად მიმაჩნია კონკრეტული ადამიანის სინდისსა და ნამუსზე ლაპარაკი, საკითხი ასე არ უნდა დადგეს. ჩემი პოზიცია ასეთია: ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის გვერდში ვდგავარ, მიმაჩნია, რომ მის ხელში ფედერაცია წარმატებულად მუშაობს. არც იმას დავმალავ, რომ ბევრი პრობლემა გვაქვს მოსაგვარებელი და ყოველთვის მზად ვარ, ამაზე გახსნილად ვილაპარაკო. არ ყოფილა შემთხვევა, ფეხბურთის ფედერაციაში ვინმე მოსულიყო საქმიანი წინადადებით და მისთვის სათანადო ყურადღება არ დაგვეთმო. თუ ყველაფერს სასწორზე დავდებთ, მიმაჩნია, რომ ფედერაციის საქმიანობა ოდნავ გადასწონის პრობლემებს. გაისად ვაპირებთ, რომ სისტემური ხასიათი მივცეთ ასაკობრივი ნაკრებების და ბავშვთა ფეხბურთის განვითარებას, შევქმნათ ისეთი ტექნიკური დეპარტამენტი ფედერაციაში, რომელიც ამ სეგმენტში ეფექტური იქნება. ამასთან დაკავშირებით კონსულტაციები გვექნება უცხოელ სპეციალისტებთან. განვითარების რალაც მოდელზე უნდა ჩამოვყალიბდეთ. ყოველივე ამისთვის საჭიროა სათანადო ინფრასტრუქტურა და ფაქტია, რომ ამ მხრივ გარკვეული წინსვლა უკვე გვაქვს, მალე მზად იქნება მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის მეორე მოედანი ხუთიათასიანი ტრიბუნით და ყველა საჭირო აღჭურვილობით. რომ არა ინფრასტრუქტურული პროექტები, ვერ მოვახერხებდით ასაკობრივი ნაკრებების ევრომესარჩევი და ელიტ რაუნდის თამაშების მასპინძლობას.



**- ფედერაციის რამდენმა სუბიექტმა უნდა მიიღოს პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობა –ამ საკითხზე არაერთგვაროვანი აზრი არსებობს, როგორია თქვენი პოზიცია?**

- სუბიექტების რაოდენობა ისე არ უნდა დაადგინო, რომ საკუთარ თავზე მოირგო ყველაფერი. გამოჩნდა ფედერაციის ახალი სუბიექტი, მიიღო ხმის უფლება და დაიწყო ხმის მიცემაზე ვაჭრობა, მერე კი ეს სუბიექტი სადღაც ჩაიკარგა – ასე არ უნდა ხდებოდეს. ვფიქრობ, უნდა ვიხელმძღვანელოთ ფიფას და უეფას მიერ დაგეგმილი პრაქტიკით. ყველა წევრს აქვს ერთი ხმა და გარდა ამისა, არსებობს სათათბირო ხმებიც, ანუ რამდენიმე სუბიექტი თანხმდება გარკვეულ საკითხზე და ერთი სუბიექტი ამ შეთანხმების მიხედვით იძლევა ხმას. ჩემი აზრით, რეგიონულ ფედერაციებშიც ასე უნდა იყოს, რამდენიმე კლუბმა უნდა შეაჯეროს პოზიცია, რაც დაფიქსირდება ერთი ხმით. ჩვენთან ამ დროისთვის ხმის უფლების მქონე 35 სუბიექტი ჰყავს ფეხბურთის ფედერაციას და ამ მხრივ დაახლოებით იგივე ვითარება გვაქვს, რაც სხვა ეროვნულ ასოციაციებს. ხმის მიცემა პასუხისმგებლობაც უნდა იყო ფედერაციის სუბიექტისთვის.

**- ბავშვთა და ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების მოდელი ახსენეთ. კონკრეტულად ვისთან გეგმავთ თანამშრომლობას?**

პირველი შეხვედრა ჰოლანდიელ სპეციალისტებთან გვექნება. მათ ვეტყვით, თუ როგორ ფეხბურთს ვთამაშობთ ქართველები, რას უნდა დაეყრდნოს მოდელი და ისინი თავიანთ კონცეფციებს შემოგვთავაზებენ. ყველაფერს თავისი დინამიკა აქვს, ჩემი ფეხბურთელობის დროს ვარჯიშს ორი მწვრთნელი ატარებდა, ახლა კი მთავარ მწვრთნელს 5-6 თანაშემწე ჰყავს, დღეს დრო კიდევ უფრო ძვირფასი გახდა, ანაზღაურებაც გაეზარდათ მწვრთნელებს...

**- როგორ გესახებათ სახელმწიფოს როლი სპორტის სახეობების განვითარებაში?**

- სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ინფრასტრუქტურის განვითარებასა და სამოყვარულო სპორტს.

**- ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომზე რას გვეტყოდით? ამ ძალიან მნიშვნელოვან რგოლში არ შედიან ის ხალხი, საკუთარ ფულს რომ ხარჯავენ საკლუბო ფეხბურთში. არ მიგაჩნიათ, რომ ალმასკომის რეფორმა აუცილებელია?**

- ჩემი აზრით, ალმასკომი არ არის ისე დაკომპლექტებული, როგორიც ეს შეიძლება ყოფილიყო. ალმასკომის წევრები იყვნენ სპორტის მინისტრი და ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტის ხელმძღვანელი. გაჩნდა ორი ვაკანსია და შესაბამისად იმის შესაძლებლობაც, რომ ფედერაციის ყრილობაზე მსურველებმა საკუთარი კანდიდატურა წამოაყენონ.

**- საკლუბო ლიცენზირება რომ ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია, ამაზე ლაპარაკიც არ ღირს. ფეხბურთის გენერალური მდივანი ხართ და ეს სფერო უშუალოდ თქვენს კომპეტენციაში შედის. უკვე მერამდენედ ხდება, რომ კლუბი ლიცენზირების მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს, მაგრამ ალმასკომის გადაწყვეტილებით მაინც გამოდის უმაღლეს ლიგაში. რატომ ხდება ასეთი ფაქტები?**

- ზოგადად, კომპრომისების მომხრე ვარ. საკლუბო ლიცენზირებას რაც უფრო მკაცრად მოვეკიდებით, მით უკეთესი იქნება. თქვენს შენიშვნას აბსოლუტურად ვიზიარებ. ვფიქრობ, რაღაც ეტაპზე შეღავათები აუცილებელი იყო, მაგრამ ეს უსასრულოდ აღარ უნდა გაგრძელდეს, ყველამ უნდა გაითავისოს მუშაობის ჩარჩოები.

**- ფედერაციის ინფრასტრუქტურულ პროექტებს თუ გადავხედავთ, ბევრია ხელოვნურსაფრიანი მოედნები – საქართველოს პირობებში ეს რამდენად გამართლებულად მიგაჩნიათ?**

- ზოგან ისეთი სიტუაციაა, კალოშების ჩაცმა დაგჭირდება. ქობულეთში აუცილებელი იყო ხელოვნური საფარის დაგება, ამას მოითხოვდა იქაური კლიმატური და გეოლოგიური პირობები. ყველა კლუბს არ აქვს იმის საშუალება, რომ ცალკე ჰქონდეს სავარჯიშო მოედანიც და სათამაშოც, ხელოვნური საფარი კი უფრო უძლებს დატვირთვებს, ვიდრე მინდორი. რა თქმა უნდა, ფეხბურთელი ვიყავი და კარგად მესმის, რომ მინდორზე თამაშს არაფერი სჯობს, მაგრამ ჩვენს რეალობაში სხვა ფაქტორებიც არის გასათვალისწინებელი. ცხადია, ხელოვნური საფარი ფეხბურთის სათამაშოდ სრულყოფილი ვარიანტი ვერ იქნება.

**- "ლელოს" სტუმარი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ზვიად სიჭინავაც იყო, როცა მას ვკითხეთ, თემურ ქეცბაიას კონტრაქტი რა პირობით გააგრძელა ფედერაციამ, მკაფიო პასუხი ვერ მივიღეთ. ითქვა, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელები უნდა გამოჩენილიყვნენ ეროვნულ ნაკრებში, რაც, ცოტა არ იყოს, გაუგებარი პოზიციაა...**

- ქეცბაიასთან კონტრაქტის გაგრძელებისას ვიხელმძღვანელეთ ერთი პრინციპით – წილისყრა უკვე შემდგარი იყო და ვიცოდით, თუ რა მძიმე ჯგუფში მოვხვდით, ასეთ დროს კი ჩვენი მხრიდან მართებული პოზიცია იყო მწვრთნელისთვის დროის მიცემა. ნაკრების სხვა სპეციფიკაა, რაც უნდა ფული გქონდეს, ახალ ფეხბურთელებს ვერ იყიდი, რაც არის, იმ წრეში უნდა იტრიალო. თუ ქულათა ისეთ მარაგს დავაგროვებთ, რომ ჯგუფში მესამე ადგილზე გავალთ, ურიგო არ იქნება. სხვა საქმეა სათამაშო კონცეფცია. ბევრია ისეთი მწვრთნელი, ვინც უარს ამბობს პირველ ნომრად თამაშზე. საქართველოში მოსახლეობის ალბათ 90 პროცენტს უყვარს ფეხბურთი და აქვს იმის პრეტენზია, რომ ესმის ფეხბურთი, მოსწონს ლალი და შემტევი თამაში. გასაგებია, რომ ზოგს არ მოსწონს ის ფეხბურთი, რასაც ქეცბაია ათამაშებს ჩვენს ნაკრებს, მაგრამ მთავარი შემფასებელი შედეგია, თუ შედეგს ზომიერი კრეატიულობაც ახლავს, ეს რა თქმა უნდა, კარგია. თვალს ვადევნებ გულშემატკივართა გამოხმაურებებს ნაკრების თემაზე და ხშირად ფეხბურთის ცოდნის დაბალ დონესთან გვაქვს საქმე, როცა კამათი შურითა და ბოლმით მიდის.

**- ეს ყველაფერი გასაგებია, ოღონდაც გაუგებარი რჩება საქართველოს ნაკრების კონცეფცია, როცა გუნდი შეტევაზე მიდის...**

- სტრატეგია ერთია, კონკრეტული თამაშის წინ კი რაღაცები იცვლება. ფეხბურთის სილამაზე კი იმ დაფაზე არ წერია, სადაც მწვრთნელი ფეხბურთელებს ტაქტიკურ საკითხებზე ელაპარაკება. თუ გარემარბებით თამაშს ირჩევ, გარემარბს ჩაწოდება უნდა შეეძლოს და ჩაწოდებულ ბურთზე ოთხ მცველთან სამი შემტევი მაინც უნდა იყოს, ან გარემარბს კაცის მოტყუება უნდა შეეძლოს, რომ გუნდმა შეტევაში რიცხობრივი უპირატესობა მოიპოვოს.



**- ნაკრების რომელიმე ფეხბურთელის ინტერვიუში ამოგიკითხავთ, რომ გუნდში კარგი ატმოსფეროა?**

- გუნდის გასახდელში მხოლოდ თამაშის მერე ჩავსულვარ მოგების მისალოცად და ცუდი იქ არაფერი შემიმჩნევია.

**- პრემიერლიგის დაფუძნებაზე გკითხავთ – ფეხბურთის ფედერაცია როგორ უყურებს ამ ყველაფერს?**

- კომერციული საფეხბურთო ლიგის შექმნა ჯანსაღი მოდელია. ასეთ დროს ეროვნული ასოციაციის განკარგულებაში რჩება სამსაჯო და სადისციპლინო კომიტეტი, მისთვის მნიშვნელოვანია ისიც, რომ არ შემცირდეს მსაჯთა ანაზღაურება და საპრიზო ფონდი შედეგის მიხედვით გადანაწილდეს, შემოსავლები სწორად დაიხარჯოს. თუ ყველა საკითხზე შევთანხმდებით და მეტი შემოსავლები გაჩნდება, არსებითი მნიშვნელობა არ ექნება იმას, ჩემპიონატს ფედერაცია ჩაატარებს, პროფლიგა თუ პრემიერლიგა. ისე არ უნდა მოხდეს, რომ ახალი ორგანიზაციის შექმნა ფეხბურთის ფედერაციის პოლიტიკური საპირწონე გახდეს.

**დავით თავართქილაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქტუალური თემა

# ირაკლი ქავთარაძე: დიახ, პრემიერლიგა დაფუძნდა...

29 ნოემბერს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს საპრესკონფერენციო დარბაზში საქართველოს საფეხბურთო პრემიერლიგის დამფუძნებლები სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრს, ლევან ყიფიანს შეხვდნენ.
ცნობილია, რომ კლუბების წარმომადგენლებმა შეხვედრის დახურვა მოითხოვეს. როგორც ამბობენ, დასამალი არაფერი აქვთ, მაგრამ მედიის თანდასწრებით სამუშაო პროცესის წარმართვას არასასურველად მიიჩნევენ. შესაძლოა, ამაში დაეთანხმო, ყველა სამუშაო შეხვედრას მედია რომ დაესწროს, არც გულახდილები იქნებიან და არც ისეთი ემოციურები, მინისტრის კაბინეტიდან ხმა რომ არ გამოვიდეს. მაგრამ ახლადდაარსებულ სტრუქტურას ერთი დიდი ნაკლი აქვს – ჯერ არ ჰყავთ პრეს-ატაშე, რომელიც მედიას მიმდინარე მოვლენებს გააცნობს, არადა, ეს აუცილებელია დაზუსტებული ინფორმაციის გასავრცელებლად. ამიტომ, გვიწევს ინფორმაციების სხვადასხვა პირისგან მიღება და შეჯერება. ბოლო შეხვედრაზე კომენტარისთვის რუსთავის “მეტალურგის” ვიცე-პრეზიდენტს, ირაკლი ქავთარაძეს დავუკავშირდით.


ირაკლი ქავთარაძე

**- 12-თა საბჭოსა და ლევან ყიფიანის შეხვედრაზე რა საკითხები განიხილეთ?**

- თავად მინისტრს სურდა ჩვენთან დალაპარაკება, არსებულ ვითარებაზე სრული სურათი რომ ჰქონოდა. შეხვედრა აუცილებელიც იყო და სასურველიც.

**- ეს იყო გაცნობითი ხასიათის შეხვედრა?**

- საქმიანი უფრო იყო, რადგან ლევან ყიფიანი პრემიერლიგის იდეას კარგად იცნობს, მაგრამ დაინტერესდა დეტალებით, როგორ ვაპირებდით ლიგის დაფუძნებას, რა ფინანსური სახსრების იმედი გვაქვს და ა.შ.

**- შევიტყვეთ, რომ პრემიერლიგა დაფუძნებულა.**

- დიახ, ერთი კვირის წინ, მის დაფუძნებაზე ხელი 6 კლუბის წარმომადგენელმა მოაწერა.

**- ეს ფაქტი აქამდე რატომ რა გაჟღერდა?**

- ჯერ კიდევ რამდენიმე კლუბის შემოერთებას ველოდებით. მართალია, რომ მაგალითად, ბათუმის “დინამოს” ხელმძღვანელობა ლიგაში გაწევრიანებაზე თანახმა არის, მაგრამ საამისოდ ბათუმის საკრებულოს ნებართვა სჭირდებათ, ამ ორგანოს წევრების შეკრება კი დღემდე ვერ მოხერხდა. ასეთივე მდგომარეობაა კიდევ რამდენიმე კლუბის შემთხვევაში, რომლებსაც ასევე სახელმწიფო აფინანსებს.

**- როგორც ვიცით, პრემიერლიგა მიმდინარე სეზონის ორგანიზატორობაზე უარს ამბობს.**

- დიახ, ასეა, რადგან სიჩქარე არ გვარგებს. მუშა ჯგუფები შეიქმნება და მხოლოდ ახალი სეზონისთვის გადაიბარებს პრემიერლიგა ჩემპიონატის ორგანიზებას, როდესაც სპონსორებისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები გაირკვევა. ყველაფერი კარგად უნდა ავწონ-დავწონოთ.

**- სპონსორების საკითხი თუ გაირკვა?**

- საკმაოდ დამაიმედებელი მდგომარეობა არის, პოტენციური პარტნიორები უკვე გამოჩნდნენ და მჯერა, მალე საინტერესო ამბებს შეიტყობთ. თუმცა, საკითხის საბოლოო გადაწყვეტამდე, დაკონკრეტებას მოვერიდები.

**- რადგან სამუშაო შეხვედრებზე ინფორმაცია არ მოგვეწოდება, ჭორ-მართალში გავრკვევას ვცდილობთ: ამტკიცებენ, თითქოს, ფეხბურთის ფედერაციამ 2013 წლისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 13 მილიონამდე ლარის გამოყოფა მოითხოვა და თანხის ნაწილი პრემიერლიგას მოხმარდება.**

- არა, ასეთ დეტალებზე ლაპარაკი არ ყოფილა.

**- მაგრამ ვიცით, რომ ლევან ყიფიანთან შეხვედრაზე სახელმწიფოს მხრიდან პრემიერლიგის ფინანსურ დახმარებაზეც ილაპარაკეთ. ეს რეალურია?**

- ჯერ ამაზე ლაპარაკი ნაადრევია. რა ოდენობით შეუძლია სამინისტროს პრემიერლიგის ფინანსური დახმარება, ეს თავად სამინისტროს მომავალი წლის ბიუჯეტზე იქნება დამოკიდებული.

**- სახელმწიფო პროგრამაზე ზოგადი ლაპარაკით შემოიფარგლეთ?**

- პროგრამის შესამუშავებლად მუშა ჯგუფი ჩამოყალიბდება, რომელიც მნიშვნელოვან საკითხებს დაამუშავებს. მიმაჩნია, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია. რამდენიმე წელია, სახელმწიფო ფეხბურთის ფედერაციას მიზნობრივ დახმარებას უწევდა – აფინანსებდა ნაკრებებს და მათ საჭიროებებს. ეს ძალიან კარგია, მაგრამ რეალურად სახელმწიფო დახმარებას ფეხბურთის განვითარების პროგრამა ერქვა, რაც არასწორია. ფეხბურთს გაცილებით მეტი, რეალური სახელმწიფო პროგრამა სჭირდება, რომ ერთხელ და სამუდამოდ დასრულდეს ამ თემაზე ლაპარაკი და საქმეს მივხედოთ.

სფფ-ის პრესსამსახურის ცნობით, დღეს გამართულ 12-თა საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ თბილისის „დინამოს“, „ვიტ ჯორჯიას“, „სიონის“, „დილას“, „ზესტაფონის“, „მეტალურგის“, ბათუმის „დინამოს“, „კოლხეთის“, „ტორპედოს“, „მერანის“ და „ჩიხურას“ ხელმძღვანელები.

თემა ეროვნული ჩემპიონატის წლევანდელი წლის დარჩენილი მატჩები და 2013 წლის კალენდრის სავარაუდო ვარიანტების შემუშავება იყო.

სფფ-ის საშეჯიბრო კომიტეტის ვარიანტია: 2013 წელი სუპერთასის მატჩით 21-22 თებერვალს უნდა დაიწყოს, 26 თებერვალსა და 2 მარტს - საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასის მერვედფინალები იქნება, ჩემპიონატის საგაზაფხულო ეტაპი 9 მარტს დაიწყება და სავარაუდოდ, 18-19 მაისს დასრულდება, თასის ფინალი კი 23 მაისს დაიგეგმა.

გუნდები ამ ვარიანტებს განიხილავენ და უახლოეს დღეებში, ტექნიკური დირექტორებისა და სფფ-ის სამუშაო შეხვედრაზე ყველა თარიღი დაზუსტდება.

სფფ-ის პრეზიდენტმა და კლუბების ხელმძღვანელებმა პროფლიგის თემაზე დეტალური და სერიოზული განხილვის სურვილი გამოთქვეს, რათა მომავალი ეროვნული ჩემპიონატი ამ ორგანიზაციამ ჩაატაროს. შეხვედრის შემდეგ კი კომენტარები გაკეთდა.

**რომან ფიფია** („დინამო“ თბილისი): *„დღევანდელი ჩვენი გეგმიური შეხვედრა ძალიან აუცილებელი და ნაყოფიერი იყო, ვინაიდან ეროვნული ჩემპიონატის შესახებ ბევრ საკითხზე ჩამოვყალიბდით. რატომ დავტოვე გუშინ სპორტის სამინისტრო ნაადრევად? შეხვედრა არ იყო კარგად ორგანიზებული. ის ფორმატი, რომელიც სამინისტროში მისვლისას დაგვხვდა, ჩვენთვის არ იყო მისაღები. სხვა კლუბების პოზიციაც ანალოგიური იყო. ჩვენ ერთსულოვანი ვართ პრინციპულ საკითხებში. ისეთი შეხვედრა და დახვედრა, რაც სამინისტროში იყო, არ იყო შესაფერისი და ჩვენთვის მისაღები. იმას ვგულისხმობ, რომ ჩვენ ყრილობის დარბაზში კი არ უნდა შევხვედროდით მინისტრს, არამედ მრგვალ მაგიდასთან, სადაც კონკრეტულ საქმეზე ვისაუბრებდით. იმედია, მომავალი შეხვედრები უფრო კორექტირებული და უკეთ მომზადებული იქნება.*

*რაც შეეხება პრემიერლიგას, ის უკვე დაფუძნებულია, ნოტარიულადაც დამოწმებულია და ისეთ პრეზიდენტს ავირჩევთ, რომელიც ყველასათვის მისაღები იქნება. კლუბების ხელმოწერები პრობლემა არაა. შეიძლება, დაფუძნების დოკუმენტს ხელი არ მოაწეროს, ვთქვათ, ფოთის „კოლხეთმა“, თუმცა, ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ ეს გუნდი ჩემპიონატში არ ითამაშებს. ამჟამად, დოკუმენტზე ხელი მოწერილი აქვს 6 კლუბს. წინ გვაქვს ნახევარი წელი, ვიმუშავებთ და ყველა ნიუანსს დავხვეწთ; ჩემპიონატის პოპულარიზაციის უამრავი პროექტი გვაქვს. მნიშვნელოვანია ტელეტრანსლაციების თემა, რადგან ჩვენს ფეხბურთს ძალიან აკლია პირდაპირი ეთერი”.*

**ზვიად სიჭინავა**(ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი): *“პრემიერლიგის ჩამოყალიბების თაობაზე ზუსტი ინფორმაცია არ მაქვს, ვინაიდან ამ საკითხზე ფედერაცია უშუალოდ ჩართული არ არის. ვიცი, რომ ამ ეტაპზე, დაფუძნების დოკუმენტზე ხელი არ აქვს მოწერილი „ტორპედოს“, „დილას“, „კოლხეთს“, „ ბათუმის “დინამოს”, „ზუგდიდს“, „ზესტაფონს“, „სიონს“... უცნობია, მოაწერა თუ არა ხელი „ჩიხურამ“.*

*ფედერაცია მზადაა, განიხილოს ნებისმიერი კომპანიის შემოთავაზება, რომელიც ჩემპიონატის ჩატარების ახლანდელზე უკეთეს ვარიანტს, მყარ ფინანსურ გარანტიებს, გაზრდილ საპრიზო ფონდს, სატელევიზიო კონტრაქტებსა და მსაჯების ანაზღაურებას შემოგვთავაზებს“.*

ჩვენებურები უცხოეთში


ჯანო ანანიძე

# Golden Boy გამოირიცხა

ორიოდე დღის წინ **ჯანო ანანიძე** „სპარტაკის“ ქომაგებმა ოქტომბერში გუნდის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს და გუნდის ბაზაზე სიმბოლური მაისურა გადასცეს.

ოქტომბერში ანანიძემ რუსეთის ჩემპიონატში მხოლოდ ერთ მატჩი ჩაატარა „მორდოვიასთან“ (2:0), სადაც მოედანზე 66 წუთი დაჰყო. რუსეთის თასზე „როსტოვთან“ ითამაშა, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე კი „ბარსელონასთან“, „სელტიკთან“ და „ბენფიკასთან“ მოსინჯა ძალები.

გარდა ამისა, “ლელო” უკვე წერდა, რომ ჯანო ანანიძე “ტუტოსპორტმა” ევროპის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელების ნომინაციაში “Golden boy” (ოქროს ბიჭი) დაასახელა.

იტალიურმა გამოცემამ ჯილდო 2003 წელს დააარსა და წლის ბოლოს ევროპის საუკეთესო 21-წლამდელ ახალგაზრდა ფეხბურთელს გადასცემს. გამოკითხვაში, რომელშიც ხმის მიცემა 10 დეკემბერს შეწყდება, 20 ევროპული ქვეყნის 30-მდე სპორტული გამოცემის ჟურნალისტი მონაწილეობს. გამარჯვებული კათოლიკურ შობამდე გამოცხადდება.

წლეულს ჯილდოს პრეტენდენტი 30-მდე ახალგაზრდა ვარსკვლავი გახლდათ: **შტეფან ელ შაარავი, ისკო (ფრანსისკო ალარკონ სუარესი), დავიდ ალაბა, ჯონჯო შელვი, ალექს ოქსლეიდ-ჩემბერლენი, იკერ მუნიაინი, მარიო გიოტცე, რაფაელ ვარანი, იონ გვიდეტი, კრისტიან ერიქსენი, იულიან დრაქსლერი, ფელიპე კოუტინიო, ტიბო კურტუა...**

მაგრამ იმედი, რომ 20 წლის ქართველი ნახევარმცველი “ტუტოსპორტის” გამოკითხვაში საერთაშორისო აღიარებასაც მოიპოვებდა, სამწუხაროდ, არ გამართლდა. ცნობილი გახდა მედიის ფავორიტი მოთამაშეთა სამეული: “მილანის” ეგვიპტელი თავდამსხმელი სტეფან ელ-შაარავი, “მალაგას” ესპანელი შემტევი ნახევარმცველი ისკო და მადრიდის “ატლეტიკოს” ბელგიელი მეკარე ტიბო კურტუა - ინფორმაცია “ფუტბოლ ესპანამ” გაავრცელა.

ადრე ეს პრიზი მიუღიათ **ლიონელ მესის, უეინ რუნის, სესკ'ფაბრეგასს,** რომელიც ნომინაციის ერთადერთი ესპანელი გამარჯვებულია. შარშან “გოლდენ ბოის” პრიზის მფლობელი დორტმუნდის “ბორუსიას” მოთამაშე მარიო გიოტცე გახდა.

სამაგიეროდ, პარალელურად მიმდინარე გულშემატკივართა გამოკითხვის შედეგები გვახარებს: გუშინდელი მონაცემებით, გულშემატკივართა გამოკითხვაში ჯანო მეორე ადგილზე იმყოფება და მხოლოდ შვეიცარიული “ბაზელის” ეგვიპტელ თავდამსხმელს, **მოჰამედ სალაჰს** ჩამორჩება, თუმცა, სხვა კონკურენტებს მნიშვნელოვანი უპირატესობით უსწრებს.

| | |
|---|---|
| 1. მოჰამედ სალაჰი (“ბაზელი”, ეგვიპტე) | 29,9% |
| 2. ჯანო ანანიძე (“სპარტაკი”, საქართველო) | 20,3% |
| 3. პოლ პოგბა (“იუვენტუსი”, საფრანგეთი/გვინეა) | 13,2% |
| 4. სტეფან ელ შაარავი (“მილანი”, იტალია) | 7,1% |
| 5. რაჰიმ სტერლინგი (“ლივერპული”, ინგლისი/იამაიკა) | 4,8% |

# სირაძე საუკეთესოებში


დავით სირაძე

რუსეთის ნაციონალურ საფეხბურთო ლიგაში საშემოდგომო ეტაპი დასრულდა. ნალჩიკის “სპარტაკმა”, სადაც ნახევარმცველი **ელგუჯა რუხაია** და საქართველოს ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი **დავით სირაძე** თამაშობენ, 20 ტურის შემდეგ 31 ქულა დააგროვა და ცხრილში მე-9 ადგილზე იმყოფება.

თუმცა ნალჩიკელებმა მეტოქეებზე ერთით ნაკლები შეხვედრა ჩაატარეს და თუ ის მოიგეს, მე-5 ადგილზე დაწინაურება შეუძლიათ - ლიგაში ასეთი დაძაბული სატურნირო მდგომარეობაა.

ინტერნეტ-გამოცემა “ონდივიზიონმა” პირველ წრეში გუნდის საუკეთესო ფეხბურთელები დაასახელა და მათ შორის **დავით სირაძეც** გამოარჩია.

*“ამჟამად კლუბის საუკეთესო მოთამაშეები არიან მარატ შოგენოვი, მიოდრაგ ჯუროვიჩი და დავით სირაძე... ქართველი ლეგიონერი კლუბის ერთ-ერთი ყველაზე სტაჟიანი წევრია. სეზონის დასაწყისში რამდენიმე შეხვედრა ჩაავდო, მაგრამ მერე სწორედ იმ დროს უმატებდა, როდესაც ეს გუნდს განსაკუთრებით სჭირდებოდა. გამოცდილების ხარჯზე თამაშს კითხულობს, შეუძლია ძალიან გონივრული გადაცემის გაკეთებაც და მეტოქის კარის აღებაც”* – წერს “ონდივიზიონი”.

32 წლის ქართველმა თავდამსხმელმა 20 შეხვედრიდან 15 ითამაშა, აქედან 12-ჯერ ძირითადში დაიწყო და 3 გოლი მიითვალა. ელგუჯა რუხაიამ კი 17 მატჩში (ძირითადში 12 შეხვედრა) მეტოქის კარი ერთხელ დალაშქრა.

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**

**თანაკლუბელები და მეგობრები თანაგრძნობას უცხადებენ ვეტერან ფეხბურთელს მამუკა ფანცულაიას დედის გარდაცვალების გამო.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ინგლისი. პრემიერლიგა. XV ტურის წინ

**მანჩესტერულმა გრანდებმა "იუნაიტედმა" და "სიტიმ" მეტოქეებთან გარკვეული ფორა უკვე მოიპოვეს და რაკი ძირითადი კონკურენტები ბოლო ხანს რეგულარულად კარგავენ ქულებს, მათი უპირატესობა განუხრელად იზრდება. შუა კვირაში ნათამაშებმა ტურმა ეს ტენდენცია კიდევ უფრო გამოკვეთა. ვნახოთ, რა სიტუაცია იქნება ამ უქმეების შემდეგ.**

### დღეს

**ვესტ ჰემი–ჩელსი 16:45**

**ტრავმა:** დიარა, კოლისონი, ვას ტე - ლემპარდი, ტერი, სტარიჯი

**დისკვალიფიკაცია:** - ლუისი

**ბოლო 6 მატჩი**

+1=2-3 +0=4-2

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 83 თამაში: +32=17-34 (132-137)

**არსენალი–სუონსი 19:00**

**ტრავმა:** როსიცკი, დიაბი, უოლკოტი, ფაბიანსკი, სანტოსი – ლიტა, ტეილორი, სიტუ, ვორმი, გრემი

**ბოლო 6 მატჩი**

+2=3-1 +2=3-1

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 6 თამაში: +3=0-3 (7-9)

**ფულჰემი–ტოტენჰემი 19:00**

**ტრავმა:** კაჩანიკლიჩი, დევისი, რუისი – ასუ-ეკოტო, პარკერი, კაბული

**დისკვალიფიკაცია:** ჰანგელანდი - ადებაიორი

**ბოლო 6 მატჩი**

+0=2-4 +3=0-3

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 48 თამაში: +8=14-26 (51-85)

**ლივერპული–საუთჰემპტონი 19:00**

**ტრავმა:** ლუკასი, ბორინი, კელი – ჩაპლოუ, რიჩარდსონი

**ბოლო 6 მატჩი**

+1=4-1 +2=2-2

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 70 თამაში: +34=18-18 (109-74)

**სიტი–ევერტონი 19:00**

**ტრავმა:** კლიში, რიჩარდსი – მირალიაში, ნევილი

**ბოლო 6 მატჩი**

+4=2-0 +1=4-1

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 154 თამაში: +58=39-57 (216-206)

**ქუინზ პარკი–ასტონ ვილა 19:00**

**ტრავმა:** ეპრაჰიმი, ზამორა, ჯონსონი – ვლაარი, ჰერდი, ბენეტი, ნზოგბია, დანი, გარდნერი

**ბოლო 6 მატჩი**

+0=2-4 +2=2-2

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 36 თამაში: +16=8-12 (48-48)

**ვესტ ბრომვიჩი–სტოკ სიტი 19:00**

**ტრავმა:** დოუსონი – დელაპი, უილსონი, ოუენი

**ბოლო 6 მატჩი**

+4=0-2 +3=2-1

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 80 თამაში: +22=20-38 (100-131)

**რედინგი–იუნაიტედი 21:30**

**ტრავმა:** მაკარტი, კარაჩანი – ვიდიჩი, ნანი, კაგავა

**ბოლო 6 მატჩი**

+1=3-2 +5=0-1

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 6 თამაში: +0=3-3 (6-10)

### ხვალ

**ნორვიჩი–სანდერლენდი 20:00**

**ტრავმა:** ტერნერი, კეინი - ბრაუნი

**ბოლო 6 მატჩი**

+2=4-0 +1=2-3

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 25 თამაში: +12=4-9 (29-32)

### ზეგ

**ნიუკასლი–უიგანი 00:00**

**ტრავმა:** შ. ამეობი, ობერტანი, გოსლინგი, ბენ არფა, კაბაი, რ. ტეილორი, ვუკჩიჩი – უოტსონი

**დისკვალიფიკაცია:** პერჩი -

**ბოლო 6 მატჩი**

+1=1-4 +3=0-3

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 13 თამაში: +5=2-6 (13-16)

**შენიშვნა:** + მოგება, = ფრე, - წაგება () ბურთების სხვაობა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუნაიტედი | 14 | 11 | 0 | 3 | 33-18 | 33 |
| 2. სიტი | 14 | 9 | 5 | 0 | 27-10 | 32 |
| 3. ჩელსი | 14 | 7 | 5 | 2 | 24-13 | 26 |
| 4. ვესტ ბრომ. | 14 | 8 | 2 | 4 | 24-18 | 26 |
| 5. ტოტენჰემი | 14 | 7 | 2 | 5 | 25-23 | 23 |
| 6. ევერტონი | 14 | 5 | 7 | 2 | 24-18 | 22 |
| 7. არსენალი | 14 | 5 | 6 | 3 | 24-14 | 21 |
| 8. სუონსი | 14 | 5 | 5 | 4 | 21-17 | 20 |
| 9. სტოკ სიტი | 14 | 4 | 7 | 3 | 13-12 | 19 |
| 10. ვესტ ჰემი | 14 | 5 | 4 | 5 | 16-16 | 19 |
| 11. ფულჰემი | 14 | 4 | 5 | 5 | 25-23 | 17 |
| 12. ლივერპული | 14 | 3 | 7 | 4 | 18-18 | 16 |
| 13. ნორვიჩი | 14 | 3 | 7 | 4 | 11-20 | 16 |
| 14. ნიუკასლი | 14 | 3 | 5 | 6 | 14-21 | 14 |
| 15. უიგანი | 14 | 4 | 2 | 8 | 15-25 | 14 |
| 16. სანდერლენდი | 13 | 2 | 7 | 4 | 12-16 | 13 |
| 17. ასტონ ვილა | 14 | 3 | 4 | 7 | 11-22 | 13 |
| 18. საუთჰემპტონი | 14 | 3 | 3 | 8 | 21-31 | 12 |
| 19. რედინგი | 13 | 1 | 6 | 6 | 16-23 | 9 |
| 20. ქუინზ პარკი | 14 | 0 | 5 | 9 | 10-26 | 5 |

**ბომბარდირები:** 10 - ლუის სუარესი (ლივერპული), 9 - რობინ ვან პერსი (მანჩესტერ იუნაიტედი), 8 - მიგელ მიჩუ (სუონსი), დემბა ბა (ნიუკასლი), 7 – ჯერმეინ დეფო (ტოტენჰემი), მარუან ფელაინი (ევერტონი)

# დედაქალაქური დერბების დღე



ნისლიანი ალბიონი რაფა ბენიტესის მუშაობას გამადიდებელი შუშით აკვირდება

"ვესტ ჰემმა" ბოლო პერიოდში პოზიციები სერიოზულად დათმო. "ჩელსის" რალაც წილად შეიძლება გაუმართლა კიდეც, რომ 6-მატჩიანი მოუგებელი სერიის შემდეგ მას ხვდება. **რაფა ბენიტესის** დებიუტი ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული გუნდის თავკაცის პოსტზე იმდენად ცუდი იყო, რომ კაცი მტერს არ უსურვებს. ესპანელის მოსვლის შემდეგ "ლურჯებს" გოლი ჯერ არ გაუტანიათ. ასე რომ, თუკი ფეხბურთელები თავიანთ მწვრთნელს პატივს სცემენ, დღეს ჩვეულებრივზე მეტად უნდა მოინდომონ. როგორც პრაქტიკა ამტკიცებს, "ჩაქუჩებს" ყველაზე მეტად კონტრშეტევებზე მოქმედი გუნდების წინააღმდეგ უჭირთ. შესაბამისად, "ჩელსისთან" მათ 3 ქულის მოპოვების დიდი შანსი არ უნდა ჰქონდეთ.

"არსენალმა" პრემიერლიგაში ჩატარებულ 14 შეხვედრაში 8 გასვლაზე ითამაშა და მათ შორის ორჯერ მანჩესტერში და ორჯერ ლივერპულში, რაც ნამდვილად არ ნიშნავს ცოტას. "მეთოფეებს" ამჯერად შინ უწევთ "სუონსისთან" დაპირისპირება და თუკი მატჩი მათთვის სასურველი ანგარიშით დასრულდა, **არსენ ვენგერის** გუნდს ლიდერთა შორის დაბრუნების კარგი შანსი მიეცემა, მაგრამ... სამ ქულას ჯერ მოპოვება სჭირდება. **მიკაელ ლაუდრუპის** შეგირდებმა შუა კვირაში "ვესტ ბრომვიჩთან" საოცრად ითამაშეს და პრემიერლიგის ამჟამინდელ მეოთხეადგილოსანს ქულის გადარჩენის შანსიც კი არ დაუტოვეს. ასე რომ, "მეთოფეებს" არ აქვთ უფლება, თავი სამშვიდობოს დაიგულონ.

"ვესტ ჰემი"-"ჩელსის" გარდა ლონდონში მეორე დედაქალაქური დერბიც გაიმართება - "ფულჰემი" "ტოტენჰემს" დაუპირისპირდება. მასპინძლები ბოლო პერიოდში უხეიროდ თამაშობენ. მართალია, **მარტინ იოლის** გუნდმა "სტემფორდ ბრიჯზე" ქულა აილო, მაგრამ ეს უფრო მეტოქის უგერგილობის დამსახურება იყო. "დეზები" კი პირიქით, ალმავლობის გზას ადგანან, რაც "ლივერპულთან" შეხვედრაშიც დაამტკიცეს. ჩვენი აზრით, **ანდრე ვილაშ ბოაშის** სამწყსო დღესაც ფავორიტია და მას 3 ქულის ალებას ვუწინასწარმეტყველებთ.

"უაით ჰართ ლეინზე" წაგების შემდეგ "ლივერპული" "საუთჰემპტონთან" შეხვედრას ნესით გაბრაზებული და მოტივირებული უნდა შეხვდეს. "წითლებს" მოტივაცია "ენფილდზე" კლუბის მესაკუთრეთა ყოფნამ უნდა შემატოს. "წმინდანები" ბოლო ტურებში საკმაოდ კარგად თამაშობენ (4 მატჩია არ წაუგიათ) და ნესით, ასე იოლად არც ახლა უნდა წაიქცნენ.

"ეტიჰადზე" პრაქტიკულად უძლეველი "მანჩესტერ სიტი" "ევერტონს" მასპინძლობს და მატჩის აშკარა ფავორიტადაც მიიჩნევა. სხვა თუ არაფერი, მერსისაიდელებს 3-მატჩიანი მოუგებელი სერია აქვთ და ცუდ ფორმაში არიან. XV ტურის ცენტრალურ დაპირისპირებად სპეციალისტები სწორედ ამ შეხვედრას ასახელებენ. "ქალაქელებს" შუა კვირაში დორტმუნდის "ვესტფალენშტადიონზე" ჩემპიონთა ლიგაში პრესტიჟის მატჩი აქვთ ჩასატარებელი, თუმცა გრძელი სათადარიგოთა სკამის წყალობით **რობერტო მანჩინის** მაინც ძლიერი შემადგენლობის გამოყვანა შეუძლია. ასე რომ, ეს "ევერტონს" ამოცანას ნამდვილად არ უმარტივებს.

**ჰარი რედნაპი** პირველად წარდგება საკუთარი გულშემატკივრის წინაშე "რეინჯერების" მთავარი მწვრთნელის რანგში. "ასტონ ვილა" ცუდ ფორმაშია, რაც დედაქალაქელების შანსებს ზრდის. ჩვენი პროგნოზით, მასპინძლები დღეს პირველ მატჩს მოიგებენ მიმდინარე სეზონში. ისე მეხსიერება თუ არ გვღალატობს, მსგავსი პროგნოზი "რედინგთან" მატჩის წინაც დავწერეთ, მაგრამ...

სუონსის "ლიბერთი სთედიუმზე" ნაფორხილების შემდეგ **სტივ კლარკის** "ვესტ ბრომვიჩი" "ჰოუტორნსზე" ბრუნდება, სტადიონზე, სადაც მას აქამდე 7 მატჩიდან 6 აქვს მოგებული. ამ მხრივ მას "მანჩესტერ სიტის" შემდეგ საუკეთესო მაჩვენებელი აქვს პრემიერლიგაში (ჩემპიონებს 6 მოგება და ფრე აქვთ). სტატისტიკა ერთია, დღევანდელობა - მეორე. "სტოკ სიტი" ბოლო მატჩებში ფერზე მოვიდა. მისი დამარცხება იოლი სულაც არ იქნება. "მეთიხეებს" ბოლო 4-დან 3 მოგება აქვთ. ჩვენი პროგნოზით სტუმრებს მინიმუმ ქულის ალება დღესაც შეუძლიათ. **ტონი პულისის** გუნდს სერიოზული დანაკლისი აქვს – არ იქნება **პიტერ კრაუჩი**. მას **კენუან ჯონსი** შეცვლის.

**ბრაიან მაკდერმოტის** "რედინგს" დღეს საღამოს პრაქტიკულად "შეუსრულებელი მისია" აკისრია – მას "მანჩესტერ იუნაიტედი" სტუმრობს და "არისტოკრატებს" ლიდერთან გამკლავება მოუწევთ. "ეშმაკებმა" XIV ტურში "ვესტ ჰემთან" პირველად, თითქმის 2-თვიანი პაუზის შემდეგ, კარის მშრალად შენახვა მოახერხეს, რამაც სერ **ალექს ფერგიუსონი** განსაკუთრებით გაახარა. ამას გარდა, შოტლანდიელი ბედნიერია იმითაც, რომ მას **ანტონიო ვალენსიას** იმედი შეიძლება ჰქონდეს. ეკვადორელი სრული დატვირთვით ვარჯიშობს. სტუმრებს მაინც მაქსიმალური სიფრთხილით მართებთ თამაში, რადგან "რედინგი" შინ ძნელად დასამარცხებელი მეტოქეა.

## ამბები



### ვიდიჩი ვარჯიშს შეუდგა

"მანჩესტერ იუნაიტედის" 31 წლის კაპიტანმა **ნემანია ვიდიჩმა** შარშან დეკემბერში მუხლის ტრავმა მიიღო, რის გამოც სერბმა მთელი დარჩენილი სეზონი გამოტოვა. ვარჯიშს ის მხოლოდ ივლისში შეუდგა და მიმდინარე სეზონის დასაწყისში ძირითად შემადგენლობას დაუბრუნდა. თუმცა ვეტერანმა IV ტურში "უიგანთან" მატჩის 76-ე წუთზე მუხლი ხელახლა დაიზიანა. ექიმებს ჯვარედინი მყესების რეციდივი ეგონათ. საბედნიეროდ, ეს წინასწარმეტყველება არ გამართლდა. ნემანიას ოპერაცია სექტემბრის ბოლოს ჩაუტარდა. ორი თვის თავზე კი ის უკვე სრული დატვირთვით ვარჯიშობს. "მირორის" მტკიცებით, **ალექს ფერგიუსონმა** "კლუჟთან" ჩემპიონთა ლიგის VI ტურში სერბის ძირითადში დაყენება უკვე გადაწყვიტა.

### ჩელსი ემზადება

"ჩელსიმ" ფიფას მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატში მონაწილეობისთვის საბოლოო განაცხადი გადაუგზავნა. **რაფა ბენიტესს** მოულოდნელი გადაწყვეტილება არ მიუღია. 52 წლის ესპანელი თან იახლებს ტრავმირებულ ფეხბურთელებსაც, კონკრეტულად **ჯონ ტერისა და ფრენკ ლემპარდს.** ევროპის საკლუბო ჩემპიონები 13 დეკემბერს 1/2-ფინალში სამხრეთკორეულ "ულსან ჰიონდეს" შეხვდებიან. ჯერ კიდევ გაურკვეველია, თუ ვინ იქნება ტურნირის მეორე ფავორიტის, ბრაზილიური "კორინთიანსის" მეტოქე.

### კაბაი თებერვლამდე ვერ ითამაშებს

"ნიუკასლის" 24 წლის საყრდენმა ნახევარმცველმა **იოან კაბაიმ** მუცლის ღრუს კუნთების სერიოზული ტრავმა საფრანგეთის ნაკრების უკანასკნელ შეკრებაზე მიიღო. მას ოპერაცია პარიზის ერთ-ერთ საუკეთესო კლინიკაში რამდენიმე დღის წინ ჩაუტარდა. "ეკიპის" ცნობით, უკვე ცნობილია, რომ ფეხბურთელი "კაჭკაჭებს" თებერვლის პირველ რიცხვებამდე ვერ დაეხმარება.



გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური ფეხბურთი

## იტალია. სერია A XV ტურის წინ

**სერია A-ს XV ტურში გრანდთა დაპირისპირებას ვერ ვიხილავთ, მაგრამ მოახლოებული შეხვედრების მიმართ გულშემატკივართა ინტერესი მაინც უდიდესია. სატურნირო ცხრილში სიმჭიდროვეა და თითოეულ ქულას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. შეგვიძლია ტურინული დერბი გამოვარჩიოთ და თხრობაც სწორედ ამ მატჩით დავიწყოთ...**

**კატანია–მილანი 1:3**

**დღეს**

**იუვენტუსი–ტორინო 23.45**

**ტრავმა:** ვიდალი, კასერესი - სუჩუ, ბრკიჩი, ვივესი.

**ბოლო 6 მატჩი**

+3=1-2 +1=3-2

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 16 თამაში: +9=5-2, (31-16)

**ხვალ**

**ნაპოლი–პესკარა 15.30**

**დისკვალიფიკაცია:** ბალცანო (პესკარა).

**ტრავმა:** კამპანიარო, პანდევი - კოლუჩი, საველონი, ბლაზი, კუინტერო, კიარეტი, ვუკუსიჩი, კონატასი.

**ბოლო 6 მატჩი**

+3=2-1 +1=1-4

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 9 თამაში: +7=2-0, (12-3)

**ბოლონია–ატალანტა 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** პორტანოვა, მორლეო (ბოლონია).

**ტრავმა:** გარიჩი, ხიმენესი, აკვაფრესკა, კარვალიო, კურჩი, ნატალი - ფერეირა პინტუ, კაპელი, ბელინი, ბიონდინი, ფრეძოლინი, მარილუნგო.

**ბოლო 6 მატჩი**

+1=1-4 +3=1-2

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 20 თამაში: +5=8-7, (25-28)

**ჯენოა–კიევო 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** ბორიელო, მორეტი - სამასა.

**ტრავმა:** ფერონეტი, ხორკერა, ანსელიმო, ანტონელი - ლუსიანო, ვაჩეკი, სკუიცი, პაპი, ფრეი.

**ბოლო 6 მატჩი**

+1=0-5 +1=2-3

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 16 თამაში: +4=4-8, (14-19)

**ინტერი–პალერმო 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** კასანო - დონატი, მიკოლი.

**ტრავმა:** სტანკოვიჩი, კივუ, ობი, მუდინგაი - ბერტოლო, ფონ ბერგენი, ერნანდესი, მანტოვანი.

**ბოლო 6 მატჩი**

+3=1-2 +2=2-2

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 17 თამაში: +9=6-2, (39-26)

**ლაციო–პარმა 18.00**

**ტრავმა:** ბროკი, სარატე, დიასი, როკი - გალოპა.

**ბოლო 6 მატჩი**

+2=2-2 +3=2-1

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 36 თამაში: +15=9-12, (44-40)

**სიენა–რომა 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** ბელმონტე, ვიტიელო, ტერცი - დე როსი, გუბერტი.

**ტრავმა:** კამპანიოლო, ანჯელო - სტეკელენბურგი, ლამელა.

**ბოლო 6 მატჩი**

+2=3-1 +3=0-3

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 18 თამაში: +6=2-10, (17-33)

**უდინეზე–კალიარი 18.00**

**ტრავმა:** დომიცი, ბენეტია, პინცი, ლაძარი, მურიელი, ბასტა - პინილია, კოსუ, ნენე.

**ბოლო 6 მატჩი**

+1=4-1 +2=2-2

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 26 თამაში: +15=6-5, (46-27)

**ფიორენტინა–სამპდორია 23.45**

**დისკვალიფიკაცია:** კოსტა (სამპდორია).

**ტრავმა:** აკვილანი, ტონი, იოვეტიჩი, ლიაიჩი, კამპორეზე - პოცი, მაქსი ლოპესი, ედერი.

**ბოლო 6 მატჩი**

+5=1-0 +2=0-4

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 24 თამაში: +6=10-8, (30-34)

**შენიშვნა:** + მოგება, = ფრე, - წაგება () ბურთების სხვაობა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 14 | 10 | 2 | 2 | 29-10 | 32 |
| 2. ნაპოლი | 14 | 9 | 3 | 2 | 23-11 | 30 |
| 3. ფიორენტინა | 14 | 8 | 4 | 2 | 25-12 | 28 |
| 4. ინტერი | 14 | 9 | 1 | 4 | 26-16 | 28 |
| 5. ლაციო | 14 | 8 | 2 | 4 | 22-17 | 26 |
| 6. რომა | 14 | 7 | 2 | 5 | 31-23 | 23 |
| 7. მილანი | 15 | 6 | 3 | 6 | 24-19 | 21 |
| 8. პარმა | 14 | 5 | 5 | 4 | 17-18 | 20 |
| 9. კატანია | 15 | 5 | 4 | 6 | 19-23 | 19 |
| 10. ატალანტა | 14 | 6 | 2 | 6 | 14-20 | 18 |
| 11. სამპდორია | 14 | 5 | 2 | 7 | 17-19 | 16 |
| 12. უდინეზე | 14 | 3 | 7 | 4 | 18-23 | 16 |
| 13. კალიარი | 14 | 4 | 4 | 6 | 13-20 | 16 |
| 14. ტორინო | 14 | 3 | 7 | 4 | 15-14 | 15 |
| 15. პალერმო | 14 | 3 | 5 | 6 | 14-21 | 14 |
| 16. ჯენოა | 14 | 3 | 3 | 8 | 14-21 | 12 |
| 17. კიევო | 14 | 3 | 3 | 8 | 13-25 | 12 |
| 18. სიენა | 14 | 4 | 5 | 5 | 13-14 | 11 |
| 19. ბოლონია | 14 | 3 | 2 | 9 | 15-19 | 11 |
| 20. პესკარა | 14 | 3 | 2 | 9 | 9-25 | 11 |

**შენიშვნა:** *სიენა - 6 ქულა, ატალანტა – 2, სამპდორია – 1, ტორინო – 1.*

**ბომბარდირები:** 12 – ელ შაარავი (მილანი); 8 - კავანი (ნაპოლი), ლამელა (რომა), დი ნატალე (უდინეზე), კლოზე (ლაციო); 7 - მილიტო (ინტერი), ოსვალდო (რომა).




# ორად გაყოფილი ტურინი

## და ნაპოლის შანსი?

### დერბი დერბია

ხშირად ამბობენ, რომ დერბიში ფავორიტი არ არსებობს, მაგრამ ტურინული გუნდების შემთხვევაში ბევრი ამ მოსაზრებას არ იზიარებს. "იუვენტუსი" "ტორინოს" ყველა კომპონენტში ჯობნის და სულაც არ არის გასაკვირი, მასთან პაექრობაში ფავორიტად რომ ითვლება. თუმცა, იყო დრო, როდესაც "გრანატა" გრიმიტობდა და "იუვესთან" პაექრობაში სწორედ ის იყო ფავორიტი. ანუ, აღნიშნული დაპირისპირება ისტორიულია, მეტად პრინციპული და გუნდები არაფრის დათმობას არ აპირებენ.

"იუვენტუსს" **ჯორჯო კიელინი** დაუბრუნდა და ბუნებრივია, ძირითად შემადგენლობაში იქნება **ლეონარდო ბონუჩისა** და **ანდრეა ბარცალისთან** ერთად. "გაძეტა დელო სპორტის" ვერსიით, განაცხადში იქნება **ლუსიოც**, რომელიც ბოლო დროს ხშირად ჩნდება პრესის ფურცლებზე და მუდმივად იმას იმეორებს, რომ ტურინიდან აბარგების სურვილი აქვს. ნახევარდაცვას **არტურო ვიდალი** დააკლდება, ვის ადგილსაც **პოლ პოგბა** დაიკავებს. შეტევის წინა ხაზზე სავარაუდოდ **მირკო ვუჩინიჩს** და **სებასტიან ჯოვინკოს** ვიხილავთ.

"ტორინო" ოპტიმალური შემადგენლობით ხვდება "იუვენტუსთან" პაექრობას, რაც გუნდის მთავარ მწვრთნელ, **ჯამპიერო ვენტურას** ოპტიმიზმის საფუძველს აძლევს. ჯერ "გრანატას" მესაჭეს მოვუსმინოთ და შემდეგ, "იუვენტინო" ჯორჯო კიელინის...

**ჯამპიერო ვენტურა (ტორინო):** *"მეტოქე მთელი ძალებით შეეცდება, რომ "მილანთან" მარცხის გამო, საკუთარი გულშემატკივრის თვალწინ რეაბილიტაცია მოახდინოს. თუმცა, ჩვენ ჩვენი გეგმები გვაქვს და მათ შესასრულებლად ყველაფერს გავაკეთებთ. ტურინულ დერბის ტიფოზები მონატრებულნი არიან და მთავარია, რომ ნამდვილი საფეხბურთო სპექტაკლი ვიხილოთ. შეგვწევს იმის ძალა, რომ "ვეკია სენიორას" ღირსეული კონკურენცია გავუწიოთ, დანარჩენი კი მოედანზე გამოჩნდება".*

**ჯორჯო კიელინი (იუვენტუსი):** *"ტრავმა მოვიშუშე და დერბისთვის სრულ მზადყოფნაში ვარ. რთული მატჩი იქნება, რადგან მეტოქე უაღრესად მოტივირებულია. "ტორინოს" განსხვავებული ამოცანები აქვს, ეს გუნდი სკუდეტოსთვის არ იბრძვის, მაგრამ ამას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს - დერბი დერბია, რომელშიც შანსები ყოველთვის თანაბარია".*

**სავარაუდო შემადგენლობები**

**იუვენტუსი (3-5-2):** ბუფონი - ბარცალი, ბონუჩი, კიელინი - ლიხტშტაინერი, პირლო, პოგბა, მარკიზიო, ჯაკერინი - ვუჩინიჩი, ჯოვინკო.

**ტორინო (4-4-2):** ჟილე - დარმიანი, გლიკი, ოგბონა, და,ბროზიო - ბაშა, გაცი, მეჯორინი, სანტანა - ჩერჩი, ბიანკი.

### ლიდერთა საშინაო მატჩები

"იუვენტუსის" ოთხი მდევარი თავიანთ შეხვედრებს კვირას გამართავენ და თანაც, საკუთარ არენებზე: "ნაპოლი" "პესკარას" მიიღებს, "ინტერი" "პალერმოს", "ლაციო" "პარმას" და ბოლოს, "ფიორენტინა" "სამპდორიას".

ერთი შეხედვით, ყველაზე იოლი მატჩი "ნაპოლის" აქვს, რომელიც ჩემპიონატის აუტსაიდერს უმასპინძლებს. "პესკარა" სატურნირო ცხრილში ბოლო ადგილზეა და განსაკუთრებით უმწეოდ გასვლით პაექრობებში გამოიყურება. მართალია, ნეაპოლელები **გორან პანდევს** მოისაკლისებენ, მაგრამ ამით, ძალთა ბალანსი დიდად არ იცვლება. "ნაპოლიმ" რამდენიმე ურთულესი მატჩი მოიგო და წესით, "პესკარასთან' სამი ქულა უნდა აიღოს... თუმცა, ფეხბურთი რომ ხშირად ლოგიკას არ ექვემდებარება, ესეც ფაქტია და ვინ იცის, იქნებ "დელფინებმა" ფავორიტად შერაცხილ მეტოქეს ბრძოლა გაუმართონ.

"ინტერს" მოგება სჭირდება და საამისოდ საკმაოდ კარგი შანსი აქვს. **ანდრეა სტრამაჩონის** გუნდი "პალერმოს" მასპინძლობს, გუნდს, რომელიც სატურნირო ცხრილის ფსკერზე განისვენებს. ამასთან, სიცილიელებს **ფაბრიციო მიკოლი** ჰყავთ დაშავებული,. მოთამაშე, რომელსაც "ჯუზეპე მეაცაზე" გოლების გატანა ძალიან უყვარს და ეხერხება კიდეც. მოკლედ, ყველაფერი იქით მიდის, რომ "ინტერმა" მცირე ჩავარდნა უნდა დაძლიოს და თუ სტრამაჩონის შეგირდებმა ვერც "პალერმო" წააქციეს, მაშინ **მასიმო მორატის** განგაშის ზარის შემოკვრა მოუწევს. მოკლედ, "ინტერი" უდავო ფავორიტია და ვნახოთ, რა მოხდება მილანში.

"ლაციო" კერკეტ "პარმას" უმასპინძლებს, მაგრამ თვითონ "ლაციოა" ბოლო ხანს იმდენად კერკეტი, რომ წესით, პირველ ნომრად უნდა წარმართოს პაექრობა. ეს ალბათ ასეც იქნება და დანარჩენი უკვე იმაზეა დამოკიდებული, რამდენად მოახერხებენ რომაელები საგოლე მომენტების რეალიზებას. ნახევარდაცვასა და თავდასხმაში დედაქალაქელებს ოპტიმალური შემადგენლობა ჰყავთ და ისღა დარჩენიათ, რომ აქტიურად შეუტიონ მეტოქეს. "პარმა" მებრძოლი გუნდია, წინა ტურში "ინტერი" იმსხვერპლა და წესით, საინტერესო ჯახი უნდა გამოდგეს.

ტურის უკანასკნელი შეხვედრა ფლორენციაში გაიმართება, სადაც "ფიორენტინა" მოფერიანებულ "სამპდორიას" მიიღებს. ბუნებრივია, ფავორიტი აქაც მასპინძელია, მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ **ვინჩენცო მონტელას** სერიოზული საკადრო პრობლემები აქვს. "ფიორენტინა" პრაქტიკულად უფორვარდოდ გახლავთ დარჩენილი, რადგან **სტევან იოვეტიჩი, ადემ ლიაიჩი** და **ლუკა ტონი** დაშავებულნი არიან. "გაძეტას" ვერსიით, გენუელებს **ელ ჰამდაუი** და **მატი ფერნანდესი** შეუტევენ. შუა ხაზში ფლორენციელებს **ალბერტო აკვილანი** დააკლდებათ, ვის ადგილსაც **რომულო** დაიკავებს. მოკლედ, "ვიოლას" სერიოზული საკადრო პრობლემები აქვს და საინტერესოა, როგორ გამოვა რთული ვითარებიდან ვინჩენცო მონტელა.

**ლაშა ნიკლაური**

## ამბები



### პარკერს დრო კიდევ სჭირდება

"ტოტენჰემის" 31 წლის ნახევარმცველმა **სკოტ პარკერმა** ვარჯიში რა ხანია განაახლა, მაგრამ მოედანზე მის დაბრუნებას საშველი არ დაადგა. ვეტერანმა ქუსლზე ოპერაცია ევროპის ჩემპიონატის დასრულებისთანავე გაიკეთა. მას მიმდინარე სეზონში ჯერ არ უთამაშია. *"იმედი მაქვს, რომ ორი კვირის თავზე ის უკვე გუნდთან ერთად ივარჯიშებს სრული დატვირთვით. ის მოედანზე გუნდს ძალიან წაადგება, სკოტი ხომ შარშანდელ სეზონში ჩვენი საუკეთესო ფეხბურთელი იყო,"* – განუცხადა "სქაი სპორტს" **ანდრე ვილაშ ბოაშმა.**

### კოულს რედნაპი უხმობს

"ლივერპულის" 31 წლის ნახევარმცველმა **ჯო კოულმა** წინა სეზონი საფრანგეთის მაშინდელ ჩემპიონ "ლილში" უმაღლეს დონეზე ჩაატარა. ვეტერანს იმედი ჰქონდა, რომ თავს "ლივერპულშიც" გამოიჩენდა. მისი მოლოდინი არ გამართლდა. **ბრენდან როჯერსი** მას არ ენდობა. ფეხბურთელმა ერთი პირობა, ისიც იფიქრა, რომ "ლილში" დაბრუნებულიყო, მაგრამ **ჰარი რედნაპმა** იანვარში მისი წაყვანა "ქუინზ პარკში" მოინდომა კოული და რედნაპი "ვესტ ჰემში" 1998/2001 წლებში ერთად მუშაობდნენ. "ინდეპენდენტის" მტკიცებით, ლონდონში გადაბარგების შემთხვევაში კოულს ხელფასის მნიშვნელოვნად შემცირება მოუწევს. "ენფილდზე" ის კვირაში 90 ათას ფუნტს იღებს.

**ლევან ბიბილაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

საფრანგეთი. ლიგა 1. XV ტურის წინ

# ცენტრალური მატჩის გარეშე

| აიაჩო-სტ. ეტიენი | 0:0 |
|---|---|
| **დღეს** | |
| ლიონი-მონპელიე | 20:00 |
| ევიანი-ნანსი | 23:00 |
| ბორდო-სოშო | 23:00 |
| ლილი-ბასტია | 23:00 |
| ნიცა-პსჟ | 23:00 |
| ვალანსიენი-რეიმსი | 23:00 |
| **ხვალ** | |
| ბრესტი-მარსელი | 17:00 |
| ტრუა-რენი | 20:00 |
| ლორიანი-ტულუზი | 00:00 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლიონი | 14 | 8 | 4 | 2 | 27-15 | 28 |
| 2. სენტ ეტიენი | 15 | 7 | 5 | 3 | 24-10 | 26 |
| 3. პსჟ | 14 | 7 | 5 | 2 | 23-10 | 26 |
| 4. მარსელი | 14 | 8 | 2 | 4 | 18-15 | 26 |
| 5. ბორდო | 14 | 6 | 6 | 2 | 18-11 | 24 |
| 6. ვალანსიენი | 14 | 6 | 4 | 4 | 27-16 | 22 |
| 7. ტულუზი | 14 | 6 | 4 | 4 | 23-16 | 22 |
| 8. რენი | 14 | 7 | 1 | 6 | 18-17 | 22 |
| 9. ლილი | 14 | 5 | 5 | 4 | 16-15 | 20 |
| 10. ნიცა | 14 | 4 | 7 | 3 | 19-19 | 19 |
| 11. ლორიანი | 14 | 4 | 6 | 4 | 22-27 | 18 |
| 12. მონპელიე | 14 | 4 | 5 | 5 | 19-18 | 17 |
| 13. ბრესტი | 14 | 5 | 2 | 7 | 14-18 | 17 |
| 14. ბასტია | 14 | 5 | 2 | 7 | 21-33 | 17 |
| 15. რეიმსი | 14 | 4 | 4 | 6 | 13-14 | 16 |
| 16. აიაჩო | 15 | 4 | 6 | 5 | 15-19 | 16 |
| 17. ევიანი | 14 | 4 | 3 | 7 | 16-22 | 15 |
| 18. სოშო | 14 | 4 | 2 | 8 | 13-20 | 14 |
| 19. ტრუა | 14 | 1 | 5 | 8 | 14-29 | 8 |
| 20. ნანსი | 14 | 1 | 4 | 9 | 9-25 | 7 |

**შენიშვნა:** "აიაჩოს" – 2 ქულა

**ბომბარდირები:** 12 – იბრაჰიმოვიჩი (პსჟ); 9 – ბენ იედერი (ტულუზი), გომისი (ლიონი); 8 – ობამეიანი (სენტ ეტიენი); 6 – ცვიტანიჩი (ნიცა), ერდინჩი (რენი), გუფრანი (ბორდო), მოდესტი (ბასტია).

**ლიგა 1-ის მე-15 ტურის გამორჩეული შეხვედრა დღეს "სტად ჟერლანზე" გაიმართება, სადაც პირველობის ლიდერი "ლიონი" ჩემპიონ "მონპელიეს" უმასპინძლებს. რემი გარდის შეგირდებმა შუა კვირაში "ველოდრომზე" "მარსელი" გაანადგურეს და სატურნირო ცხრილში პირველი პოზიცია დაიბრუნეს. კარგი განწყობაა "მონპელიეს" ბანაკშიც, რადგან გუნდმა ოთხშაბათს, ლიგის თასის მეოთხედფინალში "ნიცა" დაამარცხა და მომდევნო ეტაპზე გავიდა.**

სწორედ "ნიცას" ესტუმრება "პარი სენ ჟერმენი", ვინც ოპონენტის მსგავსად ლიგის თასზე მარცხი განიცადა. ისტორიულად, პსჟ-ს ნიცაში თამაში ძალიან უჭირს, რადგან ბოლო 8 მატჩიდან პარიზელებმა მხოლოდ ერთი მოიგეს, ერთი ფრედ დაასრულეს და ექვსი წააგეს. **კარლო ანჩელოტის** ამ შეხვედრისთვის დანაკლისი არ აქვს, ასე რომ სტუმრები მოედანზე უძლიერესი შემადგენლობით გავლენ და გასვლაზე ჩატარებულ მატჩებში წაუგებელი სერიის გაგრძელებას ეცდებიან.

"ლიონთან" განადგურებული "მარსელი" კი სათამაშოდ ბრესტში ჩადის. მასპინძლებს სერიოზული დანაკლისი აქვთ – მათი ლიდერი, **ედენ ბენ ბასატი** დისკვალიფიცირებულია და საკუთარ გუნდს "ოლიმპიკთან" ვერ დაეხმარება. **ელი ბოპს** ახალი დანაკლისი არ აქვს, ხოლო ის რომ "მარსელს" **ანდრე-პიერ ჟინიაკი,** ვერ ეხმარება, საკმაოდ ძველი ამბავია.

**ტატო ბაციკაძე**



„ლიონის" გომისი შესანიშნავ ფორმაშია

საფრანგეთი. ლიგის თასი. 1/4 ფინალი

# ყველა გაირკვა



რენი-ტრუა

| რენი-ტრუა | 2:1 |
|---|---|

**გოლები:** 1:0 პიტროიპა (8), 1:1 ჟანი (22), 2:1 ალესანდრინი (88).

საფრანგეთში ლიგის თასის ბოლო მეოთხედფინალი გაიმართა. "რენმა" საკუთარ მოედანზე აუტსაიდერ "ტრუას" გაჭირვებით მოუგო და ნახევარფინალის საგზური მოიპოვა. მასპინძლებმა დაწინაურება მე-8 წუთზე, **ჟონათან პიტროიპას** გოლის წყალობით მოახერხეს, თუმცა 22-ე წუთზე "ტრუამ" ანგარიში გაათანაბრა – თავი 17 წლის დებიუტანტმა, უცნაური სახელ-გვარის მქონე **კორენტენ ჟანმა** გამოიჩინა. თინეიჯერი ფეხბურთელისთვის ეს "დიდების ფეხბურთში" პირველი შეხვედრა იყო.

პირველ და განსაკუთრებით მეორე ტაიმში, უპირატესობას "რენი" ფლობდა, მაგრამ სტუმართა მეკარე **იოან ტურამ-ულიენი** შესანიშნავად ირჯებოდა და მასპინძლებს გოლის გატანის შანსს არ აძლევდა, თუმცა 88-ე წუთზე ისიც უძლური აღმოჩნდა. **რომენ ალესანდრენმა** ბოლო 4 შეხვედრაში მესამე გოლი გაიტანა და საკუთარი გუნდი მომდევნო ეტაპზე გაგზავნა.

"რენს" საკუთარი ისტორიის განმავლობაში სულ ორი ტიტული აქვს მოგებული – 1965 და 1971 წლებში გუნდმა საფრანგეთის თასის მოგება მოახერხა. შეგახსენებთ, რომ **ფრედერიკ ანტონეტის** გუნდის გარდა, წლევანდელი ლიგის თასის ნახევარფინალში "სენტ ეტიენი", "მონპელიე" და "ლილი" გავიდნენ.

**ტატო ბაციკაძე**

კოპა სუდამერიკანა. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი

# ბრაზილია არგენტინის წინააღმდეგ

| მილიონარიოსი-ტიგრე | 1:1 |
|---|---|

პირველი მატჩი 0:0

**გოლები:** 0:1 მ. ეჩევერია (66), 1:1 პერლასა (90).

კოპა სუდამერიკანას მეორე ნახევარფინალში ბევრისთვის მოულოდნელი შედეგი დაფიქსირდა. არგენტინულმა "ტიგრემ", საშინაო 0:0-ის შემდეგ, კოლუმბიაში შედეგიანი ფრე ითამაშა და ფინალის საგზური მოიპოვა.

კოლუმბიის ერთ-ერთმა გრანდმა, ტურნირის მიმდინარეობისას საკუთარ მოედანზე "პალმეირასი" და "გრემიო" დაამარცხა, მაგრამ არგენტინის მიმდინარე პირველობის ერთ-ერთ აუტსაიდერს, რომელმაც პირველი გამარჯვება მხოლოდ წინა, მე-17 ტურში მოიპოვა, ვერაფერი მოუხერხა. ანგარიში სტუმრებმა 66-ე წუთზე გახსნეს – ჯარიმიდან ჩამოწოდებულ ბურთს ვეტერანი **ესეკილ მახიოლო** გამოეხმაურა, რომელმაც ცარიელი კარის წინ მდგარ, შეტევაში ჩართულ **მარიანო ეჩევერიას** გადააწოდა და ამ უკანასკნელსაც ბურთის გატანა არ გაჭირვებია.

გაშვებული გოლის შემდეგ "მილიონარიოსს" ფინალში გასასვლელად ორი ბურთის გატანა მართებდა, მაგრამ მასპინძლებმა "ტიგრეს" სარეზერვო გოლკიპერის, **დამიან ალბილის** კარის ბადე მხოლოდ ერთხელ, ისიც არბიტრის მიერ დამატებულ დროში შეარხიეს. მეტისთვის კოლუმბიელებს დრო აღარ ეყოთ და **ნესტორ გოროსიტომ,** ფეხბურთელებთან ერთად, ფინალში გასვლა იზეიმა, სადაც "ტიგრე" "სან პაულოს" შეხვდება.

ფინალური დაპირისპირების პირველი შეხვედრა მომდევნო კვირაში, არგენტინაში გაიმართება.

**ტატო ბაციკაძე**



ტიგრეს ფეხბურთელების ზეიმი

ამბები



რამონ დიასი პრეზენტაციაზე

## რივერ პლეიტის დამრიგებელი რამონ დიასი იქნება

არგენტინული ფეხბურთის გრანდის, "რივერ პლეიტის" ახალი მთავარი მწვრთნელი **რამონ დიასი** იქნება, რომელიც ამ პოსტზე **მატიას ალმეიდას** შეცვლის. ალმეიდა გუნდიდან ცუდი შედეგების გამო გაუშვეს - "ლოს მილიონარიოსმა" ბოლო 7 შეხვედრაში მხოლოდ ერთი მოიგო, რაც ახალგაზრდა სპეციალისტთან გამოთხოვების საბაბი გახდა.

რამონ დიასი "რივერს" ერთხელ უკვე წვრთნიდა და ამ გუნდთან ერთად დიდ წარმატებებსაც მიაღწია. მის ხელში ბუენოს აირესელებმა არგენტინის ჩემპიონის ტიტული 5-ჯერ მოიგეს, გარდა ამისა, სწორედ დიასმა მოაგებინა "რივერს" კოპა ლიბერტადორესი. გასაკვირი ნამდვილად არ არის, რომ დიასი "რივერ პლეიტის" უმდიდრეს ისტორიაში გუნდის ერთ-ერთ საუკეთესო მწვრთნელად მიიჩნევა. 53 წლის სპეციალისტი 1978-1981 წლებში ფეხბურთელის რანგშიც თამაშობდა, ხოლო 1991 წელს, უკვე ვეტერანის ასაკში დაუბრუნდა და აპერტურას საუკეთესო ბომბარდირიც გახდა.

დიასმა, რომელიც "რივერის" გარდა, "ოქსფორდის", "სან ლორენსოს", "ინდეპენდიენტეს" და მექსიკური "ამერიკის" მწვრთნელი იყო, **დანიელ პასარელასთან**, რომელთანაც არც თუ ისე კარგი ურთიერთობა აკავშირებს, კონტრაქტის ყველა დეტალი შეათანხმა და მუშაობას შაბათს, "ლანუსის" წინააღმდეგ დაგეგმილ შეხვედრაში ვარაუდობს.

## MVP ვონდოლოვსკი გახდა

ამერიკის შეერთებულ შტატებში სეზონი დასასრულს მიუახლოვდა. 1 დეკემბერს ფინალურ შეხვედრაში ერთმანეთს "ლოს ანჯელეს გელექსი" და "ჰიუსტონ დინამო" დაუპირისპირდებიან. ფინალურ მატჩამდე, MLS-მა ინდივიდუალური პრიზები ჩამოარიგა და გარდა ამისა, წლის სიმბოლური ნაკრებიც გამოავლინა.

მთავარი პრიზი, სეზონის MVP-ის ტიტული "სან ხოსე ერთქვეიქსის" ფორვარდმა, 27 გოლით რეგულარული სეზონის საუკეთესო ბომბარდირმა, **კრის ვონდოლოვსკიმ** მიიღო. 29 წლის თავდამსხმელმა ძალიან დიდი უპირატესობით აჯობა **ტიერი ანრის**, რომელმაც მეორე ადგილი დაიკავა, მესამეზე კი "სპორტინგ კანზას სიტის" ფეხბურთელი **გრემ ზუსი** გავიდა.

ვონდოლოვსკი **ლენდონ დონოვანის, ტაილორ ტველმანის, ტონი მეოლას** და **ჯეისონ კრეისის** შემდეგ მხოლოდ მეხუთე ამერიკელი გახდა, რომელიც წლის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს.

სხვა პრიზებს რაც შეეხება: წლის საუკეთესო მეკარე "კანზას სიტის" კარის დარაჯი **ჯიმი ნილსენი** გახდა, ხოლო მცველებიდან ასევე "კანზას სიტის" დამცველი **მეტ ბესლერი** გამოარჩიეს. წლის დაბრუნების პრიზი ვეტერანმა ფორვარდმა **ედი ჯონსონმა** მიიღო, ხოლო წლის ახალწვეული **გონსალო იგუაინის** ძმა, **ფედერიკო იგუაინი** გახდა. საუკეთესო მთავარ მწვრთნელად რეგულარული სეზონის გამარჯვებულის, "სან ხოსეს" თავკაცი **ფრენკ იალოპი** აღიარეს.

სიმბოლური ნაკრები კი ასე დაკომპლექტდა:

**მეკარე:** ჯიმი ნილსენი (სპორტინგ კანზას სიტი).

**მცველები:** ვიქტორ ბერნანდესი (სან ხოსე ერთქვეიქსი), მეტ ბესლერი (სპორტინგ კანზას სიტი), ორელიენ კოლენი (სპორტინგ კანზას სიტი).

**ნახევარმცველები:** ოსვალდო ალონსო (სიეტლ საუნდერსი), ლენდონ დონოვანი (ლოს ანჯელეს გელექსი), კრის პონტიუსი (დი სი იუნაიტედი), გრემ ზუსი (სპორტინგ კანზას სიტი).

**თავდამსხმელები:** ტიერი ანრი (ნიუ იორკ რედ ბულსი), რობი კინი (ლოს ანჯელეს გელექსი), კრის ვონდოლოვსკი (სან ხოსე ერთქვეიქსი).

**ტატო ბაციკაძე**

## ესიენი ლონდონში მკურნალობს

**მიკაელ ესიენი**, რომელიც იჯარის წესით მადრიდის „რეალში" თამაშობს, ლონდონის „ჩელსიში" დაბრუნდა... სამკურნალოდ. 29 წლის ნახევარმცველს, როგორც ჩანს, წლეულს თამაში არ მოუწევს. მართალია, „რეალის" წარმომადგენლები უარყოფდნენ, რომ განელი ავადაა, მაგრამ ფაქტია, რომ ის უკვე ლონდონშია, „ჩელსის" ექიმების განკარგულებაში. აფრიკელის გამოჯანმრთელებას იანვარში ვარაუდობენ.

## ატლეტიკო შეიწყალეს, მალაგა – არა

უეფას საგამომძიებლო კომისიამ 16 კლუბს განუახლა ჰონორარების გადახდა, რომელიც შეწყვეტილი ჰქონდა, რადგან ისინი ფინანსური საქმეების მოუწესრიგებლობაში იყვნენ შემჩნეულნი. ეს კლუბებია: „რუბინი", „ჟელეზნიჩარი", „სარაევო", „ბორაცი", სოფიის ცსკა, „ატლეტიკო", ჰაიფას „მაქაბი", „შკენდია", „ფლორიანა", „ბუდუჩნოსტი", „რუდარი", „რუხი", „სპორტინგი", „ვასლუი", „ფენერბაჰჩე" და „ესკიშეჰირი".

დანარჩენ კლუბებს კი კვლავ არ გადაუხდიან ჰონორარს, მეტიც, მათ მიმართ სანქციებიც შეიძლება დაწესდეს. უეფას „შავ სიაში" დარჩენილი კლუბების სია ასეთია: „ჰაიდუკი", „ოსიეკი", „მალაგა", ბუქარესტის „რაპიდი" და „დინამო", „პარტიზანი" და „ვოივოდინა".

## პარიზელები მოურინიოს უარყოფენ

ბოლო დღეებში ძალზე ხშირად ისმის, რომ სეზონის ბოლოს **ჟოზე მოურინიო** კლუბს შეიცვლის და ის „პარი სენ ჟერმენს" ჩაუდგება სათავეში. პარიზული კლუბის ბოსები ხმებმა ისე შეაწუხა, რომ მათ ოფიციალურად უარყვეს, მოურინიოთი დაინტერესება. კლუბის სპორტულმა დირექტორმა ბრაზილიელმა **ლეონარდომ** კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ პსჟ-ს ხელმძღვანელობა მთავარ მწვრთნელ, იტალიელ **კარლო ანჩელოტის** ენდობა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია. ბუნდესლიგა. XV ტურის წინ

# თამაში, რომელსაც ველოდით

## ბაიერნი განრისხებულია, მაგრამ დორტმუნდს მაინც არ ეშინია

| | |
|---|---|
| ფორტუნა-აინტრახტი | 4:0 |

**დღეს**

**შალკე-ბორუსია (მ) 18:30**

**ტრავმა:** აფელაი, ჰიოგერი, მორიტცი - დემსი, ლ. დე იონგი

ბოლო 6 მატჩი: +2=1-3 / +3=2-1

ურთიერთშეხვედრები: სულ 78 თამაში: +23=24-31, (92:130)

**ლევერკუზენი-ნიურნბერგი 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** ფოილნერი (ნიურნბერგი)

**ტრავმა:** კადლეცი, შვააბი, ბელარაბი, ლ. ბენდერი, სემი - შტეფანი, ჰლუშეკი, მენდლერი

ბოლო 6 მატჩი: +5=0-1 / +2=2-2

ურთიერთშეხვედრები: სულ 46 თამაში: +21=13-12, (82:52)

**მაინცი-ჰანოვერი 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** ბაუმგარტლინგერი (მაინცი)

**ტრავმა:** ბუნგერტი, კირხჰოფი, ედე, ჩუპო-მოტინგი - ფელიპე, ანდრეასენი, აბდელაუ

ბოლო 6 მატჩი: +3=0-3 / +3=0-3

ურთიერთშეხვედრები: სულ 12 თამაში: +2=5-5, (9:13)

**აუგსბურგი-ფრაიბურგი 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** დიანიე, დ. კალიჯური (ორივე ფრაიბურგი)

**ტრავმა:** იენტცში, რაინჰარდტი, ვერპეგი, ფოგტი - გინტერი, კალვენტე, პუცილა, ტერაცინო

ბოლო 6 მატჩი: +0=1-5 / +2=2-2

ურთიერთშეხვედრები: სულ 2 თამაში: +0=1-1, (2:3)

**ფიურტი-შტუტგარტი 18:30**

**ტრავმა:** ნდოიე, ტირალა, ფალი - ჰუგლანდი, დიდავი, კვისტი, კაკაუ

ბოლო 6 მატჩი: +0=3-3 / +3=1-2

ბუნდესლიგაში არ უთამაშიათ

**ბაიერნი-ბორუსია (დ) 21:30**

**ტრავმა:** რედერი, ჩანი, ლუის გუსტავო, რობენი (?) - ოვომოიელა

ბოლო 6 მატჩი: +4=1-1 / +4=2-0

ურთიერთშეხვედრები: სულ 86 თამაში: +38=26-22, (162:109)

**ხვალ**

**ჰოფენჰაიმი-ვერდერი 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** რუდი - იუნუზოვიჩი

**ტრავმა:** ვიზე, კრისი, თესკერი, ვესტერგაარდი, ლუდვიგი, მალბაშიჩი, ვუკჩევიჩი - ჰართერცი, ბარგფრედე

ბოლო 6 მატჩი: +1=1-4 / +2=2-2

ურთიერთშეხვედრები: სულ 8 თამაში: +1=2-5, (11:14)

**ვოლფსბურგი-ჰამბურგი 20:30**

**დისკვალიფიკაცია:** არსლანი (ჰამბურგი)

**ტრავმა:** პილარი, ჰელმესი - რაიკოვიჩი, იანსენი, ირაჩეკი, კაჩარი, ნიორგაარდი, რინკონი, სონი, ვან დერ ვაარტი

ბოლო 6 მატჩი: +3=1-2 / +3=1-2

ურთიერთშეხვედრები: სულ 30 თამაში: +11=10-9, (50:43)

**შენიშვნა:** + მოგება, = ფრე, - წაგება () ბურთების სხვაობა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 14 | 12 | 1 | 1 | 40:5 | 37 |
| 2. ლევერკუზენი | 14 | 8 | 3 | 3 | 27:19 | 27 |
| 3. ბორუსია (დ) | 14 | 7 | 5 | 2 | 29:15 | 26 |
| 4. შალკე | 14 | 7 | 3 | 4 | 24:18 | 24 |
| 5. აინტრახტი | 15 | 7 | 3 | 5 | 27:26 | 24 |
| 6. ჰანოვერი | 14 | 6 | 2 | 6 | 27:25 | 20 |
| 7. მაინცი | 14 | 6 | 2 | 6 | 19:17 | 20 |
| 8. ჰამბურგი | 14 | 6 | 2 | 6 | 15:17 | 20 |
| 9. ბორუსია (მ) | 14 | 5 | 5 | 4 | 21:24 | 20 |
| 10. ფრაიბურგი | 14 | 5 | 4 | 5 | 19:16 | 19 |
| 11. შტუტგარტი | 14 | 5 | 4 | 5 | 16:24 | 19 |
| 12. ვერდერი | 14 | 5 | 3 | 6 | 22:23 | 18 |
| 13. ფორტუნა | 15 | 4 | 6 | 5 | 18:19 | 18 |
| 14. ნიურნბერგი | 14 | 4 | 4 | 6 | 14:20 | 16 |
| 15. ვოლფსბურგი | 14 | 4 | 3 | 7 | 13:22 | 15 |
| 16. ჰოფენჰაიმი | 14 | 3 | 3 | 8 | 21:32 | 12 |
| 17. ფიურტი | 14 | 1 | 5 | 8 | 10:25 | 8 |
| 18. აუგსბურგი | 14 | 1 | 4 | 9 | 10:25 | 7 |

**ბომბარდირები:** 9 - ლევანდოვსკი (ბორუსია /დ/), მანჯუკიჩი (ბაიერნი), ა. მაიერი (აინტრახტი); 8 - კისლინგი (ლევერკუზენი), თ. მიულერი (ბაიერნი), სალაი (მაინცი); 7 - იბიშევიჩი (შტუტგარტი).

**გუშინ ფრანკფურტის „აინტრახტი" „ფორტუნას" დიუსელდორფში სტუმრობდა, დღეს მეორე ადგილზე აღზევებული „ლევერკუზენი" წარმატებული სვლის გაგრძელებას „ნიურნბერგთან" მატჩში შეეცდება, მინი-კრიზისში მყოფი „შალკე" „გლადბახს" დაუპირისპირდება, ბრუნო ლაბადია „შტუტგარტთან" ერთად ყოფილ კლუბს, „ფიურტს" შეებრძოლება, „მაინცისა" და „ჰანოვერის" ჯახი კი ევროპალიგის საგზურისთვის ბრძოლაა, მაგრამ ეს ყველაფერი ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით, რაც დღეს საღამოს მიუნხენში უნდა ვნახოთ! ბუნდესლიგის მე-15 ტურში მთელი საფეხბურთო გერმანია და არა მარტო გერმანია, არამედ, თამამად ვიტყვით, მთელი ევროპა „ალიანს არენაზე" დაგეგმილ მატჩზეა ფოკუსირებული: შემოდგომის ჩემპიონი „ბაიერნი" გერმანიის მოქმედ ჩემპიონ „დორტმუნდს" მასპინძლობს!**

„ინგლისურმა კვირამ" ამ დუელს მუღამი ოდნავ დაუკარგა: დორტმუნდელებმა „ფორტუნასთან" წაიფორხილეს (1:1), „ბაიერნმა" კი „ფრაიბურგს" მოუგო (2:0) და შემოდგომის ჩემპიონობა პირველი წრის დასრულებამდე 3 ტურით ადრე გაინაღდა. შესაბამისად, „ბაიერნისა" და „დორტმუნდის" დღევანდელი, ასე ნანატრი დუელი ფურცელზე მხოლოდ ერთპიროვნული ლიდერისა და მესამეადგილოსნის დაპირისპირებად გადაიქცა, მაგრამ ეს მხოლოდ ფურცელზე, ისე კი ამ მატჩს ინტრიგა არ აკლია.

ორი აზრი არ არსებობს: ეს შეხვედრა „დორტმუნდისთვის" უკანასკნელი შანსია, რომ „ბაიერნთან" საჩემპიონო რბოლაში რამე შეცვალოს, რადგან რეკორდმაისტერი მოქმედ ჩემპიონს უკვე 11 ქულით უსწრებს. თუმცა აქვე შარშანდელი დაპირისპირებაც უნდა გავიხსენოთ: 2011 წლის 19 ნოემბერს „ბორუსიამ" მიუნხენში **მარიო გიოტცეს** გოლით 1:0 რომ მოიგო, იმ თამაშამდე „ბაიერნი" „დორტმუნდს" 8 ქულით უსწრებდა და ამ ისტორიის გაგრძელება ყველამ იცის...

### ბაიერნი: მხოლოდ სამი ქულა!

„ფრაიბურგთან" მატჩში „ბაიერნმა" ვერ იბრწყინა, მაგრამ ორი გოლი გაიტანა და სამი ქულა აიღო, რაც საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ზედიზედ ორჯერ ჩემპიონობის გარეშე დარჩენილ რეკორდმაისტერს პირველი წრის მოგება, ანუ, როგორც ამ მიღწევას გერმანიაში უწოდებენ ხოლმე, შემოდგომის ჩემპიონობა გაენაღდებინა. თუმცა შარშანდელისგან განსხვავებით, მიუნხენურ გრანდში ამით არავინ კმაყოფილდება, რადგან კარგად ახსოვთ, რა მოხდა წინა სეზონში, როცა „დორტმუნდთან" მატჩამდე „ბაიერნს" 8-ქულიანი უპირატესობა ჰქონდა, მერე პირველი წრეც მოიგო, ჩემპიონობა კი ბოლოს ისევ „შავ-ყვითლებმა" იზეიმეს.

მაშინ დაშვებული შეცდომის გამეორებას ბავარიელები აღარ აპირებენ და „ბორუსიასთან" დღევანდელ მატჩს, მიუხედავად 11-ქულიანი უპირატესობისა, სრული კონცენტრაციით უდგებიან.





„წინა სეზონში ყატარის შეკრებიდან რომ დავბრუნდით, ხალხი უკვე ჩემპიონობას გვილოცავდა, არადა, წინ მთელი მეორე წრე იყო. ასეთი სისულელეების მოსმენა წელს აღარ მინდა - გერმანიის ჩემპიონატი 34-ე ტურამდე გრძელდება, ან მანამდე, სანამ ჩემპიონობას ოფიციალურად არ გავიფორმებთ," - აცხადებს **თომას მიულერი**, რომელმაც ოთხშაბათს ფრაიბურგში პირველი გოლი (პენალტით) გაიტანა.

შესაბამისად, „ბაიერნის" მიზანი დღეს მხოლოდ გამარჯვებაა, რაც „დორტმუნდთან" უპირატესობას 14 ქულამდე გაზრდის და ბავარიულ გრანდს შვებით ამოასუნთქებს. მართალია, დღესდღეობით მეორე ადგილზე „ლევერკუზენია", მაგრამ ბავარიელთათვის ამოსავალ წერტილად „ბორუსია" რჩება, რადგან **იუპ ჰაინკესი** და მისი შეგირდები უმთავრეს კონკურენტად სწორედ **იურგენ კლოპის** გუნდს მიიჩნევენ, ლევერკუზენელებს კი ოდნავადაც არ უფრთხიან.

„ეს მატჩი ძალიან მნიშვნელოვანია ორივე გუნდისთვის, განსაკუთრებით კი ჩვენთვის, რადგან ზედიზედ ორჯერ ვერ გავხდით ჩემპიონები, რაც „ბაიერნისთვის" დიახაც კატასტროფაა. თავისუფლად უნდა ვითამაშოთ - არავითარი სტრესი ან წნეხი. უკვე არაერთხელ დავრწმუნდით, რომ „დორტმუნდთან" შიშნარევი ფეხბურთი დამღუპველია," - ეს **ფრანკ რიბერის** სიტყვებია.

თუმცა ბავარიელები წნეხსა და სტრესს მაინც ვერსად გაექცევიან, რადგან წინა ორ სეზონში ოთხივე დუელი (!) დორტმუნდმა მოიგო, რაც „ბაიერნისთვის", რბილად რომ ვთქვათ, შეურაცხმყოფელი სტატისტიკაა.

მიუნხენელთა თავკაცმა **იუპ ჰაინკესმა** ფრაიბურგში **ბასტიან შვაინშტაიგერიც** დაასვენა და გოლეადორი **მარიო მანჯუკიჩიც**. თავად „დონ იუპიც" ამბობს, შვაინი გადაღლილი იყო და „დორტმუნდთან" შეხვედრისთვის ამოსუნთქვის საშუალება მივეციო. იგივე ეხება მანჯუკიჩსაც, რომლის დასვენებით ჰაინკესმა „ორი კურდღელი დაიჭირა": ხორვატი თავდამსხმელი ხომ დაასვენა და თან **მარიო გომესიც** მოიმადლიერა, რომელიც 3-თვიანი იძულებითი პაუზის შემდეგ პირველად ვიხილეთ „ბაიერნის" ძირითად შემადგენლობაში. ფაქტია, რომ „ბორუსიასთან" სასტარტოში კვლავ მანჯუკიჩი ითამაშებს.

### დორტმუნდი: კლოპი ბაიერნს აღიარებს, მაგრამ არ ეშინია

„ბორუსიას" თავკაც **იურგენ კლოპს** კარგად ესმის, რომ „ბაიერნი" განრისხებულია. „ამის მიზეზი მიუნხენელებს ნამდვილად აქვთ, რადგან ბუნდესლიგაში ზედიზედ ოთხჯერ მოვუგეთ, გერმანიის თასის ფინალშიც დავამარცხეთ და ზედიზედ ორჯერ წავართვით მათთვის ჩვეულებად ქცეული ჩემპიონობა. მაგრამ ჩვენ „ბაიერნის" არ გვეშინია. ჩვენ ჩავდივართ მიუნხენში და ვითამაშებთ ჩვენს ფეხბურთს," - განაცხადა კლოპმა ხუთშაბათს გამართულ პრესკონფერენციაზე.

**მარიო გიოტცეს, ილქაი გიუნდოგანს** და **მატს ჰუმელსს** მცირე ტრავმები აწუხებდათ, მაგრამ „დორტმუნდის" ექიმებმა თავი არ დაზოგეს და დღეს სამივე მათგანი ძირითად შემადგენლობაში იქნება. კითხვაზე, რატომაა „ბაიერნი" დღეს ასეთი ძლევამოსილი, კლოპმა უპასუხა, ეს ჩვენი, დორტმუნდის „ბორუსიას" დამსახურებაცაა: „მათ ზედიზედ ორჯერ დაკარგეს გერმანიის ჩემპიონობა, რაც ბოლოს 16 წლის წინ იყო მომხდარი და ეს მაშინაც „დორტმუნდმა" გააკეთა. შესაბამისად, ლოგიკურია, რომ ზაფხულში გუნდი მნიშვნელოვნად გააძლიერეს და დამშეულები არიან."

„ბორუსიას" თავკაცს დღევანდელ „ბაიერნში" ყველაზე მეტად ის მოსწონს, რომ ბავარიული გრანდის ფეხბურთელები წინა სეზონებისგან განსხვავებით, ბევრს დარბიან, დაღლილობა კი არ ეტყობათ, რაც საკმაოდ გრძელი და ხარისხიანი სათადარიგოთა სკამის დამსახურებაა. „ფრაიბურგთან მატჩი დეტალურად გავაანალიზე და გავოცდი - მიუნხენელთა ერთ-ერთ კონტრშეტევაში ერთბაშად ექვსმა ბაიერნელმა მიიღო მონაწილეობა, რაც ადრე არ ხდებოდა," - თქვა კლოპმა.

ამასობაში, საფეხბურთო გერმანიის დიდ ნაწილს სჯერა, რომ „ბორუსია" მიუნხენში ისევ მოიგებს. „კიკერის" მიერ ჩატარებულ გამოკითხვაში, 25 000-მდე გამოკითხულთა 49.2 პროცენტი დარწმუნებულია, რომ დორტმუნდელები „ალიანს არენაზე" სამ ქულას მოიპოვებენ და მხოლოდ 37.1 პროცენტს სჯერა „ბაიერნის" გამარჯვების.



მწვრთნელთა დუელის მოლოდინში



რობენი ჰუმელსის წინააღმდეგ

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ბაიერნი (4-2-3-1):** *ნოიერი - ლამი, დანტე, ბადშტუბერი, ალაბა - ხავი მარტინესი, შვაინშტაიგერი - თ. მიულერი, კროოსი, რიბერი - მანჯუკიჩი.*

**ბორუსია /დ/ (4-2-3-1):** *ვაიდენფელერი - პიშჩეკი, სუბოტიჩი, ჰუმელსი, შმელცერი - ს. ბენდერი, კელი - ბლაშჩიკოვსკი, გიოტცე, როისი - ლევანდოვსკი.*

**გოტფრიდ ლენცი**

ესპანეთი. ლა ლიგა. XIV ტურის წინ

# მეზობელო კარისაო...

| | |
|---|---|
| ოსასუნა-ვალეკანო | 1:0 |

**დღეს**

**ხეტაფე-მალაგა 19:00**

**დისკვალიფიკაცია:** მიჩელი (ხეტ)

**ტრავმა:** ლოპესი - სანჩესი, მონრეალი, ბაპტიშტა

ბოლო 6 მატჩი: +3=0-3 / +2=2-2

ურთიერთშეხვედრები: სულ 16 თამაში: +5=3-8, (24-26)

**ვალენსია-სოსიედადი 21:00**

**დისკვალიფიკაცია:** რამი, კოშტა - ილარამენდი

**ტრავმა:** კანალესი, მატიო - კადამურო, ბერგარა, ელუსტონდო

ბოლო 6 მატჩი: +3=1-2 / +2=2-2

ურთიერთშეხვედრები: სულ 32 თამაში: +15=11-6, (52-33)

**ბარსელონა-ბილბაო 23:00**

**ტრავმა:** აბიდალი, კვენკა (?), მუნიესა, სანჩესი, ბარტრა, ალვეში - პერესი, გურპეგი, გალარეტა, ირაოლა

ბოლო 6 მატჩი: +6=0-0 / +2=1-3

ურთიერთშეხვედრები: სულ 44 თამაში: +28=10-6, (94-37)

**რეალი-ატლეტიკო 01:00**

**ტრავმა:** იგუაინი, მარსელო, ესიენი, ალბიოლი - როდრიგესი (?)

ბოლო 6 მატჩი: +5=0-1 / +5=0-1

ურთიერთშეხვედრები: სულ 36 თამაში: +25=9-2, (75-33)

**ხვალ**

**გრანადა-ესპანიოლი 15:00**

**დისკვალიფიკაცია:** ს. გარსია, მორენო (ესპ)

**ტრავმა:** რომერო, იებდა, ბრაიმი, ფ. რიკო (გრან)

ბოლო 6 მატჩი: +1=0-5 / +2=1-3

ურთიერთშეხვედრები: სულ 2 თამაში: +1=0-1, (2-4)

**დეპორტივო-ბეტისი 20:00**

**ტრავმა:** ოლივეირა, სალომაო, კასტრო, საული (?), მარჩენა - პაულაუ, პერკისი, ლოპესი (?), მარიო

ბოლო 6 მატჩი: +1=2-3 / +3=1-2

ურთიერთშეხვედრები: სულ 28 თამაში: +13=10-5, (37-18)

**სელტა-ლევანტე 22:00**

**ტრავმა:** ლიორკა - დუდკა

ბოლო 6 მატჩი: +1=2-3 / +3=1-2

ურთიერთშეხვედრები: სულ 6 თამაში: +1=3-2, (8-8)

**მალიორკა-სარაგოსა 00:00**

**ტრავმა:** მარკესი, ჟ. ვიქტორი, ხიმენესი - მარი (?), ლანძარო, ობრადოვიჩი

ბოლო 6 მატჩი: +0=1-5 / +3=0-3

ურთიერთშეხვედრები: სულ 26 თამაში: +14=4-8, (36-31)

**ზეგ**

**სევილია-ვალიადოლიდი 00:30**

**დისკვალიფიკაცია:** ფასიო, სპაჰიჩი, ლუნა, რაკიტიჩი (სევ)

**ტრავმა:** დელ მორალი, ტროხოვსკი, ნეგრედო - სერენო

ბოლო 6 მატჩი: +2=1-3 / +2=2-2

ურთიერთშეხვედრები: სულ 22 თამაში: +7=10-5, (36-26)

**შენიშვნა:** + მოგება, = ფრე, - წაგება () ბურთების სხვაობა

**შენიშვნა:** ურთიერთშეხვედრები ჩემპიონატისა და თასის მატჩები 1994 წლიდან

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 13 | 12 | 1 | 0 | 43-15 | 37 |
| 2. ატლეტიკო | 13 | 11 | 1 | 1 | 29-11 | 34 |
| 3. რეალი | 13 | 8 | 2 | 3 | 32-10 | 26 |
| 4. მალაგა | 13 | 6 | 4 | 3 | 19-9 | 22 |
| 5. ბეტისი | 13 | 7 | 1 | 5 | 20-22 | 22 |
| 6. ლევანტე | 13 | 6 | 2 | 5 | 15-20 | 20 |
| 7. ხეტაფე | 13 | 6 | 1 | 6 | 16-19 | 19 |
| 8. ვალეკანო | 14 | 6 | 1 | 7 | 18-30 | 19 |
| 9. ვალიადოლიდი | 13 | 5 | 3 | 5 | 18-14 | 18 |
| 10. სევილია | 13 | 5 | 3 | 5 | 18-18 | 18 |
| 11. ვალენსია | 13 | 5 | 3 | 5 | 16-18 | 18 |
| 12. სოსიედადი | 13 | 5 | 2 | 6 | 16-16 | 17 |
| 13. სარაგოსა | 13 | 5 | 0 | 8 | 15-22 | 15 |
| 14. ბილბაო | 13 | 4 | 3 | 6 | 18-27 | 15 |
| 15. სელტა | 13 | 4 | 2 | 7 | 15-18 | 14 |
| 16. ოსასუნა | 14 | 3 | 4 | 7 | 12-15 | 13 |
| 17. მალიორკა | 13 | 3 | 3 | 7 | 13-22 | 12 |
| 18. დეპორტივო | 13 | 2 | 5 | 6 | 19-28 | 11 |
| 19. გრანადა | 13 | 3 | 2 | 8 | 11-20 | 11 |
| 20. ესპანიოლი | 13 | 2 | 3 | 8 | 13-22 | 9 |

**ბომბარდირები:** 19 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 12 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 11 - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო); 8 - არიც ადურისი (ბილბაო).



რეალის ბოლო ვარჯიში დერბის წინ

**ზამთრის პირველი ტური ჩემპიონატის ერთ-ერთი საკვანძო მატჩით იწყება - მადრიდული დერბით - მაღამ, „სანტიაგო ბერნაბეუზე" „სამეფო კლუბს" მეზობელი, მადრიდის „ატლეტიკო" ჰყავს სტუმრად. რაც მთავარია, დერბის, ისე როგორც არასდროს ბოლო ათწლეულში, დიდი სატურნირო მნიშვნელობა აქვს - ჟოზე მოურინიოს გუნდს შეუძლია, მეტოქეს საჩემპიონო ამბიცია ძირშივე შეუკვეცოს, დიეგო სიმეონეს გუნდს კი ძალუძს, მეტოქეს ტიტულის შენარჩუნების საბოლოო იმედი მოუსპოს. საოცარია, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში დერბის გამარჯვებული „ბარსელონა" დარჩება, რომელიც თავის მხრივ ბილბაოს „ატლეტიკს" მასპინძლობს და ლა ლიგის ყველა დროის რეკორდს „ეთამაშება".**

### გატეხავს ნავსს ატლეტიკო?

ლა ლიგაში 4 მადრიდული კლუბია, თუმცა ნამდვილი „ელ დერბი მადრილენიო" მხოლოდ „რეალსა" და „ატლეტიკოს" შორისაა. „ლოს როხიბლანკოსის" ფანები „რეალს" „მთავრობის გუნდს და ქვეყნის სირცხვილს" უძახიან. მოგეხსენებათ, როგორი დამოკიდებულება შეიძლება იყოს ამ ორ კლუბს შორის. „ატლეტიკოს" რიგებში ერთი ფეხბურთელია, რომელსაც „რეალში" უთამაშია - 27 წლის მცველი **ხუანფრან ტორესი**.

ჩემპიონატში „ატლეტიკომ" ბოლოს 1999 წელს დაამარცხა „რეალი" - „სანტიაგო ბერნაბეუზე" 3:1 მოუგო. სხვათა შორის, ამ სეზონში „ატლეტიკო" პრიმერადან გავარდა. მას მერე „რეალის" უპირატესობას უზარმაზარი ეთქმის. გასულ სეზონში **მოურინიოს** გუნდმა ორივე თამაში ერთნაირად, 4:1 მოუგო პრინციპულ მეტოქეს. თუმცა სიტუაცია კარდინალურად შეიცვალა წლეულს - „ატლეტიკო" 34 ქულით მე-2 ადგილზეა და „რეალს" 8 ქულით (!) უსწრებს. მისი ლიდერი **რადამელ ფალკაო** ესპანურ პრესას ინტერვიუს ინტერვიუზე აძლევს და ხმამაღლა აცხადებს, რომ მისი გუნდისთვის „ბერნაბეუზე" ფრეც კი მიუღებელი შედეგი იქნება.

„ალკოიანოსთან" სათასო მატჩში **რაულ ალბიოლმა** კოჭი დაიზიანა, ამიტომ „რეალის" მცველი დერბის დააკლდება. ალბიოლის გამოკლება არ უნდა იყოს დიდი პრობლემა, რადგან ჟოზე მოურინიო მას სასტარტო შემადგენლობაში მაინც ძალზე იშვიათად ათამაშებს. აი, სამი სხვა ფეხბურთელი, რომლებიც ასევე ვერ ითამაშებენ, უფრო დიდი დანაკლისია: **გონსალო იგუაინი, მარსელო** და **მიკაელ ესიენი** მზად არ არიან. ჟოზე მოურინიოს მთავარი არჩევანი შუახაზში აქვს გასაკეთებელი, ვინ ათამაშოს - **მესუთ იოზილი** თუ **ლუკა მოდრიჩი** (კაკას შანსი მცირე აქვს). დანარჩენი 10 ფეხბურთელის გამოცნობა კი ადვილია.

„ატლეტიკოს" ბელგიელი მეკარე **ტიბო კურტუა** უბრუნდება, რომელიც გაციებული იყო და სათასო ბატალიას დააკლდა. „ხაენთან" მატჩში გუნდმა დაკარგა ძალზე საინტერესო ნახევარმცველი **კრისტიან „სებოლა" როდრიგესი**, რომელსაც თამაშის შანსი თითქმის არ აქვს.

* „რეალმა" ბოლო 6 ოფიციალური მატჩიდან მხოლოდ სამი მოიგო.

* „ლოს მერენგესს" ყველაზე კარგი საგოლე მაჩვენებელი აქვს საშინაო მატჩებში - 3,3 გოლი საშუალოდ ერთ შეხვედრაში.

* **კრიშტიანო რონალდომ** „ატლეტიკოსთან" ბოლო 2 მატჩში 5 გოლი გაიტანა.

* ბოლო 23 დერბიდან 17 „რეალმა" მოიგო, დანარჩენი კი ფრედ დამთავრდა.

* ამხელა უპირატესობით „ატლეტიკო" „რეალს" ცხრილში 1995/96 წლების სეზონის შემდეგ არ უსწრებდა, მაშინ „ლოს როხიბლანკოსმა" ჩემპიონატი მოიგო.

* დღეს 258-ე მადრიდული დერბია

სავარაუდო შემადგენლობები

**რეალი (4-2-3-1):** *კასილიასი - არბელოა, სერხიო რამოსი, პეპე, ფ. კოენტრაო - ხედირა, ჩაბი ალონსო - დი მარია, იოზილი, რონალდო - ბენზემა.*

**ატლეტიკო (4-4-2):** *კურტუა - ხუანფრანი, მირანდა, გოდინი, ფილიპე ლუიში - კოკე, მ. სუარესი, გაბი, არდა თურანი - ფალკაო, დ. კოშტა.*

### სამი ქულა რეკორდამდე

**ტიტო ვილანოვას** გუნდს ლა ლიგის ყველა დროის საუკეთესო სტარტის მისაღწევად დღეს „ბილბაოს" დამარცხება ჰყოფნის. ბასკური კლუბი კრიზისშია, 15 ქულით მხოლოდ მე-14 ადგილზეა. ამ ფონზე „ბარსას" გამარჯვება ლოგიკურიც ჩანს, თუმცა **მარსელო ბიელსას** გუნდის ძალების უგულვებელყოფა არ შეიძლება და ეს უპირველესად კატალონიურ გრანდში იციან.

ბრაზილიელი მცველი **დანი ალვეში** გამოტოვებს ამ შეხვედრას, ისევე როგორც **კვენკა, ბარტრა** და **ალექსის სანჩესი**. **ადრიანომ** ვარჯიში განაახლა, თუმცა ბრაზილიელი მცველის თამაში მაინც საეჭვოა.

ვარჯიშზე მიღებული ტრავმის გამო „ბილბაოს" არ ეყოლება მარჯვენა მცველი **ანდონი ირაოლა**. ნახევარმცველი **გურპეგი** კვლავ ლაზარეთშია, ხოლო გუნდის ბომბარდირი **არიც ადურისი** ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციის მოხდის შემდეგ ბრუნდება.

* „ბარსელონამ" ბოლო 11 ოფიციალური მატჩიდან 10 მოიგო.

* ესპანური ლიგის 113-წლიან ისტორიაში საუკეთესო სტარტისთვის კატალონიელებს სამი ქულა აშორებთ.

* **დავიდ ვილიამ** სათასო მატჩში შეძლო კარიერაში მე-300 გოლის გატანა.

* „ბილბაომ" ბოლო 16 ოფიციალური მატჩიდან მხოლოდ 4 მოიგო.

* „ლოს ლეონესს" „ბარსასთან" ბოლო 7 შეხვედრიდან 5 წაგებული აქვს.

* „ბილბაომ" ბოლოს 2006 წელს მოუგო „ბარსელონას" - „სან მამესზე" 3:1.

სავარაუდო შემადგენლობები

**ბარსელონა (4-3-3):** *ვალდესი - მონტოია, პიკე, პუიოლი, ალბა - ჩავი, ბუსკეტსი, ინიესტა - პედრო, მესი, ვილია.*

**ბილბაო (4-2-3-1):** *ირაისოსი - დე მარკოსი, ეკიზა, ამორებიეტა, აურტენეჩე - იტურასპე, ანდერი - სუსაეტა, ი. გომესი, მუნიაინი - ადურისი.*

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული სპორტი

ძიუდო. ტიუმენის ტურნირი



ლაშა შავდათუაშვილი

# ნავა ლაშა ტიუმენში?

15 დეკემბერს ტიუმენი ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირს - „გამოწვევის თასი" უმასპინძლებს, რომელშიც ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი **ლაშა შავდათუაშვილიცაა** (66) მიწვეული. თუმცა გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ჩვენებური იქ ვერ იჭიდავებს, რადგან თიაქარის ოპერაციის შემდეგ ჯერ კიდევ სარეაბილიტაციო პერიოდს გადის და სრულად ვერ იტვირთება. მან ვარჯიში კი განაახლა, მაგრამ მხოლოდ მსუბუქად ემზადება - ცურვა, სიმძიმეების აწევა, ტრენაჟორები (ესეც - გარკვეული ფორმით), ფიზიკურად ვერ იჯაფება და ვერც ლეიბზე შედის. ამას მხოლოდ 18 დეკემბრის შემდეგ შეძლებს, როცა ოპერაციიდან 3 თვე გავა. ესეც იმ შემთხვევაში, თუ სარეაბილიტაციო პერიოდი გეგმაზომიერად წარიმართება და ახალი გართულებები არ იჩენს თავს. ჯერჯერობით ამის საშიშროება არ ჩანს და ღმერთმა ნუ ქნას. ამავე მიზეზით ოლიმპიური ჩემპიონი 8-89 დეკემბერს დანიშნულ საქართველოს ჩემპიონატსაც გამოტოვებს. ჯერჯერობით არც იმის თქმა შეიძლება, იასპარეზებს თუ ვერა 2-3 თებერვალს თბილისში გასამართ კონტინენტის თასზე (ამიერიდან ამ შეჯიბრებებს ასე ეწოდებათ და არა მსოფლიოს თასი, როგორც აქამდე იყო). როგორც თავად სპორტსმენმა გვითხრა, ეს დამოკიდებული იქნება მის იმჟამინდელ ფორმაზე, მისცემს თუ არა ორგანიზმი გამოსვლის საშუალებას. არაა გამორიცხული, გართულებათა თავიდან ასაცილებლად თბილისის ტურნირი გამოტოვოს და 9-10 თებერვალს პარიზის „დიდ მუზარადზე" იჭიდაოს.

ამ ყველაფრის მიუხედავად, შესაძლოა, შავდათუაშვილი ტიუმენში მაყურებლად მაინც ჩავიდეს - ეს იმ შემთხვევაში, ორგანიზატორები თუ დაჟინებით მოითხოვენ ამას, როგორც ტურნირის პრესტიჟის ამაღლების საშუალებას. შეგახსენებთ, რომ შეჯიბრების იდეა ძიუდოს ევროპულ კავშირს ეკუთვნის და მხოლოდ 66-ში ტარდება, სადაც მიწვეულია სულ რვა სპორტსმენი: შავდათუაშვილთან ლონდონურ ფინალში დამარცხებული უნგრელი **მიკლოშ უნგვარი**, ესპანელი მსოფლიოს ვიცე და ევროპის ჩემპიონი **სუგოი ურიარტე**, მონღოლი მსოფლიოს ჩემპიონი, ოლიმპიური პრიზიორი **ცაგანბაატარ ხაშბაატარი**, „მასტერსის" სლოვენიელი გამარჯვებული **როკ დრაკშიჩი**, აზიის ყაახი ჩემპიონი **სერგეი ლიმი**, აზერბაიჯანელი ევროპის ვიცე-ჩემპიონი **ტარლან კერიმოვი** და მასპინძელთა მსოფლიოს მესამე პრიზიორი **მუსა მოგუშკოვი**. ტურნირის საპრიზო ფონდი 60 000 ევროა.

**ირაკლი თავაძე**

თავისუფალი ჭიდაობა. ხაბელოვის ტურნირი

# ჭაბუკთა მორიგი შანსი

ამ დღეებში თბილისმა ისევ უმასპინძლა სახელოვანი ფალავანის, მსოფლიოს ხუთგზის, ევროპის ოთხგზის და ოლიმპიურ ჩემპიონ **ლერი ხაბელოვის** სახელობის ტურნირს ჭაბუკთა შორის, რომელიც ორ ასაკობრივ ჯგუფში ჩატარდა - 1997-98 და 1999-2000 წლებში დაბადებულთა შორის. სახელოვან ფალავანს შეჯიბრებაზე საპატიო სტუმრებიც ბლომად დაესწრნენ - მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი და ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსანი **გურამ სალარაძე**, მსოფლიოს ასევე ორგზის გამარჯვებული, ევროპის ხუთგზის ჩემპიონი და ოლიმპიადის ორგზის ბრინჯაოს მედალოსანი **ლუკა კურტანიძე**, ევროპის სამგზის და მსოფლიოს ჩემპიონი **ზარიბეგ ბერიაშვილი**, ევროპის ორგზის ჩემპიონი, მსოფლიოს პრიზიორი **დავით პოლოსიანი**, ევროპის ჩემპიონი **ემზარ ბედინეიშვილი**...

შეჯიბრებამ მოზარდთა დიდი ინტერესი გამოიწვია - 26 გუნდის 250-მდე ჭაბუკი გამოდიოდა. გამორჩეული აღიარება უფროსთა შორის 69 კილოგრამში გამარჯვებულ **თორნიკე კიკნაძეს** (ხაბელოვის კლუბი) ხვდა წილად, რომელსაც ხაბელოვის თასი და ფულადი ჯილდო გადაეცა, ყველაზე ტექნიკურ მოჭიდავედ კი ამავე ასაკის წარმომადგენელი რუსთაველი **ლექსო კილაძე** (42) დაასახელეს.

### პვარცხლბეკი

1997-98 წ.წ. **42 კგ.** 1. ლექსო კილაძე (რუსთავი); 2. ვასილ მამულაშვილი (მართვე); 3. ელშან ნიფტანოღლი (ქარელი), არზუმ თარგამიანი (ნინოწმინდა).

**46 კგ.** 1. ალეკო ლომიძე (ხაშური); 2. გოგა მამიაური (ოლიმპიური მზადების ცენტრი; 3. გიორგი ლვინიანიძე (სოფ. დილომი), აგილ ბახმადოღლი (ქარელი).

**50 კგ.** 1. გაიოზ გონგლაძე (ხაშური); 2. გიორგი სამაკაშვილი (მართვე); 3. ფახრატ აგაჯანოვი (სადახლო), ნოდარ ბინაძე (რუსთავი).

**54 კგ.** 1. ლევან ინასარიძე (გამარჯვება); 2. თორნიკე კვინიკაძე (ხაშური); 3. სერგო ზაზაძე (გამარჯვება), გელა ქოქიაშვილი (დედოფლისწყარო).

**58 კგ.** 1. გოჩა ყიფშიძე (აჭარა); 2. მამუკა ჩაჩუა (თედიაშვილის კლუბი); 3. ელვარ ნაბიოღლი (ქარელი), გრიშა ოგანესიანი (ახალქალაქი).

**63 კგ.** 1. ჯანგირ ახმედოვი (ქარელი); 2. გიორგი ჭალიძე (კურტანიძის კლუბი); 3). ოთარ გაბელია (ხაბელოვის კლუბი), ირაკლი მენთეშაშვილი (დედოფლისწყარო).

**69 კგ.** 1. თორნიკე კიკნაძე (ხაბელოვის კლუბი); 2. მამუკა არაბული; 3). გიორგი პავლიაშვილი (ორივე - დედოფლისწყარო), საბა ჭილაია (რუსთავი).

**76 კგ.** 1. მოგელი მეზვრიშვილი (გორი); 2. ზაურ ბერიძე (ოლიმპიური მზადების ცენტრი); 3. ჯაბა მაისურაძე (კურტანიძის კლუბი), დავით ფირუზაშვილი (სოფ. დილომი).

**85 კგ.** 1. კოტე გაბაშვილი (თედიაშვილის კლუბი); 2. მარადი ვანაძე (ნინოწმინდა); 3. ბაჩანა მიქელაშვილი (ხაშური), გიორგი შამათავა (თედიაშვილის კლუბი).

**1999-2000 წ.წ. 26 კგ.** 1. შამილ გაჯიევი (ყვარელი); 2. იგორ ბერიძე (აჭარა); 3. გიორგი ფიფია (რუსთავი), საბა გოგსაძე (ამბროლაური).

**29 კგ.** 1. თორნიკე ქათამაძე (აჭარა); 2. ბექა გიგაური (ქარელი); 3. გიორგი გედენიძე (კურტანიძის კლუბი), ბაჩუკი ავალიშვილი (დმანისი).

**32 კგ.** 1. ნიკა გოგრიჭიანი (ამბროლაური); 2. გიგი ბლიაძე (ხაშური); 3. ბექა იაშვილი (ამბროლაური), ლუკა ქარჩხაძე (აჭარა).

**35 კგ.** 1. გიორგი გელაშვილი; 2. გიორგი ელბაქიძე (ორივე - ამბროლაური); 3. ნიკა მათიაშვილი (კურტანიძის კლუბი), ზელიმხან საიდოვი (ყვარელი).

**38 კგ.** 1. ვლადიმერ გამყრელიძე (ამბროლაური); 2. ნარიბე ოგანესიანი (ნინოწმინდა); 3. გაბრიელ გობეჯიშვილი (ამბროლაური), ამირან ვახტანგიშვილი (გორი).

**ირაკლი თავაძე**



„...აჭობებს, თუ გამორჩევით მჭიდროა" გამოხმაურება-შეჯამება



დავით კვინიკაძე

# დიდი სიფრთხილე გვმართებს

**კვირის თემა: „არის თუ არა აუცილებელი, მოსწავლე და სტუდენტ სპორტსმენებს მიეცეთ სწავლის პერიოდში შეღავათები და გაცდენები ჩაეთვალოთ საპატიოდ შეკრებებსა და შეჯიბრებებში მონაწილეობის პერიოდში"? გთავაზობთ გამოხმაურება - შეჯამებას.**

მიილია ერთი კვირა და დადგა დრო, შევაჯამოთ ამ დღეების განმავლობაში საჯარო განხილვისთვის შემოთავაზებული მთავარი თემის შედეგები. სხვათა შორის, იმაზე, თუ ვისთვის მიგვენდო შეფასება და ბოლო სიტყვა, დიდხანს არ გვიფიქრია. უმალვე ყურადღება შევაჩერეთ ისეთ სპეციალისტზე, პიროვნებაზე, რომელმაც დიდხანს იმუშავა როგორც განათლების სისტემაში, ისე სპორტის მმართველ სტრუქტურაში და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში მაღალ თანამდებობებზე. ეს გახლავთ საქართველოს სპორტულ სამყაროში კარგად ცნობილი ორგანიზატორი **დავით კვინიკაძე**. მოვუსმინოთ:

უპირველესად მინდა გითხრათ, რომ კარგი საქმე გაკეთდა ხსენებული თემის წინა პლანზე წამოწევით. საზოგადოება, ვფიქრობ, გულგრილი არ დარჩა. ამაზე კი ცხადად თუნდაც გამოხმაურებათა სიმრავლე მეტყველებდა. მეტწილად სწორად იყო აქცენტები გაკეთებული, რასაც მეც ვეთანხმები.

ვეთანხმები იმას, რომ სწავლაში არ უნდა იყოს შეღავათები. მოდით, ასე ვთქვათ, უმაღლესში შედიხარ ცოდნით პროფესიის დასაუფლებლად და არა მხოლოდ დიპლომის მისაღებად. კი ბატონო, იყო დრო, როცა დიპლომის საპირწონედ ცოდნას არავინ მიიჩნევდა და ეს მაგიური საბუთი მაინც საგანძურად ითვლებოდა. „უდიპლომო სასიძო" ხომ გახსოვთ. დიახ, მთავარი იყო დიპლომი, ცოდნას არავინ არაფრად დაგიდევდათ. მაგრამ ის დრო წარსულში დარჩა. არადა, ძველი თაობის ჩვენს სპორტსმენებს მეტწილად ხომ ორორი დიპლომი ჰქონდათ. ვისაც შეუძლია მაღალი ოსტატობის სპორტი შეუთავსოს სწავლას, ხელი მოემართოს. მაგრამ პირდაპირ ვთქვათ, ასეთი ხომ ათიათასში შეიძლება ერთი იყოს. გამონაკლისს კი წესად ვერ ვაქცევთ, ჩვენ მართვაზე, მწყობრ სისტემაზე ვლაპარაკობთ და არა გამონაკლისზე. დღეს ხომ პროფესიონალიზმისკენ მიდის ყველაფერი. ჰოდა, კარგად დავფიქრდეთ.

დაახლოებით იგივე ითქმის სკოლებზეც, თუმცა იქ ნაკლებადაა პროფესიული სპორტი.

პრობლემა გარედან არ უნდა რეგულირდებოდეს და ხელოვნური ჩარევა არც არაფერს მოგვიტანს სასიკეთოს. ხელაღებით აქ რაიმე წესის დადგენა მართებული არა მგონია იყოს. დიდი სიფრთხილე გვმართებს.

სპორტი სწავლის ხარჯზე თუ პირიქით? ჩემი აზრით, არც ერთი ვარიანტია მისაღები და არც მეორე.

***დავით კვინიკაძე***
*სპორტის ექსპერტი*

## მომავალი კვირის თემა: ბავშვთა ფეხბურთი

სიტუაცია

# კახა გეწაძე სასამართლოს წინაშე დღეს წარსდგება

საპგენტოების მიერ გავრცელებული ცნობით, ზესტაფონის გამგებელი და საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი **კახა გეწაძე** 29 ნოემბერს იმერეთის სამხარეო პოლიციის მთავარი სამმართველოსა და იმერეთის საოლქო პროკურატურის თანამშრომლებმა ერთობლივად ჩატარებული ღონისძიების შედეგად დააკავეს. შსს-ს ინფორმაციით, გეწაძეს ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის III ნაწილით, 118-ე მუხლის III ნაწილითა და 187-ე მუხლის I ნაწილით წარედგინა. გამოძიება მას „ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით ჩადენილი ხულიგნობის", „ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებისა" და „სხვისი ნივთის დაზიანების" გამო ედავება.

როგორც „ინტერპრესნიუსს" გეწაძის ადვოკატმა **ელისო დათუსანმა** განუცხადა, აღმკვეთ ღონისძიებასთან დაკავშირებით პროცესი 30 ნოემბერს არ გაიმართა და სასამართლო სხდომა დღეისთვის დაინიშნა.

მისივე თქმით, დაცვის მხარე ხვალინდელ პროცესზე გეწაძისთვის გირაოს შეფარდების მოთხოვნას დააყენებს.

„დაცვის მხარე იბრძოლებს, რომ მას გირაო შეეფარდოს. გეწაძე იყენებს დუმილის უფლებას და ბრალს არ აღიარებს. თუკი გირაოს შეუფარდებს სასამართლო, შემდეგ ვიბრძოლებთ, რომ მისი უდანაშაულობა დავამტკიცოთ", — განაცხადა ადვოკატმა.

ჭადრაკი

# რეიტინგი სადეკემბროდ

ფიდემ გუშინ საღამოს თავის საიტზე მსოფლიოს საუკეთესო მოჭადრაკეთა განახლებული რეიტინგი გამოაქვეყნა. ქალთა ასეულს 2705 პუნქტით ისევ იუდით პოლგარი (უნგრეთი) უდგას სათავეში. ლიდერს 95 პუნქტით ჩამორჩება ინდოელი ჰამფი კონერუ. 2606 პუნქტით მესამე ადგილზეა აწ უკვე მსოფლიოს ექსჩემპიონი ჰოუ იფანი (ჩინეთი). ათეულში მომდევნო ადგილებზე მოდიან ანა მუზიჩუკი (სლოვენია) — 2586, ჟაო სიუ (ჩინეთი) — 2565, **ნანა ძაგნიძე** (საქართველო) — 2555, კატერინა ლაგნო (უკრაინა) — 2553, ნადეჟდა კოსინცევა (რუსეთი) — 2539, ვიქტორია ჩმილიტე (ლიტვა) — 2524, მარი სებაგი (საფრანგეთი) — 2521.

ქართველთაგან, ძაგნიძის გარდა, ქალთა ასეულში არიან: 15. **ბელა ხოტენაშვილი** (2504), 34. **ლელა ჯავახიშვილი** (2455), 47. **ნინო ხურციძე** (2428), 51. **ნინო ბაციაშვილი** (2425), 60. **სოფიკო გურამიშვილი** (2403), 62. **სალომე მელია** (2403), 71. **ნაზი პაიკიძე** (2391) და 77. **სოფიკო ხუხაშვილი** (2383).

ვაჟებში კვლავ პირველ ადგილზეა ნორვეგიელი მაგნუს კარლსენი, რომელსაც მსოფლიოს მე-13 ჩემპიონის — გარი კასპაროვის რეკორდამდე (2849) ერთი პუნქტი არ ეყო. მეორე საფეხური ლევონ არონიანს (სომხეთი, 2815) უკავია, მესამეზეა ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი, 2795). შემდეგ მოდიან: თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი, 2793), ფაბიანო კარუანა (იტალია, 2782), ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი, 2775), სერგეი კარიაკინი (რუსეთი, 2775), ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი, 2771), ვასილი ივანჩუკი (უკრაინა, 2766), ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი, 2764). 2711 პუნქტით 30-ე ადგილზე გალელი ბადურ ჯობავა დამკვიდრდა. საუკეთესო ასეულში ვაჟებთაგან სხვა არავინ გვყავს.

20-წლამდელ გოგონებს ისევ ჰოუ იფანი მეწინავეობს. ჩვენებურთაგან მეშვიდეა ნაზი პაიკიძე (2391), მე-13. **მერი არაბიძე** (2355). 24-ე. **ქეთი ნანალაშვილი** (2279). 33-ე. **მარიამ დანელია** (2252). ბიჭებმა ასეულში ისევ ვერ შეაღწიეს.

**ვაჟა დანელია**



ბადურ ჯობავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული სპორტი

# ტაიმ-აუტი ლელოსთან ერთად

● თვის მონაგარი

## ნოემბერი

**2. რაგბი.** ევროპის ჩემპიონატის ფინალში (მსოფლიო ელიტის შესარჩევი ეტაპი) საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა პორტუგალიას 33:17 მოუგო.

**2 რაგბი.** ევროპის ჩემპიონატის ფინალში (ელიტის შესარჩევი ეტაპი), საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა პორტუგალიასთან 10:23 წააგო და მსოფლიო ალაფის საგზური ვერ მოიპოვა.

**4. ფეხბურთი.** საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა შოტლანდიას 3:0 მოუგო და ელიტ-რაუნდის საგზური დაიმსახურა.

**7. კალათბურთი.** ევროჩელენჯის პირველ ტურში „არმია" სტუმრად ჰოლონის „ჰაპოელთან" დამარცხდა - 69:84.

**7. კალათბურთი.** NBA-ში კიდევ ერთი ქართველის დებიუტი შედგა: **თორნიკე შენგელიამ** პირველად ითამაშა „ბრუკლინ ნეთსის" რიგებში.

**9-11. სამბო.** ბელარუსში, მსოფლიოს ჩემპიონატზე **გიორგი ბაინდუროვმა** (90 კგ) ოქროს მედალი მოიგო. ვერცხლის მედალი **ლომერ ჟორჟოლიანმა** (100) მოიპოვა. ბრინჯაო — **ნუკრი ბერაიამ** (52), **ბესარიონ ბერულავამ** (74) და **ნიკო კუციამ** (82). ქალთა შორის — **ირინე ლეონიძემ (80).**

**11. ჩოგბურთი.** ინდოეთის ქალაქ პუნეს ტურნირის (125 ათასი დოლარი) წყვილთა თანრიგი **ოქსანა კალაშნიკოვამ** მოიგო.

**13. კალათბურთი.** ევროჩელენჯის მე-2 ტურში „არმიამ" შინ „ანტვერპენთან" წააგო - 71:80.

**17. რაგბი.** ტესტ-მატჩში საქართველო იაპონიასთან 22:25 დამარცხდა.

**18. კალათბურთი.** გაიმართა ევრობასკეტ 2013-ის წილისყრა. საქართველოს ნაკრების მეტოქეები არიან: ესპანეთი, სლოვენია, ხორვატია, პოლონეთი და ჩეხეთი.

**18. ჭადრაკი.** 14-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე **ნინო ხომერიკმა** ვერცხლის მედალი მოიპოვა.

**18-19. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა.** უზბეკეთის „პრეზიდენტის თასზე" **სერგო გოგისვანიძე** (მძიმე წონა) ბრინჯაოს მედალს დაეუფლა.

**18. ტანვარჯიში.** ფედერაციის პრეზიდენტად **კონსტანტინე ლაშხი** აირჩიეს.

**19. ნიჩბოსნობა.** აკადემიური ნიჩბოსნობის ფედერაციის პრეზიდენტად კვლავ **ბეჟან ხურციძე** აირჩიეს. კანოეს ფედერაციას კი **დავით ქაცარავა** უხელმძღვანელებს.

**20. კალათბურთი.** ევროჩელენჯის მე-3 ტურში „არმია" „ტელეკომს" ეწვია და 71:75 დამარცხდა.

**20. სროლა.** ფედერაციის პრეზიდენტად **კახა ბექაური** აირჩიეს.

**22. ხელბურთი.** ფედერაციის პრეზიდენტი **ზურაბ კაკაბაძე** გახდა.

**24. რაგბი.** ტესტ-მატჩში საქართველო ფიჯისთან 19:24 დამარცხდა.

**27. კალათბურთი.** ევროჩელენჯის მე-4 ტურში „არმიამ" „ჰოლონს" უმასპინძლა და 72:79 წააგო.

**27-28. თავისუფალი ჭიდაობა:** გაიმართა საქართველოს ჩემპიონატი. ჩემპიონები გახდნენ: **გიორგი ედიშერაშვილი** (55 კგ), **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** (60), **კონსტანტინე ხაბალაშვილი** (66), **დავით ხუციშვილი** (74), **დავით მარსაგიშვილი** (84), **ელიზბარ ოდიკაძე** (96) და **გენო პეტრიაშვილი** (120).

**მოამზადა ნიკოლოზ ნეფარიძემ**

● კრივი

## სტარტი ორი დანაკლისით

ერევანში ახალგაზრდა მოკრივეთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ასპარეზობათა ორი დღე მიილია. საქართველოს ნაკრების შვიდი წევრიდან შეჯიბრებაში გუშინ სამი სპორტსმენი ჩაება. 91 კილოში **დათა კვირკველიამ** სომეხ რაფაელ სიმონიანს პირველი რაუნდი 4:3 მოუგო, მაგრამ მომდევნო ორ რაუნდში უპირატესობის შენარჩუნება ვერ შეძლო, საბოლოოდ 8:19 (4:3, 2:10, 2:6) წააგო და შეჯიბრებას გამოეთიშა. მისი ბედი გაიზიარა 52 კილოში **გიორგი გაბოძემ** — იგი ირლანდიელ კურტ უოლკერთან დამარცხდა — 7:14 (2:4, 2:5, 3:5). 81 კილოგრამ წონით კატეგორიაში ჩვენი ნაკრების სპორტულ ღირსებას იცავდა **ალექსანდრე დოკვაძე,** რომელიც აზერბაიჯანელ რაუფ რაჰიმოვს დაუპირისპირდა. პირველი რაუნდი დოკვაძემ მოიგო -3:2, მეორე - რაჰიმოვმა 4:2, მესამე რაუნდში კი აზერბაიჯანელმა სამი გაფრთხილების გამო დისკვალიფიკაცია მიიღო და შეჯიბრებას გამოეთიშა. 3 დეკემბერს ქართველი მოკრივე ურთიერთობას გაარკვევს თურქ ქემ კილიკთან, რომელმაც გუშინ ბითაო ლი (ჩინეთი) დაჯაბნა - 17:13.




დღეს ერევნის რინგზე ოთხი ჩვენებური გამოვა: 56 კილოში **ალეკო ლურსმანაშვილი** პუერტორიკოელ ფრედი ორტიზის შეხვდება. ამ უკანასკნელმა ჩემპიონატის პირველ დღეს უკრაინელ ვლადისლავ ვეტოშკინს აჯობა — 19:13.

ასპარეზობის სტარტზე თავისუფალი იყო **ჯემალ შალამბერიძე** (64 კგ). დღეს მას მეტოქეობას გაუწევს ხულიო როდრიგესის (აშშ) მძლეველი (12:10) მოვლად ბაიარსლანოვი (კანადა). **კონსტანტინე ხვისტანი** (69) და **ბერიკა მხეცაძე** (75) კი გზიდან ენტი პიეტალას (ფინეთი) და ბიეკნურ ხალის (მონგოლეთი) ჩამოშორებას შეეცდებიან.

**ვაჟა დანელია**

● ჩოგბურთი

## მეოთხედფინალში ითამაშებს

ანტალიაში ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირზე (საპრიზო ფონდი 10.000 დოლარი) **სოფიო ქვაცაბაიამ,** რომელიც მე-7 ნომრადაა განთესილი, მორიგი გამარჯვება იზეიმა. ძირითადი ბადის სტარტზე ანასტასია რუდაკოვას დამარცხების (6:1, 6:1) შემდეგ მეორე წრეში კანადელი ელიზაბეტ ფურნიე ჩამოიშორა გზიდან — 6:3, 6:3. მეოთხედფინალში ქართველი ჩოგბურთელი სერბი ნატალია კოსტიჩის მძლეველ (7:5, 5:7, 6:2) ვიქტორია ტომოვას (ბულგარეთი) დაუპირისპირდება.

დუბაიში ჩოგბურთელ ქალთა 75.000-იანი ტურნირის წყვილთა პაექრობასაც გამოეთიშა თბილისელი **ოქსანა კალაშნიკოვა.** ტაილანდელ ტამარინ ტანასუგარნთან ერთად იგი მე-2 ნომრად იყო განთესილი და ორი ორთაბრძოლაც მოიგო, მაგრამ მეოთხედფინალში იტალიელ კამერინთან და რუს დუშევინასთან სამ სეტში დამარცხდა — 3:6, 7:6, 4:10.

შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს ქალთა საჩოგბურთო ასოციაციის რეიტინგში 22 წლის **ანა ტატიშვილი** 1140 ქულით 51-ე ადგილს ინარჩუნებს. დანარჩენ ჩვენებურთა მაჩვენებლები ასეთია: 302 (296). **სოფიო შაფათავა** (160 ქულა), 408 (406). **მარგალიტა ჩახნაშვილი** (93), 423 (426). სოფიო ქვაცაბაია (86), 451 (456). **ოქსანა კალაშნიკოვა** (74), 480 (483). **ეკატერინე გორგოძე** (65), 668 (669). **ნათია გეგია** (33), 1151 (1158). **ანი გოგვაძე** (3).

**ვაჟა დანელია**

● ოლიმპიური მედლები



კალგარი, 1988



● პირველი, პირველმა, პირველად...

* * *

**პირველი** ოფიციალური შეჯიბრება ცხენოსნობაში ინგლისში ჩატარდა 1776 წლის 24 სექტემბერს.

* * *

**პირველმა** ჩოგბურთში დიდი სლემის ოთხივე ტურნირი მოიგო **დონ ბაჯიმ** 1938 წელს.

* * *

**პირველად** საფეხბურთო მატჩის რადიორეპორტაჟი გადაიცა 1927 წლის 16 ივლისს „ლივერპულ" — „შეფილდ იუნაიტედის" მატჩის მსვლელობის დროს.

● ვიქტორინა

**1. რომელ წელს დამტკიცდა ლონდონი 2012 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლად?**

ა — 2003 წელს
ბ — 2004 წელს
გ — 2005 წელს

**2. ფეხბურთში ევროპის პირველ ჩემპიონატში ნახევარფინალში ჩეხოსლოვაკიის გუნდთან შეხვედრაში (3:0) საბჭოთა ნაკრებიდან ორი ბურთი გაიტანა:**

ა — სლავა მეტრეველმა
ბ — ვალენტინ ივანოვმა
გ — ვიქტორ პონედელნიკმა

**3. შტეფი გრაფმა სამშობლოდან ნასვლის თაობაზე განცხადება გააკეთა 1995 წელს. რამ აიძულა ასეთი ნაბიჯის გადადგმა ლეგენდარულ გერმანელ ჩოგბურთელს?**

ა — პოლიტიკურმა მოსაზრებამ
ბ — მკვლელობის მუქარამ
გ — გადასახადებისთვის თავის არიდების ბრალდებამ

**4. ვინ იყო სახელგანთქმული მორის გრინი?**

ა — ჰოკეისტი
ბ — ველორბოლაში „ტურ დე ფრანსის" პირველი გამარჯვებული
გ — მორაბბე

**5. ოლიმპიადაზე მთავარია მონაწილეობა და არა გამარჯვება. ვის ეკუთვნის ეს ფრაზა?**

ა — სამღვდელო პირს
ბ — პიერ დე კუბერტენს
გ — ჯონ კენედის

პასუხები: 1 — გ, 2 — ბ, 3 — გ, 4 — ბ, 5 — ბ.

● არა არს რა დაფარული...

## ბენვის კალათი

გასული საუკუნის 60-იან წლებში ამერიკის ერთ-ერთი შტატის სტუნდეტური საკალთბურთო პირველობის მატჩის პირველ პერიოდში სტუმართა გუნდის უკლებლივ ყველა სროლა კალათში არ ჩაეშვა! დროის ამოწურვის შემდეგ ამ კალათის ფარქვეშ მასპინძელი კალათბურთელები საეჭვოდ შეჯგუფდნენ და ცდილობდნენ რაღაც მანიპულაციის ჩატარებას. სტუმრები ამით დაინტერესდნენ. ვითარების გარკვევისას აღმოჩნდა, რომ კალათის რგოლის დიამეტრზე გაჭიმული ყოფილა... უხილავი უწვრილესი მავთული- დანარჩენი გასაგებია. რასაკვირველია, დაფარული გაცხადდა, დამნაშავენი დაისაჯნენ და, ალბათ, ერთი ტაიმის განმავლობაში საკუთარი კალათის ''მშრალად'' შენარჩუნება გინესის ''ანტი-რეკორდების'' წიგნში თუ აისახება.



● თარიღი

### 1 – 7 დეკემბერი

**01. 1891 წ.** ამერიკულ გაზეთებში გაჩნდა ცნობა, რომ კანადელმა ფიზიკური აღზრდის პედაგოგმა **ჯეიმს ნეისმიტმა** გამოიგონა კალათბურთი.

**01. 1964 წ.** დაიბადა **სალვატორე (ტოტო) სკილაჩი** — ფეხბურთი (იტალია).

**02. 1963 წ.** ინგლისში საფეხბურთო ასოციაციამ გამოსცა ფეხბურთის თამაშის წესების კრებული.

**02. 1971 წ.** დაიბადა **ფრანჩესკო ტოლდო** — ფეხბურთი (იტალია).

**02. 1972 წ.** დაიბადა **მონიკა სელეში** — ჩოგბურთი (აშშ).

**03. 1923 წ.** დაიბადა **სტეფან ბობეკი** — ფეხბურთი.

**04. 1963 წ.** დაიბადა **სერგეი ბუბკა** — მძლეოსნობა (უკრაინა).

**04. 1994 წ.** მარსელში მსოფლიოსა და ევროპის ფეხბურთელთა მატჩი მოიგო მსოფლიოს ნაკრებმა — 5:2.

**05. 1956 წ.** მელბურნში ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ფეხბურთში გახდა სსრ კავშირის ნაკრები.

**06. 1873 წ.** აშშ-ში ჩატარდა პირველი საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში. იელის უნივერსიტეტის ნაკრები — „ეტონი" (ინგლისი) — 2:1.

**06. 1907 წ.** დაიბადა **ჯოვანი ფერარი** — ფეხბურთი (იტალია).

**07. 1956 წ.** დაიბადა **ლარი ბერდი** — კალათბურთი (აშშ).

**07. 1984 წ.** დაიბადა **რობერტ კუბიცა** — ფორმულა 1 (პოლონეთი).

**შენიშვნა:** ქართული სპორტის ღირსსახსოვარი თარიღები ხუთშაბათობით "ქართული სპორტის ქრონიკებში" ქვეყნდება.

● იყო ასეთი შემთხვევა...

■ ■ ■

1978 წლის 24 ნოემბერს ფიფამ მკაცრი განაჩენი გამოუტანა შოტლანდიელ არბიტრს **ჯონ გორდონს** — სამი წლით აეკრძალა მსაჯობა. დისკვალიფიკაცია მან იტალიელებისგან საჩუქრის აღების გამო დაიმსახურა. ეს მოხდა უეფას თასის შეხვედრის წინ, როცა „მილანი" ბულგარეთის „ლევსკის" მასპინძლობდა.

■ ■ ■

1956 წელს საბჭოთა სპორტსმენი **ვიაჩესლავ ივანოვი** მელბურნში ცურვაში ოლიმპიური ჩემპიონის მედლით დაჯილდოებისას სიხარულით მაღლა ახტა, მედალი მოსწყდა კისრიდან და აუზში ჩავარდა. მყვინთავებმა ჯილდოს ვერ მიაგნეს, აუზიც დაცალეს, მაგრამ... მედალი გამწმენდ სისტემას გაჰყვა და დაიკარგა.

● ქვიმატი ობიექტივი



icine.ge

● სუპერლიგა 2012-13. VII ტური

# ნერვების თამაში და ბოლო წუთების ფასი

30 ნოემბერი, ქუთაისი

| ქუთაისი | რუსთავი |
|---|---|
| 60 | 67 |

| | I | II | III | IV |
|---|---|---|---|---|
| ქუთაისი | 21 | 14 | 13 | 12 |
| რუსთავი | 19 | 12 | 13 | 23 |

| ქუთაისი | ნთ | მ | პ | შ | ჩ | ღ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ფაშაევი | 39 | 5 | 6 | 4 | 2 | 1 | 16 |
| დიდია | 28 | 2 | 2 | 1 | 1 | 0 | 9 |
| ბრძოლიძე | 8 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 2 |
| კვიმსაძე | 27 | 8 | 0 | 3 | 1 | 0 | 2 |
| დ. ბარბაქაძე | 20 | 3 | 1 | 0 | 0 | 0 | 6 |
| ლომინაშვილი | 4 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 |
| გ. ბარბაქაძე | 36 | 2 | 2 | 3 | 0 | 0 | 13 |
| რ. მათიაშვილი | 34 | 9 | 4 | 4 | 1 | 2 | 10 |

| რუსთავი | ნთ | მ | პ | შ | ჩ | ღ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბოუი | 26 | 5 | 3 | 3 | 3 | 0 | 19 |
| ცეკვავა | 28 | 3 | 5 | 3 | 0 | 0 | 11 |
| აბაიშვილი | 21 | 3 | 0 | 2 | 1 | 0 | 5 |
| ნელსონი | 36 | 9 | 2 | 0 | 2 | 0 | 12 |
| ქოჩუა | 33 | 7 | 0 | 3 | 2 | 0 | 7 |
| ტუჯანი | 26 | 8 | 3 | 0 | 1 | 1 | 7 |
| ათანელიშვილი | 13 | 7 | 0 | 1 | 1 | 1 | 4 |
| მაჭავარიანი | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ხმელიძე | 10 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 |

*მსაჯები: მაკა კუპატაძე, ზაზა მაჩალაძე, ირაკლი ბერიშვილი*



ნეით ბოუი

მე-7 ტურის ცენტრალური მატჩი ქუთაისის სპორტის სასახლის გადაჭედილ დარბაზში გაიმართა, სადაც ერთმანეთს სატურნირო ცხრილში მეზობლად (მეორე-მესამე ადგილები) მყოფი „ქუთაისი" და „რუსთავი" დაუპირისპირდნენ. როგორც მოსალოდნელი იყო, შეხვედრა დაძაბული და საინტერესო გამოდგა. მთელი მატჩის განმავლობაში წინ ქუთაისური გუნდი იყო, თუმცა მასპინძლებმა გადამწყვეტი პერიოდი ჩააგდეს, რითაც სტუმრებმა კარგად ისარგებლეს და ბოლო წუთებზე **ნეით ბოუის** შესანიშნავი თამაშის წყალობით მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვეს.

გუნდებმა თავიდანვე დაცვითი ტაქტიკა აირჩიეს და შეტევაში ნაკლებად ეფექტურები იყვნენ. მატჩის დაწყებიდან 3 წუთის შემდეგ ტაბლოზე 2:2 იყო დაფიქსირებული. მალე მასპინძლები გააქტიურდნენ, **რიჩარდ მათიაშვილის, გიგი ბარბაქაძის, რევაზ დიდიასა** და **ზაურ ფაშაევის** ზუსტი სროლების შემდეგ ქუთათურები პერიოდის დასრულებამდე 2:25 წამით ადრე 19:10 დაწინაურდნენ. თუმცა მეოთხედის დარჩენილ დროში კარგად ათამაშდა მატჩის ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი ბოუი (19 ქულა), რომელმაც ზედიზედ 4 ქულა ჩააგდო. მალევე **გოგა ცეკვავამ** თავისი ყოფილი გუნდი სამქულიანით „დასაჯა" და სხვაობა ორ ქულამდე შეამცირა (21:19)

მეორე პერიოდის დასაწყისში ქუთაისელებს სამქულიანი სროლები არ წაუვიდათ, თუმცა ამით სტუმრებმაც ვერ ისარგებლეს და თითქმის 3 წუთის განმავლობაში ბურთი კალათში ვერ მოათავსეს. ამასობაში ფაშაევის კარგი თამაშის წყალობით „ქუთაისი" 6 ქულით დაწინაურდა. უკეთ ათამაშდა **დავით ბარბაქაძეც**, რომელსაც მანამდე სროლები არ მისდიოდა. **მიხეილ ბერუაშვილის** დროული წუთშესვენების შემდეგ რუსთაველებმა თამაში გამოასწორეს, **კაილ ნელსონმა** ზედიზედ ორი სამქულიანი ჩააგდო და სხვაობა კვლავ ორ ქულამდე დაიყვანა. თუმცა, „ქუთაისმა" დიდ შესვენებამდე ერთი ორქულიანის ჩაგდება მოასწრო და ტაიმი 35:31 დასრულდა.

მესამე პერიოდის საწყისი 3:20 წუთი ისე მიილია, რომ გუნდებს მხოლოდ 2-2 ქულა ჰქონდათ ჩაგდებული. ხშირი იყო ორმხრივი შეცდომები და არაზუსტი სროლები. სიტუაციიდან პირველად მასპინძლები გამოერკვნენ, რევაზ დიდიას და გიგი ბარბაქაძის ზუსტი სამქულიანების შემდეგ ისინი 9 ქულით დაწინაურდნენ (48:39). კარგად თამაშობდა ქუთაისელთა აზერბაიჯანელი ლეგიონერი ზაურ ფაშაევი, რომელმაც 16 ქულას 6 შედეგიანი გადაცემაც მიაყოლა და მასპინძელთაგან საუკეთესო შედეგი აჩვენა. **დავით უსტიაშვილის** შეგირდებმა მოპოვებული 9-ქულიანი უპირატესობის შენარჩუნება ვერ მოახერხეს, ცეკვავას კარგი თამაშის წყალობით რუსთაველებმა სხვაობა 4 ქულამდე დაიყვანეს - 48:44.

გადამწყვეტი პერიოდი უაღრესად დაძაბული გამოდგა. კარგად ათამაშდნენ რუსთაველთა ლეგიონერები **ჟულივეტ ტუჯანი** და ნეით ბოუი. განსაკუთრებით ეს უკანასკნელი გამოირჩა, რომელმაც ამ პერიოდში 10 ქულა მიითვალა... რუსთაველებმა მატჩის დასრულებამდე 2:5 წუთით ადრე სხვაობა 1 ქულამდე დაიყვანეს - 58:57. ქუთაისელთა უშედეგო შეტევის შემდეგ ცეკვავამ ორიდან ერთი საჯარიმო გამოიყენა და ანგარიში გაათანაბრა - 58:58. ქუთაისის სპორტის სასახლეში მღელვარებამ და ემოციებმა პიკს მიაღწია. 1:39 წამით ადრე ბოუიმ სტუმრები წინ პირველად გაიყვანა, ქუთაისელებმა საპასუხო შეტევაში ბურთი დაკარგეს და ბოუიმ კიდევ ერთი ორქულიანი მიითვალა -58:60. ბოლო წამებში „ქუთაისმა" კი გაიბრძოლა, მაგრამ „რუსთავს" უპირატესობა ხელიდან აღარ გაუშვია და საქმე გამარჯვებამდეც მიიყვანა.

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. რუსთავი | 7 | 6 | 1 | 539/468 | 13 |
| 2. შსს აკადემია | 6 | 6 | 0 | 515/392 | 12 |
| 3. ქუთაისი | 7 | 5 | 2 | 543/486 | 12 |
| 4. არმია | 5 | 4 | 1 | 431/288 | 9 |
| 5. ოლიმპი | 5 | 4 | 1 | 476/352 | 9 |
| 6. ბათუმი-რსუ | 7 | 2 | 5 | 469/544 | 9 |
| 7. დინამო | 5 | 3 | 2 | 380/338 | 8 |
| 8. თსუ | 6 | 2 | 4 | 383/475 | 8 |
| 9. სამედიცინო | 6 | 0 | 6 | 351/533 | 6 |
| 10. სოხუმი | 5 | 0 | 5 | 363/453 | 5 |
| 11. სტუ | 5 | 0 | 5 | 282/403 | 5 |

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

30 ნოემბერი, ბათუმი

| ბათუმი | სამედიცინო |
|---|---|
| 82 | 73 |

| | I | II | III | IV |
|---|---|---|---|---|
| ბათუმი | 19 | 24 | 23 | 16 |
| სამედიცინო | 17 | 22 | 17 | 17 |

| ბათუმი | ნთ | მ | პ | შ | ჩ | ღ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| მაისურაძე | 33 | 7 | 4 | 1 | 0 | 2 | 15 |
| რამიშვილი | 34 | 5 | 4 | 4 | 3 | 1 | 15 |
| ნანიტაშვილი | 36 | 5 | 3 | 2 | 1 | 0 | 16 |
| ელიაშვილი | 17 | 5 | 1 | 2 | 0 | 0 | 8 |
| სიგუა | 5 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ყველაშვილი | 29 | 13 | 0 | 6 | 1 | 1 | 7 |
| კემელავა | 33 | 13 | 1 | 2 | 0 | 1 | 21 |
| ნინუა | 9 | 1 | 3 | 1 | 0 | 0 | 0 |

| სამედიცინო | ნთ | მ | პ | შ | ჩ | ღ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| არნივიძე | 15 | 1 | 2 | 4 | 0 | 0 | 5 |
| ტუკვაძე | 6 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 |
| გაგისონია | 25 | 6 | 2 | 2 | 2 | 0 | 6 |
| ლ. რევაზაშვილი | 13 | 4 | 0 | 0 | 1 | 0 | 6 |
| გაფრინდაშვილი | 25 | 2 | 5 | 4 | 2 | 0 | 6 |
| მაისურაძე | 27 | 2 | 0 | 1 | 0 | 0 | 15 |
| ფერიაშვილი | 24 | 8 | 0 | 0 | 0 | 3 | 9 |
| გ. რევაზაშვილი | 37 | 5 | 1 | 1 | 2 | 0 | 16 |
| კორძაძე | 5 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 |
| ელიაძე | 18 | 8 | 2 | 2 | 3 | 0 | 10 |

*მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, დავით ბერიშვილი, გურამ მიქელაძე*

● ქართველები უკრაინაში



გიორგი ცინცაძე

# მარცხი ფეროსთან

**გიორგი ცინცაძის** „ბუდიველნიკს" უკრაინის ჩემპიონატში ერთპიროვნულად გალიდერების კარგი შანსი ჰქონდა. ამისთვის საჭირო იყო უშუალო კონკურენტ „ფეროსთან" შინ, კიევში ემარჯვა.

მასპინძლები პირველ ტაიმში ინიციატივას ფლობდნენ, მაგრამ მეოთხე რაუნდში თამაშის სადავეები ხელიდან გაექცათ და ფეროელებმა სირენამდე 7 წუთით ადრე 11-ქულიანი უპირატესობა მოიპოვეს - 84:73. კიეველთა მწვრთნელმა **აინარს ბაგაცკისმა** ჩვეული ოსტატობით წაგებული თამაშის შემოტრიალება სცადა და კინალამ საწადელსაც მიაღწია: ბოლო წამებზე **მალკოლმ დილეინის** სამქულიანის შემდეგ სხვაობა 2 ქულამდე შემცირდა, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში საჯარიმოს ხაზიდან ზუსტად ისროლეს „ფეროს" კალათბურთელებმა და 102:98 მოიგეს.

გიორგი ცინცაძემ მატჩი სასტარტო ხუთეულში დაიწყო და 39 წუთი ითამაშა. მან 9 ქულა (7/3 ორქულიანი, 1/1 სამიანი), 2 მოხსნა და 3 შედეგიანი გადაცემა მიითვალა.

„ბუდიველნიკს" 11 გამარჯვება (5 მარცხი) აქვს და სატურნირო ცხრილში მეოთხე ადგილზეა. 12 მოგებითა და 4 წაგებით პირველია „ფერო".

**ვაჟა სიმონიშვილი**

● ქართველი ევროლიგაზე

# სანიკიძის +19 და მონტეპასკის ტოპ-16

ევროლიგის მორიგ ტურში **ვიქტორ სანიკიძის** „მონტეპასკიმ" მალაგის „უნიკახას" უმასპინძლა და 91:72 დაამარცხა. ამ მოგებით იტალიელებმა ევროლიგის მეორე ეტაპზე (ტოპ-16) გასვლა გაინაღდეს. მათ დარჩენილ ორ ტურში ორივე შეხვედრაც რომ დათმონ, „შალონი" და „პროკომი" ველარ დაეწევიან. „მონტეპასკის" 5 გამარჯვება აქვს, ხოლო მეხუთეადგილოსან „შალონს" - 2. ჯგუფიდან საუკეთესო ოთხეული გადის.

მატჩის იტალიელ კომენტატორებს ხშირად უწევდათ ქართული გვარის ხსენება, რადგან სანიკიძემ გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანა. მეტსაც გეტყვით, თანაგუნდელთა შორის ყველაზე მაღალი მარგი ქმედების კოეფიციენტი ჰქონდა - 19. მისი სრული მონაგარი ასე გამოიყურებოდა: 18 წუთი, 10 ქულა (4-დან 3 ორქულიანი, 2-დან 1 სამიანი, 2-დან 1 საჯარიმო), 6 მოხსნა, 4 პასი.

სიენელებს დიდ წინააღმდეგობას უწევდა მეფარე **ლუკა ზორიჩი**, რომელმაც 29 ქულა მიითვალა. იგი საქართველოს ნაკრების მეტოქის, ხორვატიის ღირსებას იცავს. კიდევ ერთმა მომავალმა მოწინააღმდეგემ, სლოვენიელმა **ზორან დრაგიჩმა** 4 ქულა მოაგროვა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

● სატრანსფერო ამბები

# ცქიტიშვილი წამოვიდა

## ათუაშვილმა მორიგი დუბლი მიითვალა

ირანის ჩემპიონატში ერთმანეთის წინაშე წარდგნენ „ეშტეღლალი" და „მაჰანი". ძირითადი დრო ფრედ, 61:61 დასრულდა, ხოლო ოვერტაიმში სტუმარმა მაჰანელებმა იმარჯვეს - 74:65.

დამარცხებულთაგან საუკეთესო იყო **სერგო ათუაშვილი** (224 სმ, 1985), რომელმაც შეუცვლელად, 45 წუთი ითამაშა. მის ანგარიშზეა 17 ქულა და 10 მოხსნა. სერგომ 21-დან 7 ორქულიანი და 6-დან 3 საჯარიმო გამოიყენა.

დაკვირვებულ მკითხველს ემახსოვრება, რომ „მაჰანთან" ერთად სეზონი **ნიკოლოზ ცქიტიშვილმა** დაიწყო. იგი „ეშტეღლალთან" მატჩის განაცხადში ვერ ამოვიკითხეთ. არა იმიტომ, რომ ირანულად წერია (არაირანული გვარები ლათინური ასოებითაა ჩაწერილი), უბრალოდ იმიტომ, რომ ნიკამ კლუბი დატოვა. ამის შესახებ გამოცემა „ევრობასკეტიდან" ვგებულობთ:

*„ნიკოლოზ ცქიტიშვილმა (212 სმ, 1983) „მაჰანის" ხელმძღვანელობასთან შეთანხმების საფუძველზე კონტრაქტი ვადაზე ადრე გაწყვიტა. მწვრთნელს ქართველი თავდამსხმელის გაშვება არ სურდა, თანაც მას სეზონის ბოლომდე გარანტირებული კონტრაქტი ჰქონდა, მაგრამ თავად მოთამაშემ გადაწყვიტა წასვლა და „მაჰანის" უფროსობამაც ხელი არ შეუშალა. იგი თავისუფალია და შეუძლია, ნებისმიერ დროს გააფორმოს კონტრაქტი სხვა გუნდთან.*

*შეგახსენებთ, რომ ცქიტიშვილმა ორიოდე ტურის წინ მოქმედ ჩემპიონ „მაჰრამთან" ბოლო წამზე ჩაგდებული სამქულიანით „მაჰანს" 66:64 მოაგებინა."*

**ვაჟა სიმონიშვილი**



შეტევაშია ნიკოლოზ ცქიტიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

# რა შეიცვლება ტესტების შემდეგ?



კლერმონი - ტულუზი

**საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში გათამაშება ნოემბრის ტესტების გამო იყო შეწყვეტილი. ამ უქმეებზე ფრანგული რაგბის საუკეთესო გუნდები მე-11 ტურის შეხვედრებს გამართავენ. შეგახსენებთ, რომ აქ სატურნირო ცხრილის პირველი ხუთი საფეხური ქართველ მორაგბეთა გუნდებს უკავიათ. ესენია: „ტულონი", „კლერმონი", „ტულუზი", „კასტრი" და „მონპელიე".**

ტურის ცენტრალური შეხვედრა ტულუზში გაიმართება, სადაც ქვეყნის ჩემპიონი, **ჯაბა ბრეგვაძისა** და **ვასილ კაკოვინის** „ტულუზი", რომელიც ამჟამად 38 ქულით მესამე ადგილზეა, **დავით ზირაქაშვილისა** და **ვიქტორ კოლელიშვილის** „კლერმონს" დაუპირისპირდება. „ვულკანები" ტულუზელებს ორი ქულით უსწრებენ და მეორე ადგილზე არიან.

მასპინძლები მეტოქეს სრიოზული დანაკლისით დაუხვდებიან. მათ ფლანკერი **ტიერი დუსოტუარი** და მეორეხაზელი **პატრისიო ალბასეტე** დააკლდებათ. არ ითამაშებს ტრავმირებული შერკინების ქართველი კვაჭი ჯაბა ბრეგვაძეც, სამაგიეროდ დისკვალიფიკაცია დაუმთავრდა მის პოზიციაზე მოთამაშე **კრისტოფ ტოლოფუას**.

„ვულკანებს" ტრავმირებული **ჟულიენ მალზიო** დააკლდებათ. საქართველოს ნაკრების მესამეხაზელი **ვიქტორ კოლელიშვილი** კი საფრანგეთის რაგბის ნაციონალური ლიგის სადისციპლინო კომიტეტმა 20-დღიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა. შეგახსენებთ, რომ მე-11 ტურის მატჩში „ვიტომ" რაკში თამაშისას მეტოქეს მუშტი უთავაზა.

გათამაშების ლიდერი 42 ქულით **დავით ქუბრიაშვილის, კონსტანტინე მიქაუტაძისა** და **ლევან ჩილაჩავას** „ტულონია". ჩვენებურთა ეს გუნდი შინ ეთამაშება გათამაშების დებიუტანტ „გრენობლს". „ალპელებმა" სეზონი შესანიშნავად დაიწყეს და ყველასთვის მოულოდნელად ახლა საპლეიოფო ექვსეულში იმყოფებიან.

„ტულონის" ბანაკში კი ერთი სიახლეა. მთავარმა მწვრთნელმა **ბერნარ ლაპორტმა** კლუბთან ორი წლით გაახანგრძლივა ხელშეკრულება. ეროვნული ნაკრებებიდან გუნდს დაუბრუნდნენ **ფრედერიკ მიშალაკი**, დავით ქუბრიაშვილი და კონსტანტინე მიქაუტაძე.

ქართველი მორაგბეებიდან მატჩისწინა გაფართოებულ შემადგენლობაში მხოლოდ ქუბრიაშვილია.

32-32 ქულა აქვთ და მეოთხე-მეხუთე ადგილებს იყოფენ „კასტრი" და „მონპელიე". **ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრი" სტუმრად ითამაშებს აუტსაიდერ „მონ დე მარსანთან", რომელსაც დღესდღეობით აქტივში მხოლოდ ერთი გამარჯვება აქვს.

„კასტრელები" სტუმრად შედარებით არასტაბილურად ასპარეზობენ, ვიდრე საშინაო არენაზე, თუმცა აუტსაიდერებთან შეხვედრაში მაინც ფავორიტები არიან, მით უფრო, რომ თითქმის ოპტიმალური შემადგენლობით ითამაშებენ.

ფეიქრიშვილი შესანიშნავ ფორმაშია და, სავარაუდოდ, ძირითად შემადგენლობაში იქნება.

**მამუკა გორგოძის, მიხეილ ნარიაშვილისა** და **გიორგი ჟღენტის** „მონპელიე" შინ დაუპირისპირდება ბასკურ „ბაიონს", რომელიც 20 ქულით მე-11 ადგილზეა. ჩვენებურთა გუნდმა რიგი მიზეზების გამო სეზონი ყოჩაღად ვერ დაიწყო, თუმცა მოგვიანებით ყველაფერი თავის ადგილზე დადგა და „მონპელიე", როგორც მოსალოდნელი იყო, ლიდერთა შორის გაერია.

ბოლო ინფორმაციით ამ „ქართული გუნდის" დატოვებას აპირებს მთავარი მწვრთნელი **ფაბიენ გალტიე**, სავარაუდოდ, მას წლეულს გუნდში მოსული **მარიო ლედესმა** შეცვლის, თუმცა ეს ჯერ გადაწყვეტილი არ არის.

მონპელიელები, როგორც უკვე ვთქვით, თამაშიდან-თამაშამდე უმატებენ და ჩემპიონობისთვის ბრძოლის საფუძვლიანი ამბიცია აქვთ. გორგოძე და ნარიაშვილი წინასამატჩო გაფართოებულ შემადგენლობაში არიან, ჟღენტი ტრავმირებულია.

პლეი ოფში მოხვედრის შანსს ინარჩუნებს **ზურაბ ჟვანიას** „სტად ფრანსეც", რომელიც 24 ქულით მერვე ადგილზეა. პარიზელები თანაქალაქელ „მეტრო რასინგს" ეთამაშებიან, რომელიც სამი ქულით ჩამორჩება და მეცხრე ადგილზეა.

ძნელი სათქმელია, რატომ, მაგრამ ბუქმეკერები ფავორიტად „მეტრო რასინგს" მიიჩნევენ. გამარჯვების შემთხვევაში პლეი ოფში მოხვედრის შანსი ამ გუნდსაც გაუჩნდება და, შესაბამისად, უშელავათო ბრძოლის მომსწრენი უნდა გავხდეთ.

**I დივიზიონი**

**XII ტური**

**პერპინიანი-აჟენი, ტულუზი-კლერმონი, მონპელიე-ბაიონი, ბიარიცი-ბორდო, ტულონი-გრენობლი, მონ დე მარსანი-კასტრი, მეტრო რასინგი-სტად ფრანსე.**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. ტულონი - 42 ქულა, 2. კლერმონი - 40, 3. ტულუზი - 38, 4. კასტრი - 32, 5. მონპელიე - 32, 6. გრენობლი - 30, 7. ბიარიცი - 24, 8. სტად ფრანსე - 24, 9. მეტრო რასინგი - 21, 10. პერპინიანი - 21, 11. ბაიონი - 20, 12. ბორდო - 16, 13. აჟენი - 16, 14. მონ დე მარსანი - 6.**

■ ■ ■

მორიგი, მეათე ტურის შეხვედრები გაიმართება „კელტთა ლიგაში". საქართველოს ნაკრების მესამეხაზელის, **დიმიტრი ბასილაიას** „ედინბურგი", რომელიც 17 ქულით მე-8 ადგილზეა, სტუმრად ეთამაშება ირლანდიურ „ქონოთს". ირლანდიელები ჩვენებურის გუნდს სამი ქულით ჩამორჩებიან და კვალში უდგანან. ბასილაია ტრავმირებულია და განაცხადში არ არის.

შეგახსენებთ, რომ აქ სატურნირო ცხრილს სათავეში 39 ქულით ირლანდიური „ალსტერი" უდგას, მას ექვსი ქულით ჩამორჩება უელსური „ჰლანეჰლი".

**კელტთა ლიგა**

**X ტური**

**ოსფრიზი-კარდიფი, ქონოთი-ედინბურგი, ბენეტონი-ნიუპორტი, ლენსტერი-ზებრე, მანსტერი-გლაზგო, ჰლანეჰლი-ალსტერი**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. ალსტერი - 39 ქულა, 2. ჰლანეჰლი - 33, 3. გლაზგო - 28, 4. ლენსტერი - 26, 5. მანსტერი - 24, 6. ოსფრიზი - 23, 7. კარდიფი - 19, 8. ედინბურგი - 17, 9. ქონოთი - 14, 14. ბენეტონი - 14, 15. ნიუპორტი - 13, 16. ზებრე - 4.**


მარიო ლიდესმა და გიორგი ჟღენტი

საქართველოს ჩემპიონატი


არმია - ჯიქები

# ჩემპიონატი განახლდება და მალევე შეწყდება

**საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში გათამაშება სამი კვირის წინათ ნოემბრის ტესტების გამო შეწყდა. აქამდე გამართული ათი ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილს სათავეში თბილისის „ლელო" უდგას. წლეულს ეროვნულ ჩემპიონატში კიდევ ორი ტური გაიმართება და გუნდები თებერვლამდე არდადეგებზე წავლენ.**

როგორც უკვე ვთქვით, ჩემპიონატს 43 ქულით „ლელო" ლიდერობს, რომელიც მე-11 ტურში აუტსაიდერ „ყოჩებს" ეთამაშება. ლელოელებმა ჩემპიონატის პირველი ეტაპი შესანიშნავად განვლეს. ათი თამაშიდან ცხრა მოიგეს და მხოლოდ ერთხელ დამარცხდნენ საქართველოს ჩემპიონ „არმიასთან". ამასთან ერთად, „ლელოს" აქტივში შვიდი პრემიალური ქულაა. ლიდერი დაგროვილი და გაშვებული ქულების რაოდენობაში პირველია და ბალანსი 167 შეადგენს.

შარშანდელი ჩემპიონატისგან განსხვავებით, „ლელო" წლეულს უფრო ორგანიზებულად და სტაბილურად გამოიყურება. სწორედ ამიტომ იყო, ნოემბრის ტესტებზე საქართველოს ნაკრებში **ლევან მაისაშვილის** სამწყსოდან ეროვნული ჩემპიონატიდან ყველაზე მეტმა მორაგბემ რომ ითამაშა.

„ყოჩები" თამამად შეიძლება ითქვას, რომ წლეულს თავის ისტორიაში ყველაზე სუსტ სეზონს ატარებს. ამ ოდესღაც საკმაოდ მრისხანე გუნდს განსაკუთრებით სეზონის დასაწყისში გაუჭირდა. მერე ნელ-ნელა თამაში დაალაგა, თუმცა მხოლოდ ერთი თამაშის მოგება მოახერხა.

„ლელოს" ორი ქულით ჩამორჩება და მეორე ადგილზეა ქვეყნის ჩემპიონი და თასის მფლობელი „არმია", რომელმაც ასევე ცხრა შეხვედრა მოიგო და ერთში მესამეადგილოსან ქუთაისის „აიასთან" დამარცხდა. მე-11 ტურში ქუთაისში, სწორედ ეს გუნდები დადგებიან ერთმანეთის პირისპირ. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ არმიელები პირველ წრეში ხშირმა ტრავმიანობამ დიდად აზარალა, თუმცა გუნდს იმდენად გრძელი სათადარიგო სკამი აქვს, რომ მაინც ჩემპიონობისთვის ბრძოლის ერთ-ერთ უმთავრეს კანდიდატად მიიჩნევა.

„არმიას" უმძიმესი ბრძოლის გადატანა მოუწევს სტუმრად „აიასთან", რომელიც პირველი წრის შუაწელში ჩავარდნის შემდეგ, ისევ აღმავლობის გზას დაადგა, თუმცა ლიდერ „ლელოს" ცხრა ქულით ჩამორჩება. პრემიალური ქულით გამარჯვების შემთხვევაში ქუთათურები „არმიასთან" ჩამორჩენას ორ ქულამდე შეამცირებენ, რაც შანსს მისცემს, რეგულარული გათამაშება ორ მოწინავე გუნდს შორის დაასრულოს, რაც პირდაპირ ნახევარფინალში მოხვედრის გარანტიაა.

„აიას" ცხრა ქულით ჩამორჩება და მეოთხე ადგილზეა თბილისის „არმაზი", რომელსაც ერთი თამაში რუსთავის „ხარებთან" თადარიგში აქვს. არმაზელები მე-11 ტურში ერთ-ერთ აუტსაიდერს, თბილისის „აკადემიას" ეთამაშებიან. აღსანიშნავია, რომ „არმაზის" ლიდერთა შორის გამოჩენა წლევანდელი სეზონის სიურპრიზია. ამ გუნდის მთავარი დამრტყმელი ძალა შერკინებაა, თუმცა მგეზავისა და მოთამაშე მწვრთნელის **დავით კიკნაძის** გარეშე დალაგებულად თამაში უჭირს, რაც მისი არყოფნის დროს შედეგებზეც აისახა. საგულისხმოა, რომ არმაზელებმა მხოლოდ სატურნირო ცხრილში მასზე წინ მყოფ გუნდებთან წააგეს.

ძნელი სათქმელია, რამდენად ნაყოფიერად გამოიყენა შესვენება „აკადემიამ", რომელმაც ჩემპიონატის პირველ ეტაპზე მხოლოდ ორი თამაშის მოგება შეძლო. ეს გუნდი მუდამ ბრძოლისუნარიანობით გამოირჩეოდა და, ვფიქრობთ, არც ამჯერად დათმობს იოლად რამეს.

ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი თბილისის „ლოკომოტივი" თავისთვის უჩვეულო მეხუთე ადგილზეა. რკინიგზელებმა 10 მატჩში ოთხი მოიგეს, ერთი ფრედ დაასრულეს, ხუთში დამარცხდნენ და 22 ქულა დააგროვეს. „ლოკომოტივი" მე-11 ტურში შინ მიიღებს „ბათუმს", რომელიც 14 ქულით მე-7 ადგილზეა და ეცდება პლეი ოფში მოხვედრისთვის მებრძოლთა კოჰორტას მიუახლოვდეს.

22 ქულა აქვს და მე-6 ადგილზეა გათამაშების დებიუტანტი თბილისის „ილიაუნი ჯიქი", რომელიც სტუმრად დაუპირისპირდება რუსთავის „ხარებს". „ჯიქებმა" პირველ წრეში ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვეს და მეტი გამოცდილება რომ ჰქონოდათ, უკეთესი შედეგი უნდა ეჩვენებინათ. მათი ამჟამინდელი მეტოქე კი როგორც წესი, ჩემპიონატის მეორე ეტაპს უფრო მობილიზებულად ატარებს და შინ მხოლოდ გამარჯვებისთვის იბრძოლებს.

**XI ტური**

**ხარები-ილიაუნი ჯიქი, აია-არმია, ლოკომოტივი-ბათუმი, ლელო-ყოჩები, არმაზი-აკადემია.**

**სატურნირო მდგომარეობა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლელო | 10 | 9 | 0 | 1 | +167 | 43 |
| 2. არმია | 10 | 9 | 0 | 1 | +112 | 41 |
| 3. აია | 10 | 7 | 1 | 2 | +133 | 34 |
| 4. არმაზი | 9 | 6 | 0 | 3 | +21 | 25 |
| 5. ლოკომოტივი | 10 | 4 | 1 | 5 | +28 | 22 |
| 6. ჯიქები | 10 | 4 | 0 | 6 | +11 | 22 |
| 7. ბათუმი | 10 | 3 | 0 | 7 | -50 | 14 |
| 8. ხარები | 9 | 3 | 0 | 6 | -104 | 13 |
| 9. აკადემია | 10 | 2 | 0 | 8 | -206 | 9 |
| 10. ყოჩები | 10 | 1 | 0 | 9 | -112 | 7 |

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური სპორტი

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი



მალე ჩხუბი დაიწყება

# რონდო ორს გამოტოვებს

„ბოსტონისა" და „ბრუკლინის" მატჩის დროს ამტყდარი ჩხუბის შესახებ გუშინდელ ნომერში ვწერდით. სკანდალური ინციდენტის წამომწყები „ბოსტონის" გამთამაშებელი **რაჟონ რონდო** გახდა, რომელსაც ლიგამ უკვე გამოუტანა სასჯელი - კალათბურთელი მომდევნო ორ მატჩს გამოტოვებს.

შეგახსენებთ, რომ მეორე მეოთხედის ბოლო წუთზე, რონდომ სახეში ხელი გაარტყმა „ნეტსის" ფორვარდ **კრის ჰემფრიზს**. ამგვარი საქციელის მიზეზი ის გახდა, რომ კრისმა უხეში ილეთი გამოიყენა **კევინ გარნეტის** წინააღმდეგ. მოგვიანებით რონდოსა და ჰემფრიზს შორის ამტყდარ ჩხუბს თავად გარნეტი, **ჯერალდ უოლასი** („ბრუკლინი"), **ბრენდონ ბასი** („ბოსტონი") და სხვა მოთამაშეები შეუერთდნენ. კალათბურთელების დასაშოშმინებლად საჭირო გახდა დაცვის სამსახურისა და პოლიციის თანამშრომელთა ჩარევა.

სხვა მოჩხუბრებს არ მოუწევთ მატჩების გამოტოვება. მათ მიმართ ფულადი ჯარიმითა და ზეპირი გაფრთხილებით შემოიფარგლნენ. მაგალითად, კევინ გარნეტს 25 ათასი დოლარის გადახდა მოუწევს, ჯერალდ უოლასი კი 35 ათასი დოლარით დაისაჯა.

# ამარე სტაუდმაიერი რეზერვისტობაზეც თანახმაა



ამარე სტაუდმაიერი

მალე გამოჯანმრთელდება და მოედანს დაუბრუნდება „ნიუ იორკ ნიქსის" ერთ-ერთი ლიდერი **ამარე სტაუდმაიერი**. როგორც კალათბურთელთან დაახლოებული ერთ-ერთი ინკოგნიტო წყარო წერს, ამარე წინააღმდეგი არ იქნება, თუ სასტარტო შემადგენლობაში არ დაუთმობენ ადგილს და სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთვება თამაშებში.

*„ის მხოლოდ იმაზე ფიქრობს, როგორ დაეხმაროს გუნდს გამარჯვებებში. მისთვის არც ის იქნება პრობლემა, თუ სათადარიგოთა სკამიდან დაიწყებს მატჩებს"*, - ამბობს „ინსაიდერი".

აქ ერთი რამ არის უცნაური - ვის უნახავს „რეზერვისტი", რომელსაც წელიწადში 20 მილიონი დოლარი ხელფასი აქვს?!

ჰოკეი

# მთავრობაც უძლური აღმოჩნდა




ახალი კოლექტიური ხელშეკრულების გაფორმებაზე ჰოკეის ეროვნულ ლიგასა და მოთამაშეთა პროფკავშირებს შორის მოლაპარაკებათა მომდევნო რაუნდი უშედეგოდ დასრულდა.

ბოლო დიალოგისას შუამავლის როლი ეკისრებოდა მორიგებისა და საშუამავლო ფედერალურ სამსახურს – აშშ-ის მთავრობასთან არსებულ დამოუკიდებელ სააგენტოს, რომელიც შრომითი კონფლიქტების მოგვარებაში სპეციალიზდება.

ბოლო ორი დღის განმავლობაში გამართული შეხვედრების შემდეგ ფედერალური სამსახურის თანამშრომლებმა აღიარეს, რომ ამ მომენტისთვის მხარეები მზად არ არიან პოზიციების დაახლოებასთან და სიტუაციის გადაწყვეტაში პროგრესი შუამავლების ჩარევითაც შეუძლებელი აღმოჩნდა.

შეგახსენებთ, სადღეისოდ ლიგამ ოფიციალურად გააუქმა რეგულარული ჩემპიონატის ყველა მატჩი 14 დეკემბრის ჩათვლით, იგივე ბედი ეწია 2013 წლის თებერვალში დაგეგმილ „ყველა ვარსკვლავის მატჩს". საერთო ჯამში უკვე გაუქმებულია 422 შეხვედრა, რაც რეგულარული ჩემპიონატის კალენდრის ერთი მესამედი გახლავთ.

# პოპოვიჩმა დაგვცინა

„სან ანტონიო სპურსი" სტუმრად ბრწყინვალე ხუთმატჩიანი მოგებათა სერიის შემდეგ „მაიამის" წინააღმდეგ სათამაშოდ სასტარტო შემადგენლობის ოთხი წევრის გარეშე გავიდა. **გრეგ პოპოვიჩმა** დასვენების საშუალება მისცა **ტიმ დანკანს, ტონი პარკერს, მანუ ჯინობილისა** და **დენი გრინს** (ამასთან, ტრავმირებულები არიან **კავაი ლეონარდი** და **სტივენ ჯექსონი**). ასეთ სიტუაციაში მასპინძლების მოგება პრაქტიკულად გარანტირებული ჩანდა, მით უმეტეს, რომ **დუეინ უეიდმა** 32 წუთი ითამაშა, **კრის ბოშმა** - 37 და **ლებრონ ჯეიმსმა** - 40.

მაგრამ „სპურსის" რეზერვისტებს ამასთან დაკავშირებით სხვა აზრი ჰქონდათ.



პოპოვიჩი და მისი რეზერვისტები

საფინალო სირენამდე 2.14-ით ადრე, სტუმრები **გერი ნილის** სამქულიანით 98:93 დაწინაურდნენ. დიდი სენსაცია ახლოვდებოდა, მაგრამ „მაიამის" ვარსკვლავებმა თავიდან აიცილეს სირცხვილი. მატჩის დარჩენილი ნაწილი „ჰიტმა" 12:2 მოიგო და ამაში მას იღბალიც დაეხმარა.

23 წამით ადრე, როცა „სან ანტონიო" ერთ ქულას აგებდა, ჯეიმსი სამწამიანში შევარდა, მაგრამ პრაქტიკულად დაკარგა ბურთი. „მეფემ" ორ მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში სასწაულებრივ დაიბრუნა შეტევის უფლება და უკან **რეი ალენს** მიაწოდა. ლეგენდარული ვეტერანი ზუსტი იყო - 100:98. საპასუხოდ, ნილმა ბურთი დაკარგა, ალენის ორი ზუსტი საჯარიმოს შემდეგ კი სამქულიანიც აცილა.

*„ბოდიშს ვუხდი NBA-ის გულშემატკივრებს. „სან ანტონიოს" ხელმძღვანელობის მხრიდან ეს იყო მიუღებელი საქციელი და კლუბს შესაბამისი სანქციები დაეკისრება"*, - ასეთი კომენტარი გაუკეთა ლიგის კომისარმა **დევიდ სტერნმა** პოპოვიჩის გადაწყვეტილებას.

■ ■ ■

„გოლდენ სტეიტი" სასწაულებრივ გადაურჩა წაგებას „დენვერთან" თითქმის მოგებულ შეხვედრაში. სირენამდე 3.4 წამით ადრე, **ანდრე იგუოდალამ** სამი საჯარიმოს უფლება მიიღო მაშინ, როცა მისი გუნდი სამ ქულას აგებდა. მსაჯებმა ამ ჯარიმის დაფიქსირებისას შეცდომა დაუშვეს, რადგან „მეომრები" იგუოდალაზე მაშინ დაჯარიმდნენ, როცა მას შეტევა არ ჰქონდა დაწყებული.

საბოლოოდ იგუოდალამ პირველი ორი ტყორცნა ჩააგდო, მაგრამ აცილა მესამე. ტრიბუნებმა თითქოს შვებით ამოისუნთქეს, მაგრამ ფარიდან ასხლეტილი ბურთი მოედნის გარეთ რომელიღაც მასპინძლისგან გადავარდა. **ჯორჯ კარლმა** მაშინვე ტაიმ-აუტი აიღო მოგების მომტანი კომბინაციის შესამუშავებლად.

პირველი ცდიდან ეს არ გამოვიდა - **ანდრე მილერმა** ადრესატი ვერ იპოვა და კიდევ ერთი 20-წამიანი პაუზა აიღო. ბურთის მეორედ შემოტანა კი დაკარგვით დასრულდა - **ლოუსონზე** პასი არ ვარგოდა და ბურთი მოედნის გარეთ გავიდა. გამეორებამ აჩვენა, რომ ბურთი „გოლდენ სტეიტს" უნდა დარჩენოდა, მაგრამ მსაჯებმა მატჩისთვის ინტრიგის შენარჩუნება გადაწყვიტეს! დიდხნიანი ბჭობის შემდეგ, ბურთი სტუმრებს მისცეს და თან დარჩენილ 0.3 წამს 0.2 დაუმატეს.

და იგუოდალამ ჩააგდო სამქულიანი, რომელსაც შეიძლებოდა დიდი სკანდალი გამოეწვია. სტუმრებმა ზეიმი დაიწყეს, მასპინძლები კი სამსაჯო მაგიდას მიეჭრნენ. და აქ, როგორც იქნა, სამართლიანობამ გაიმარჯვა. ვიდეოს ნახვის შემდეგ, ბოლო ბურთი არ ჩაითვალა.

**მაიამი-სან ანტონიო 105:100**

22:27, 25:17, 26:32, 32:24

მ: ჯეიმსი (23+9 მოხსნა+7 პასი+4 ჩაჭრა), ალენი (20), უეიდი (19), ბოში (18+12 მოხსნა).

ს-ა: ნილი (20+7 პასი), სპლიტერი (18+9 მოხსნა), დე კოლო (15+6 მოხსნა+5 პასი), დიაო (12+6 მოხსნა), ბონერი (10+10 მოხსნა).

**გ. სტეიტი-დენვერი 106:105**

30:25, 21:35, 27:26, 28:19

გ-ს: ლი (31+9 მოხსნა+6 პასი), ტომპსონი (21+9 მოხსნა), კარი (20+10 პასი+4 ჩაჭრა), ჯეკი (18+5 პასი).

დ: იგუოდალა (22+3 ჩაჭრა), გალინარი (20+9 მოხსნა), ლოუსონი (17+9 პასი+4 ჩაჭრა), ბრიუერი (12), მაკგი (11+7 მოხსნა), ფარიდი (10+7 მოხსნა+5 დაფარება).

| აღმოსავლეთი | |
|---|---|
| 1. მაიამი | 11/3* |
| 2. ბრუკლინი | 10/4* |
| 3. ნიუ იორკი | 10/4 |
| 4. მილუოკი | 7/6* |
| 5. ატლანტა | 9/4 |
| 6. ფილადელფია | 9/6 |
| 7. ბოსტონი | 8/7 |
| 8. შარლოტი | 7/7 |
| 9. ჩიკაგო | 6/7 |
| 10. ინდიანა | 7/8 |
| 11. ორლანდო | 5/9 |
| 12. დეტროიტი | 5/11 |
| 13. კლივლენდი | 3/12 |
| 14. ტორონტო | 3/13 |
| 15. ვაშინგტონი | 1/12 |

| დასავლეთი | |
|---|---|
| 1. მემფისი | 11/2* |
| 2. სან ანტონიო | 13/4 |
| 3. ოკლაჰომა | 12/4* |
| 4. გოლდენ სტეიტი | 9/6* |
| 5. კლიპერსი | 9/6 |
| 6. იუტა | 9/7 |
| 7. დენვერი | 8/8 |
| 8. ლეიკერსი | 7/8 |
| 9. ჰიუსტონი | 7/8 |
| 10. ფინიქსი | 7/9 |
| 11. დალასი | 7/9 |
| 12. მინესოტა | 6/8 |
| 13. პორტლენდი | 6/9 |
| 14. საკრამენტო | 4/10 |
| 15. ნიუ ორლეანი | 4/10 |

** - დივიზიონის ლიდერი*

# ფიშერი დალასში...



დერეკ ფიშერი

ცვლილებებია „დალას მავერიქსის" შემადგენლობაში - ტექსასურმა კლუბმა სეზონის ბოლომდე დაიმატა 38 წლის გამთამაშებელი **დერეკ ფიშერი**. ამის შესახებ „დალასის" პრესსამსახურმა გუშინ გამოაცხადა.

ფიშერისთვის შემადგენლობაში ადგილის გამოსათავისუფლებლად „მავერიქსმა" ცენტრი **ტროი მერფი** დაითხოვა. ამ კალათბურთელმა მიმდინარე სეზონში 14 მატჩში მიიღო მონაწილეობა და თავის გუნდს 4.6 ქულითა და 3.5 მოხსნით დაეხმარა.

გასულ სეზონში ფიშერი „ლეიკერსისა" და „ოკლაჰომას" ღირსებას იცავდა. „თანდერის" რიგებში პლეი ოფის მატჩებში ვეტერანი საშუალოდ 6.3 ქულას აგროვებდა.

# ...პიეტრუსი ტორონტოში

გუშინდელი დღის ერთ-ერთი მთავარი ამბავი იყო გამოცდილი ფრანგი ფორვარდის **მიკაელ პიეტრუსის** „ტორონტოში" გადასვლა. ხელშეკრულების დეტალები პრესისთვის უცნობი დარჩა, მაგრამ თავად გარიგების ფაქტი ცოტათი უცნაურია. საქმე ისაა, რომ პიეტრუსის გადაბირებით ლიგის გუნდების ნახევარი იყო დაინტერესებული, მათ შორის, სეზონის რამდენიმე ფავორიტი. თავად კალათბურთელმაც არაერთხელ განაცხადა, რომ სერიოზული მიზნებისთვის ბრძოლა სურდა, „რეპტორზი" კი ამისთვის არ გამოდგება.

30 წლის კალათბურთელს NBA-ში 9-წლიანი წარმატებული კარიერა აქვს. მას უთამაშია „გოლდენ სტეიტის", „ორლანდოს", „ფინიქსისა" და „სელტიქსის" შემადგენლობაში და საშუალოდ მატჩში 8.4 ქულასა და 3.1 მოხსნას აგროვებდა.



მიკაელ პიეტრუსი

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ფორმულა 1

# ფეტელის საკითხი დაიხურა


ალონსო მეორეთი უნდა დაკმაყოფილდეს

საბოლოოდ დაესვა წერტილი კამათს იმის შესახებ, წესების დაცვით შეასრულა თუ არა „რედ ბულის“ პილოტმა **სებასტიან ფეტელმა** ბრაზილიის გრან-პრის მეოთხე წრეზე „ტორო როსოს“ წევრის **ჟან-ერიკ ვერნის** გასწრება.

გუშინდელ ნომერში ვწერდით იმის შესახებ, რომ „ფერარი“ არ აპირებდა ფეტელისთვის ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციაში ჩივილს, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა და ამ ორგანიზაციაში კითხვა გააგზავნა - წესების დაცვით მოქმედებდა თუ არა სებასტიანი ფრანგი პილოტის გასწრებისას?.

ფედერაციამ „სკუდერიას“ თავის ოფიციალურ ვებგვერდზე მოკლე განცხადებით უპასუხა: *„ფეტელის მანევრში წესის დარღვევა არ ყოფილა, შესაბამისად, ჩვენ არ გვაქვს გამოძიების დაწყების საფუძველი. სტიუარდებმა სწორი რეაგირება მოახდინეს რბოლის მსვლელობაზე“.*

მოგვიანებით კი გავრცელდა იტალიური საჯინიბოს განცხადება, რომელშიც წერია, რომ სებასტიან ფეტელის მიმართ შესაძლებელი სანქციების საკითხი დახურულია. ამით „ფერარიმ“ აღიარა გერმანელის ჩეპიონობის კანონიერება.

# სენა ფორს ინდიას მიუახლოვდა


კამუი კობაიაში

2012 წლის სეზონის შემდეგ იაპონელი პილოტი **კამუი კობაიაში** გუნდის გარეშე დარჩა - ის „ზაუბერმა“ დაითხოვა და მის ნაცვლად ძლიერი სპონსორების მქონე მექსიკელი **ესტებან გუტიერესი** მიიწვია.

კობაიაშიმ კი ჯერ კიდევ ბრაზილიის გრანპრის წინ ჩაუშვა თავისი მხარდასაჭერი პროექტი - Kamui Support, რომელმაც იაპონელს უკვე მოუტანა 1.5 მილიონი დოლარი. კამუის ეს თანხა გულშემატკივრებმა შეუგროვეს და პილოტი ამ ფულით ეცდება 2013 წლისთვის რომელიმე გუნდთან კონტრაქტის გაფორმებას. ამ მომენტისთვის ვაკანტური ადგილებია „მარუსიაში“, „კატერჰემში“, „ლოტუსში“, „ფორს ინდიაში“, „უილიამსსა“ და HRT-ში. თუმცა ამ სამუშაო ადგილებზე ბევრი კანდიდატი აცხადებს პრეტენზიას, რომელთა უმრავლესობას სერიოზული სპონსორული მხარდაჭერა ან „დიდ ცირკში“ გამოსვლის დიდი გამოცდილება უმაგრებთ ზურგს.

კობაიაშის ფორმულა 1-ში დებიუტი 2009 წელს ჰქონდა. იმ სეზონში მან მხოლოდ ორი ეტაპი ჩაატარა „ტოიოტას“ ბოლიდით - ტრავმირებულ **ტიმო გლოკს** ცვლიდა. ბოლო სამი წელი იაპონელი „ზაუბერის“ ღირსებას იცავდა და სამჯერვე გენერალურ კლასიფიკაციაში მე-12 ადგილი დაიკავა. მისი საუკეთესო შედეგია წელს, იაპონიის გრანპრიზე მესამე ადგილი.

■ ■ ■

ასევე გუნდის გარეშეა დარჩენილი ბრაზილიელი **ბრუნო სენა**, რომელიც 2012 წელს „უილიამსის“ ღირსებას იცავდა. თუმცა ESPN-ის ინფორმაციით, მას კობაიაშიზე უკეთესი მდგომარეობა აქვს - ბრაზილიელი ახლოა „ფორს ინდიას“ რიგებში გადასვლასთან. სენას სპონსორებმა ინდურ საჯინიბოს უკვე წარუდგინეს საჭირო ფინანსური გარანტიები. ასე რომ, ბრუნოს მხოლოდ პირადი კონტრაქტის პირობების შეთანხმება რჩება.

# რა ღირს ჩემპიონატში მონაწილეობა?



ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ საჯინიბოებს მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობისთვის საჭირო თანხის ოდენობა გაუზარდა. ყოველი საჯინიბო, რომელსაც სურს 2013 წლის ჩემპიონატში გამოსვლა, ფედერაციას 500 ათასი დოლარი უნდა ჩაურიცხოს.

ამ თანხის გარდა კონსტრუქტორთა თასის მფლობელი „რედ ბული“, 2012 წელს მოპოვებული თითოეული ქულისთვის 6 ათას დოლარს გადაიხდის, დანარჩენი გუნდები - 5 ათასს.

გამოდის, რომ 2013 წლის სეზონში მონაწილეობისთვის ფორმულა 1-ის გუნდებმა შემდეგი თანხები უნდა გადაიხადონ: 1. „რედ ბული“ - 3.26 მილიონი დოლარი; 2. „ფერარი“ - 2,5 მილიონი; 3. „მაკლარენი“ - 2,39 მილიონი; 4. „ლოტუსი“ - 2,015 მილიონი; 5. „მერსედესი“ - 1,21 მილიონი; 6. „ზაუბერი“ - 1,13 მილიონი; 7. „ფორს ინდია“ - 1,045 მილიონი; 8. „უილიამსი“ - 0,88 მილიონი; 9. „ტორო როსო“ - 0,63 მილიონი; 10. „კატერჰემი“ - 0,5 მილიონი; 11. „მარუსია“ - 0,5 მილიონი; 12. HRT - 0,5 მილიონი.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ინგლისი** | |
| **ჩემპიონშიპი** | |
| ბირმინგემი-მიდლსბრო | 3:2 |
| **ინგლისის თასი** | |
| **II რაუნდი** | |
| ბრედფორდი-ბრენტფორდი | 1:1 |
| **იტალია** | |
| კატანია-მილანი | 1:3 |
| **სერია C1-B** | |
| გუბიო-ნოჩერინა | 2:1 |
| **ესპანეთი** | |
| ოსასუნა-ვალეკანო | 1:0 |
| **II დივიზიონი** | |
| მურსია-რეალ კასტილია | 0:0 |
| **გერმანია** | |
| ფორტუნა-აინტრახტი | 4:0 |
| **II ბუნდესლიგა** | |
| რეგენსბურგი-დინამო | 0:0 |
| აალენი-მიუნხენი | 1:1 |
| **III ბუნდესლიგა** | |
| უნტერჰახინგი-დარმშტადტი | 2:2 |
| **რეგიონალლიგა (ჩრ)** | |
| ჰამბურგი II-ობერნოილანდი | 0:2 |
| ვილჰელმშავენი-ვერდერი II | 1:3 |
| **რეგიონალლიგა (ს-დ)** | |
| აინტრახტი II-ულმი | 4:3 |
| ჰომბურგი-ჰოფენჰაიმი II | 2:0 |
| **საფრანგეთი** | |
| აიაჩო-სტ. ეტიენი | 0:0 |
| **II დივიზიონი** | |
| ანჟერსი-ნიმი | 0:0 |
| არლი-ლე მანი | 0:0 |
| შატორუ-ოსერი | 1:1 |
| გფკო აიაჩო-კლერმონი | გადაიდო |
| ჰავრი-ტური | 3:0 |
| ლანსი-ლავალი | 1:0 |
| მონაკო-სედანი | 3:1 |
| ნანტი-ნიორი | 0:0 |
| **ნასიონალი** | |
| ეპინალი-კარკეფუ | 0:2 |
| კევილი-რედ სტარი | 1:1 |
| ბულონი-ორლეანი | 1:2 |
| კრეტეი-კოლმარი | 0:3 |
| ლუზენაკი-რუანი | 3:1 |
| ვანი-ბასტია | 1:0 |
| მეცი-პარიზი | 3:0 |
| **ჰოლანდია** | |
| ცვოლე-ვენლო | 2:1 |
| **II დივიზიონი** | |
| ალმერი-ექსელსიორი | 2:1 |
| კამბური-ტელსტარი | 3:2 |
| ფორტუნა-ეინდჰოვენი | 1:1 |
| იგლზი-ემენი | 2:1 |
| ჰელმონდი-მაასტრიხტი | 1:1 |
| ვეენდამი-დენ ბოში | 0:3 |
| **ბელგია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ეუპენი-ვოლუვე | 1:2 |
| **პორტუგალიის თასი** | |
| **1/8 ფინალი** | |
| ბრაგა-პორტუ | 2:1 |
| **დანია** | |
| ჰორსენსი-სონდერიისკი | 1:3 |
| **ავსტრია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ავსტრია (ლ)-კაპფენბერგი | 2:0 |
| ბლაუ ვაისი-ჰარტბერგი | 0:1 |
| სტ. პოლტენი-ვენა | 2:2 |
| ჰორნი-ალტახი | 0:1 |
| გრიოდიგი-ლუშტენაუ | 4:1 |
| **საბერძნეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ირაკლისი (პ)-ლარისა | 1:0 |
| **თურქეთი** | |
| გალათასარაი-გაზიანთეფი | 1:1 |
| **უელსი** | |
| ეირბასი-ნიუთაუნი | 2:1 |
| ლანელი-ებერისტვიტი | 0:0 |
| **სლოვაკეთი** | |
| ნიტრა-ჟილინა | 2:0 |
| **რუსეთი** | |
| კრასნოდარი-ყუბანი | 2:1 |
| სპარტაკი-ზენიტი | 2:4 |
| **უკრაინა** | |
| ჰოვერლა-დინამო (კ) | 2:4 |
| კრივბასი-შახტარი | 0:2 |
| **პოლონეთი** | |
| იაგელონია-ბელხატოვი | 2:2 |
| ლეხი-შლონსკი | 0:3 |
| **ხორვატია** | |
| ინკერი-სპლიტი | 0:2 |
| დინამო-ლოკომოტივა | 1:0 |
| **უნგრეთი** | |
| დერბეცენი-კაპოშვარი | 2:1 |
| პაკსი-ლომბარდ პაპა | 2:0 |
| **რუმინეთი** | |
| უნივერსიტატეა-პანდური | 1:1 |
| კონკორდია-სტიაუა | 0:6 |
| **პარაგვაი** | |
| ინდეპენდიენტე-ლიბერტადი | 0:5 |
| **ავსტრალია** | |
| მელბურნ ჰ-პერტი | 1:0 |
| **კალათბურთი** | |
| **ევროლიგა** | |
| ბეშიქთაში-ბარსელონა | 48:78 |
| ჟალგირისი-ოლიმპიაკოსი | 63:77 |
| მონტეპასკი-უნიკახა | 91:72 |
| რეალი-ფენერბაჰჩე | 77:61 |
| **საფრანგეთი** | |
| გრაველინი-შოლე | 88:67 |
| ბულაზაკი-ორლეანი | 67:85 |
| სტრასბური-ნანსი | 72:66 |
| **ჰოკეი** | |
| **კჰლ** | |
| ამური-ცსკა | 1:2 |
| ავანგარდი-ბარისი | 3:2 (ო) |
| მეტალურგი (ნ)-ლევ პოპრადი | 2:3 |
| სიბირი-სლოვანი | 1:2 |
| ლოკომოტივი-ს. იულიაევი | 3:2 |
| სევერსტალი-ავტომობილისტი | 5:0 |
| ტორპედო-აკ ბარსი | 3:1 |
| ატლანტი-ნეფტიხიმიკი | 3:1 |
| ვიტიაზი-ტრაქტორი | 2:3 |
| სპარტაკი-სკა | 6:1 |
| დინამო (მნ)-მეტალურგი (მ) | 4:3 (ბ) |
| **ავსტრია** | |
| ალბა-ზნოიმო | 6:2 |
| ვენა-ოლიმპია | 3:4 (ბ) |
| ზალცბურგი-ვილახი | 6:2 |
| ინსბრუკი-ლინცი | 3:4 (ბ) |
| კლაგენფიურტი-დორნბირნი | 1:4 |
| **გერმანია** | |
| ჰამბურგი-იზერლონი | 5:0 |
| ჰანოვერი-ვოლფსბურგი | 4:2 |
| ინგოლშტადტი-აისბარენი | 4:2 |
| კრეფელდი-მანჰაიმი | 3:2 |
| მიუნხენი-კიოლნი | 4:1 |
| ნიურნბერგი-დიუსელდორფი | 4:3 (ო) |
| შტრაუბინგი-აუგსბურგი | 1:3 |
| **დანია** | |
| კოპენჰაგენი-ჰერნინგი | 1:5 |
| ოდენსე-სონდერიისკი | 3:4 (ო) |
| ჰერლევი-ესბერგი | 3:1 |
| **სლოვაკეთი** | |
| ბისტრიცა-პიესტანი | 1:0 |
| ჟილინა-ტრენჩინი | 4:3 (ო) |
| მარტინი-ზვოლენი | 4:5 (ო) |
| ნიტრა-პოპრადი | 2:1 (ბ) |
| სკალიცა-კოშიცე | 4:3 (ო) |
| **ფინეთი** | |
| ილვესი-კალპა | 0:4 |
| იუვიასკიულა-ჰიფკ | 4:2 |
| **ჩეხეთი** | |
| ტრშინეცი-პლზენი | 1:2 (ბ) |
| ხომუტოვი-ლიტვინოვი | 1:2 |
| პარდუბიცე-ჟლინი | 5:3 |
| ბუდეიოვიცე-სლავია | 3:0 |
| ბრნო-სპარტა | 4:2 |
| ლიბერეცი-ვიტკოვიცე | 5:3 |
| **შვეიცარია** | |
| ბერნი-კლოტენი | 6:1 |
| ბილი-ფრიბურგი | 0:3 |
| ლანგნაუ-დავოსი | 3:4 |
| ლუგანო-ციურიხი | 1:5 |
| ცუგი-სერვეტი | 5:2 |

TV პროგრამა

**1 დეკემბერი. შაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** გერმანიის ჩემპიონატი. XIV ტური. ფორტუნა-აინტრახტი.
**12:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOT-BRAZIL.
**12:30** ინგლისის ჩემპიონატი. XV ტურის წინ.
**13:00** პროგრამა - იმედის ფსონი.
**14:00** ევროპის ლიგა. სტუდიური მიმოხილვა.
**15:00** მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.
**16:00** ინგლისის ჩემპიონატი. XV ტურის წინ.
**16:45** ინგლისის ჩემპიონატი. XV ტური. ვესტ ჰემი-ჩელსი (LIVE).
**19:00** ინგლისის ჩემპიონატი. XV ტური. მანჩესტერ სიტი-ევერტონი (LIVE).
**21:00** ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
**21:30** გერმანიის ჩემპიონატი. XV ტური. ბაიერნი-დორტმუნდი (LIVE).
**23:45** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XV ტური. აიაქსი-ეინდჰოვენი (LIVE).
**01:45** ინგლისის ჩემპიონატი. XV ტური. ფულემი-ტოტენჰემი.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** NBA ACTION.
**11:00** ძიუდო. გრანდსლემი. ტოკიო. იაპონია (LIVE).
**13:30** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ლეიკერსი-დენვერი.
**15:30** კალათბურთი. ევროლიგა. რეგულარული სეზონი. VIII ტური. ბამბერგი-ცსკა.
**17:30** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. მიმოხილვა.
**18:30** რაგბი. ტესტ-მატჩი. ინგლისი-ახალი ზელანდია (LIVE).
**20:45** ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა.
**21:30** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. XV ტური. რედინგი-მანჩესტერ იუნ (LIVE).
**23:30** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ლეიკერსი-დენვერი.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ინდიან უელსი. აშშ.
**12:30** რაგბი. ჰეინეკენის თასი. ექსეტერი-კლერმონი.
**14:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ინდიან უელსი. აშშ.
**17:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ლეიკერსი-ჰიუსტონი.
**19:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. XV ტური. ფულემი-ტოტენჰემი (LIVE).
**21:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**21:45** ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. XV ტური. ტვენტე-დენ ჰააგი (LIVE).
**23:45** ძიუდო. გრანდსლემი. ტოკიო. იაპონია.

**I არხი**

**14:00** კალათბურთი. საქართველოს ჩემპიონატი (LIVE).

**2 დეკემბერი. კვირა**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ინგლისის ჩემპიონატი. XV ტური. რედინგი-მანჩესტერ იუნ.
**12:00** არგენტინის ჩემპიონატი. XVII ტურის მიმოხილვა.
**13:00** პროგრამა - იმედის ფსონი.
**14:00** არგენტინის ჩემპიონატი. XVIII ტური. არსენალი-ბოკა ხუნიორსი.
**16:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XV ტური. ფეიენოორდი-ვაალვაიკი.
**18:00** ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
**18:30** გერმანიის ჩემპიონატი. XV ტური. ჰოფენჰაიმი-ვერდერი (LIVE).
**20:30** გერმანიის ჩემპიონატი. XV ტური. ვოლფსბურგი-ჰამბურგი (LIVE).
**22:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOT-BRAZIL.
**23:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. XXXVIII ტური. სან პაულუ-კორინთიანსი (LIVE).
**01:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**11:00** ძიუდო. გრანდსლემი. ტოკიო. იაპონია (LIVE).
**13:30** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მაიამი-ბრუკლინი.
**15:30** კალათბურთი. ევროლიგა. სტუდიური მიმოხილვა.
**16:30** კალათბურთი. ევროლიგა. რეგულარული სეზონი. VIII ტური. ჟალგირისი-ოლიმპიაკოსი.
**18:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. წლის შემაჯამებელი ტურნირი. ფინალი. ლონდონი. ბრიტანეთი.
**21:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ იორკი-ფენიქსი (LIVE).
**00:30** NBA ACTION.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ინდიან უელსი. აშშ.
**15:30** ძიუდო. გრანდსლემი. ტოკიო. იაპონია.
**18:00** რაგბი. ტესტ მატჩი. ინგლისი-ფიჯი.
**20:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. XV ტური. ნორვიჩი-სანდერლენდი (LIVE).
**22:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ინდიან უელსი. აშშ.

**I არხი**

**18:00** ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. დინამო-ჩიხურა (LIVE).

**ამინდის პროგნოზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 2 | 17 | (მზე) |
| ქუთაისი | 10 | 22 | (მზე) |
| ბათუმი | 8 | 20 | (მზე) |
| ფოთი | 8 | 21 | (მზე) |
| ზუგდიდი | 7 | 20 | (მზე) |
| გორი | -2 | 15 | (მზე) |
| თელავი | 2 | 15 | (მზე) |
| სიღნაღი | 2 | 16 | (მზე) |
| ბაკურიანი | -4 | 8 | (მზე) |
| ბორჯომი | -3 | 15 | (მზე) |
| მესტია | -3 | 14 | (მზე) |

**ვალუტის კურსი**

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1577 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6599 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.6605 |
| 100 რუსული რუბლი | 5.3874 |

ეროვნული ბიბლიოთეკა



რაფაელ ნადალი

# რაფა პოკერს ითამაშებს

მსოფლიოს მეოთხე ჩოგანი, ესპანელი რაფაელ ნადალი ცხოვრებაში პირველად მიიღებს მონაწილეობას პოკერის პროფესიულ ტურნირში.

„ეს შესანიშნავი გამოცდილება იქნება, - ამბობს ნადალი ესპანურ სააგენტო ABC-სთან კომენტარში. - მოუთმენლად ველი ქვეყნის საუკეთესო პროფესიონალების წინაალმდეგ გამოსვლას“.

ტურნირი, რომელზეც ნადალი გამოვა, 2012 წლის 2-9 დეკემბერს, ცნობილ ვებგვერდ PokerStars-ზე გაიმართება. ჩოგბურთელის კონკურენტები იქნებიან პოკერის საუკეთესო ესპანელი მოთამაშეები.

# ფედერერი: მირკა რომ არა, უკვე წასული ვიქნებოდი

მსოფლიო რეიტინგის მეორე ნომერმა, 31 წლის შვეიცარიელმა **როჯერ ფედერერმა** ინტერვიუ მისცა არგენტინულ გაზეთ La Nacion-ს, სადაც 2013 წლის სეზონისთვის საკუთარ გეგმებზე ილაპარაკა.

„რა თქმა უნდა, ახალ სეზონში მაქვს გარკვეული მიზნები. შევეცდები დავბრუნდე მსოფლიო რეიტინგის უმაღლეს საფეხურზე, თუმცა ეს ძალიან რთული იქნება“, - განაცხადა ჩოგბურთელმა.

„ჩოგბურთს უკვე მრავალი წელია, ვთამაშობ და ვიცი, რისი გაკეთება მჭირდება. უნდა შევინარჩუნო ფიზიკური მომზადების კარგი დონე და დავრჩე საჩოგბურთო მოვლენების ცენტრში. ასაკის მატებასთან ერთად, უფრო მეტ დროს ვატარებ საკუთარ ოჯახთან - ეს მე უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს. ჯერჯერობით არ ვაპირებ კარიერის დასრულებას. მინდა უმაღლეს დონეზე კიდევ რამდენიმე წელი ვითამაშო“, - აღნიშნა შვეიცარიელმა.

გარდა ამისა, როჯერმა ინტერვიუში ილაპარაკა იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელოვან როლს თამაშობს მის კარიერაში მეუღლე **მირკა**.

„მომწონს მამობა და რამდენიმე წლის შემდეგ, როცა შვილებზე მთელს ჩემს ყურადღებას გადავიტან, მათი განათლებით ვიქნები დაკავებული. მირკა ყოველთვის მეხმარებოდა. როცა ერთმანეთი გავიცანით, არც ერთი ტიტული არ მქონდა მოპოვებული, ახლა კი, 76 ტურნირის გამარჯვებული ვარ. ის ყოველთვის ჩემს გვერდითაა და მისი როლი ჩემს მიღწევებში უდიდესია. რა თქმა უნდა, გოგონების დაბადების შემდეგ ჩვენი ცხოვრება შეიცვალა, მაგრამ ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ ეს არ აისახოს ჩემს კარიერაზე. მირკა ყოველთვის ცდილობს, ნებისმიერ ტურნირზე ჩემს გვერდით იყოს. ის რომ არა, უკვე დასრულებული მექნებოდა კარიერა“, - ამბობს ფედერერი.

შეგახსენებთ, რომ 12-13 დეკემბერს, როჯერი ორ საჩვენებელ შეხვედრას ჩაატარებს არგენტინელი **ხუან მარტინ დელ პოტროს** წინააღმდეგ. მატჩები ბუენოს აირესის გარეუბან ტიგრეში გაიმართება.



როჯერ ფედერერი

# დიდი ჩოგბურთი დიდ ეკრანზე

## იმ ჩოგბურთელების შესახებ, რომლებმაც კორტთან ერთად კინოეკრანების დაპყრობა სცადეს

კინობუმმა, რომელიც გასული საუკუნის დასაწყისში მოხდა, გვერდი ვერ აუარა საჩოგბურთო სამყაროს, რომელშიც ყოველთვის იყვნენ ქარიზმატული და არაორდინალური პიროვნებები. ზოგიერთი მათგანი ხელიდან არ უშვებდა ეკრანზე გამოჩენის შანსს და უფრო მეტ თაყვანისმცემელს იძენდა.

საჩოგბურთო კინოინდუსტრიის ერთ-ერთი პიონერი იყო **ბილ ტილდენი**, მეტსახელად, "დიდი ბილი". ამერიკელი დომინირებდა კორტზე გასული საუკუნის 20-იან წლებში და შვიდი წლის განმავლობაში მიიჩნეოდა პლანეტის საუკეთესო მოთამაშედ. ბილი ბავშვობიდან იყო გატაცებული ხელოვნებით და როცა პოპულარობა მოიპოვა, **ჩარლი ჩაპლინს** დაუმეგობრდა. ტილდენი თავად იყო ბროდვეიზე სამი დადგმის პროდიუსერი და მსახიობი, მაგრამ ჰოლივუდში მიწვევას ვერ ელირსა. მიუხედავად ამისა, მოგვიანებით მასზე დოკუმენტური ფილმი გადაიღეს, გარდა ამისა, ის მოხსენიებულია **ნაბოკოვის** ცნობილ რომანში - "ლოლიტაში", რომელშიც მთავარი გმირი საჩოგბურთო გაკვეთილებს იღებს ტილდენისგან. რეალურ ცხოვრებაში ჩოგბურთელი მართლაც დიდი სიამოვნებით უზიარებდა თამაშის ხელოვნებას სხვებს, მათ შორის იყვნენ ლეგენდარული მსახიობები - **გრეტა გარბო** და **კეტრინ ჰეპბერნი**.

■ ■ ■

დაახლოებით ორი წლის წინ, საჩოგბურთო ვარსკვლავი და ქალების ერთ-ერთი საყვარელი ჩოგბურთელი **რაფაელ ნადალი** მომღერალ **შაკირას** ვიდეოკლიპში გამოჩნდა. მასში რაფა ვნებიან მზერას აპყრობს კოლუმბიელ მომღერალს და შემდეგ მკლავებში მოიქცევს მას. საეჭვოა, ნადალს ამ როლით "ოსკარზე" გამოეცხადებინა პრეტენზია, სამაგიეროდ, მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა კიდევ ერთხელ დაადასტურა - ჩოგბურთელები სიამოვნებით თანხმდებიან კორტის გადასაღები მოედნით შეცვლას, თუნდაც ამისთვის შესაბამისი ნიჭი არ ჰქონდეთ.

■ ■ ■

სახელგანთქმულმა **ანა კურნიკოვამ** კიდევ უფრო მეტი თაყვანისმცემელი შეიძინა მას შემდეგ, რაც რომანი გააბა **ენრიკე იგლესიასთან** და მის კლიპში ითამაშა. ამ ვიდეოში ანა და ენრიკე ისე ბუნებრივად კოცნიან ერთმანეთს, რომ ეჭვი არავის ეპარება მათ გრძნობებში. მაგრამ ცხოვრებამ თავისი კორექტივები შეიტანა და დღემდე გაუგებარია, რა სტატუსი აქვს კურნიკოვასა და იგლესიასის ურთიერთობას, თუმცა არსებობს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ წყვილი სამხრეთ ფლორიდაში გადაბარგდა, სადაც 20 მილიონ დოლარად ვილა შეიძინეს.

■ ■ ■

ყოფილ საჩოგბურთო ვარსკვლავებს შორის ერთ-ერთი გამოცდილი მსახიობია **ჯონ მაკინროი**, რომელიც ორ ათეულ სერიალსა თუ ფილმში იღებდა მონაწილეობას, სადაც ის ძირითადად საკუთარ თავს ანსახიერებდა. ორჯერ მისი პარტნიორი იყო **ადამ სენდლერი**, ერთხელ კი თვით **ჯეკ ნიკოლსონთან** ერთად მოხვდა გადასაღებ მოედანზე.

■ ■ ■

სხვათა შორის, მაკინროი 1979 წელს გამოჩნდა ფილმში "მოთამაშეები", მაგრამ აქ უფრო მნიშვნელოვანი როლი ჰქონდა არანაკლებ ლეგენდარულ **პანჩო გონსალესს**. თავად ფილმი, რომელიც ნაწილობრივ ჩოგბურთზეცაა, მთლიანად ჩავარდა გაქირავებაში და ის ახლა დავიწყებულია, ისევე როგორც, პანჩო.

■ ■ ■

დები **უილიამსების** ტრიუმფამდე მრავალი წლით ადრე, უიმბლდონის პირველი შავკანიანი გამარჯვებული გახდა **ალტეა გიბსონი** (მორეულ 1957 წელს). ამ ტრიუმფის მიუხედავად, ალტეა სერიოზულად არასოდეს აღიქვამდა ჩოგბურთს და 1959 წელს დაასრულა გამოსვლა. იმავე წელს გიბსონი გამოჩნდა დიადი რეჟისორის **ჯონ ფორდის** ცნობილ ვესტრენში – "კავალერისტები", სადაც მსახურის პატარა როლი ითამაშა, მაგრამ ამით მისი სამსახიობო კარიერა დასრულდა. სხვათა შორის, ამ ფილმის გადაღებისას მისი პარტნიორი იყო თვით **ჯონ უეინი** - ვესტერნის ჟანრის ლეგენდა.

■ ■ ■

კინემატოგრაფიისადმი სიყვარული ახასიათებთ ინდოელებს. ამ მხრივ გამორჩეულები არიან ძმები **არმიტრაჯები**. მათ შორის კინოს სამყაროში უფრო ცნობილი გახდა **აშოკი**, რომელმაც პროდიუსერის რანგში ასზე მეტი ფილმი გადაიღო. მისი უფროსი ძმა – **ვიჯაი** უფრო დიდხანს შეყოვნდა საჩოგბურთო კორტზე, მაგრამ კარიერის დასრულების შემდეგ ისიც გადასაღებ მოედანზე აღმოჩნდა და ეპიზოდური როლი ითამაშა ბონდიანას ერთ-ერთ ნაწილში, ასევე რამდენიმე სერიალში.



ნადალი და შაკირა

ცოტა ხნის წინ კიდევ ერთმა ცნობილმა ინდოელმა ჩოგბურთელმა **ლეანდერ პაესმა** განაცხადა, რომ სურს, თავისი ძალები მოსინჯოს ბოლივუდში და მზადაა ამისთვის სამსახიობო კურსებიც გაიაროს. ეს სწორი ნაბიჯია მისი წინამორბედების ეკრანზე "მიღწევების" გათვალისწინებით.

■ ■ ■

მსახიობის კარიერაზე ალაპარაკდა უკვე ნახსენები მარია შარაპოვაც, თუმცა ნაკლებად სავარაუდოა, რომ უახლოეს ხანში რუსმა თავისი წარმატებული საჩოგბურთო კარიერა გადასაღებ მოედანზე გაცვალოს. ადრე მარიას ახსენებდნენ ერთ-ერთ გმირად ფილმში – "უიმბლდონი", მაგრამ ის კადრში ვერ მოხვდა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი;** მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი;** მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.** ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **ირაკლი თავაძე**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:15
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608